CMYK

# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 6 ივნისი, 2004 წელი. №128 (4857) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

◎ ლიდერი

## უშიშო, ვითარცა უხორცო...



**გამორჩეულად მიყვარს აკაკის გენიალური ფრაზა – „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“. მართალია, დამოუკიდებლობის აღდგენის დღე დიდი ზარ-ზეიმით ვიდღესასწაულეთ, მაგრამ... ვიდრე სამაჩაბლო ანუ ცხინვალის რეგიონი, ასევე, ძირძველი კოლხეთის ჩრდილოეთი ნაწილი – აფხაზეთი დასაბრუნებელი გვაქვს, ჩვენს დამოუკიდებლობას ქართული მიწის თავისუფლებისთვის, საკუთარი ტერიტორიების განთავისუფლებისთვის უცილობლად გარდასახდელი ბრძოლების მოლოდინი აფერმკრთალებს. ბოლო ხანს ქვეყნის პრეზიდენტის მიერ დაწყებული საინფორმაციო-ეკონომიკური „ომი“ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაბრუნების გარანტიას ქმნის.** არ გაგიკვირდეთ, დღეს ომს (მშვიდობიანსაც და ძალისმიერსაც!) იგებს ის, ვინც საინფორმაციო ბრძოლის ახალ ტექნოლოგიებს ფლობს და ფრთხილად, უშიშრად, ცინცხალი გულწრფელობით და დამაჯერებლობით მოქმედებს. თბილისის „ვარდების რევოლუცია“, აჭარის უსისხლოდ შემომტკიცების პროცესი ყელში გაეჩხირა არძინბასა და კოკოითის თვითმარქვია ხელისუფლებას. ამიტომაც, სიტყვას ბანზე გვიგდებენ და, რუსი გენერლებისგან დაიმედებულნი, ერთი და იგივე მუქარის სიტყვებს გვიმეორებენ: ქართული მოსახლეობით სავსე აჭარა აფხაზეთი ან ოსეთი არ არის, თუ ვარდებით შემოვლენ, ჩვენ იარაღს გამოვიყენებთ და თავხედობას ვანანებთო!..

აი, სწორედ არძინბა და კოკოითი, თავიანთი „პარლამენტარებით“ და „მინისტრებით“, რუსეთის მონობაში გადიდკაცებული ვაიპოლიტიკოსები არიან. ისინი მომავალს უსპობენ საკუთარ ხალხს, რადგანაც ვეღარ გაუგიათ, რომ მსოფლიო თანამეგობრობის აღიარებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია და მალე, ძალიან მალე აფხაზეთი და ოსეთი ისევე „ჩაეხუტება“, მოეფერება დედასაქართველოს, როგორც აჭარა. ამას თვითონ აფხაზი და ოსი ხალხი მოითხოვს და იქმს კიდეც. ხალხის ძალას წინ ვერავინ (უზარმაზარი რუსეთიც კი!) ვერ აღუდგება.

იხ. მე-2 გვ.

◎ კვირის თვალსაწიერი

## გეზის გამოკვეთა სამმხრივი მუქარის ფონზე

**სხვაც ბევრი მოხდა დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ განვლილი კვირა მაინც „ოსეთით“ იყო გაჯერებული.**

**უკვე კარგა ხანია აღარ ვმდგარვართ ასეთ აშკარა სამხედრო კონფლიქტის ზღვართან (აჭარის რევოლუციის წინა ხანებს არ ვგულისხმობ).**

მე პირადად იმათ შორის ვარ, ვინც მიიჩნევს, რომ მეოცე საუკუნის მიწურულს ცხინვალის რეგიონში დატრიალებულ ამბებში, ოს სეპარატისტებთან ერთად, ჩვენც მიგვიძღვის ბრალი; მაშინდელმა საქართველომ, უფრო სწორად საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, პოლიტიკურმა ძალებმა ვერ გამოიჩინეს ვერც სიბრძნე და ვერც მოთმინება, რათა საქმე საბოლოო კონფრონტაციამდე არ მიეყვანათ. და ახლა, როცა ლაპარაკია იმ წლების მოვლენების შეფასებაზე, ალბათ უნდა გვეყოს ძალა და სიმამაცე, რომ ეს ვაღიაროთ.

მაგრამ ჩემი ამ აშკარა „ოსური“ განწყობის მიუხედავად, არ შემიძლია მთლიანად არ დავეთანხმო ხელისუფლების მიერ ამ დღეებში განხორციელებულ ქმედებებს.

იხ. მე-2 გვ.

◎ რეგიონი

## მინისტრები და ექიმები შევიდნენ, ჟურნალისტები – ვერა!

იხ. მე-2 გვ.

◎ კადრები

## ცვლილებები მთავრობაში

**ორშაბათიდან საქართველოს მთავრობა ნდობის მანდატის მოსაპოვებლად კვლავ წარსდგება პარლამენტის წინაშე.**

ქვეყნის პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით უკვე ცნობილია, რომ:

შინაგან საქმეთა მინისტრი გახდება **ირაკლი ოქრუაშვილი**, უშიშროების საბჭოს მდივანი – **გელა ბეჟუაშვილი,** უშიშროების მინისტრი – **ვანო მერაბიშვილი**, თავდაცვის მინისტრი – **გიორგი ბარამიძე,** გენერალური პროკურორი – **ზურაბ ადეიშვილი.**

◎ ინფორმაცია

### განიხილავენ სამოქმედო გეგმას

ხვალ ქალაქ ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში, საქართველოს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხილვა გაიმართება.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე.

აღნიშნული გეგმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიმდინარე წლის 7 აპრილს უკვე გააცნო ნატოს გენერალურ მდივანს იააფ დე ჰოოპ სხეფერს.

### კვლავ „გრენლანდიის“ გატანასთან დაკავშირებით

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის მხარეს საქართველოს ტერიტორიებიდან რუსულ სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მორიგი, მე-9 რაუნდის ჩატარებას სთხოვს.

ქართულ მხარეს სურს, რომ აღნიშნული მოლაპარაკებები 10-11 ივნისს თბილისში გაიმართოს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ ამ შემოთავაზებაზე რუსეთის მხრიდან უახლოეს მომავალში შესაბამის პასუხს მიიღებს.

ინტერ-პრესი.

◎ შაბათობა

## დიდი მამითადი თბილისში



**გარემოს დაცვის მსოფლიო დღე თბილისის მერიის ინიციატივით დიდი შაბათობით აღინიშნა. პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და საკრებულოსა და საკანონმდებლო ორგანოს სხვა დეპუტატებმა თბილისის სხვადასხვა უბნები მოინახულეს და დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღეს.**

ქალაქის დასუფთავება გლდანი-ნაძალადევის რაიონიდან დაიწყო. პარლამენტის თავმჯდომარე და თბილისის მერი სარაჯიშვილის ქუჩას ეწვივნენ და იქ არსებული მოედანი სხვადასხვა სახის ნარჩენებისგან და მცენარეული საფარისგან გაასუფთავეს.

– მოხარული ვარ, რომ დედაქალაქში დღეს ამგვარი აქცია განხორციელდა და მასში მონაწილეობის მიღების საშუალება მომეცა. შაბათობის გამოცდილება ნამდვილად მაქვს. სკოლის პერიოდში მსგავსი სახის ღონისძიებას ჩვენს ეზოში ვახორციელებდით, ვალაგებდით მოხუცთა და ინვალიდთა სახლის მიმდებარე ტერიტორიას. ასპირანტურაში სწავლის დროს კი მშენებლობაშიც ვიღებდი მონაწილეობას. რაც შეეხება საოჯახო საქმეებს, საკმაოდ კარგად გამომდის ყველაფერი, ერთადერთი, რისი გაკეთებაც არ მიყვარს, გაზქურის და მაცივრის გაწმენდაა, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მოედნის დასუფთავების შემდეგ, „მშრომელები“ დედაენის ძეგლისკენ გაემართნენ, სადაც ყვავილების გამოფენა დაათვალიერეს.

დასუფთავების აქცია გუშინ დედაქალაქის ხუთივე რაიონში გაიმართა.

ინტერ-პრესი.

◎ დერეფანი

## ნავთობსადენი ყველა მონაკვეთზე შენდება

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობა საქართველოს ტერიტორიის თითქმის ყველა მონაკვეთზე მიმდინარეობს. როგორც „ინტერ-პრესს“ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიაში განუცხადეს, სამშენებლო სამუშაოები ბორჯომის მონაკვეთზეც გრძელდება.**

დღეისთვის საქართველოს მონაკვეთზე 196 კილომეტრის სიგრძეზე მოხსნილია მიწა, მილები დალაგებულია 191 კილომეტრზე, მილსადენი შედუღაბებულია 176 კილომეტრზე, მიწა გათხრილია 115 კილომეტრზე, მილები ჩალაგებულია 97 კილომეტრზე, ხოლო მილები მიწითაა დაფარული 88 კილომეტრის სიგრძეზე.

მილსადენისა და საქაჩი სადგურების მშენებლობაზე დასაქმებულია 4822 ადამიანი, მათ შორის 3836 საქართველოს მოქალაქეა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სიგრძე საქართველოს მონაკვეთზე 248 კილომეტრს შეადგენს. ნავთობსადენის პროექტი გრაფიკის დაცვით ხორციელდება და მისი დასრულება 2005 წლის დასაწყისისთვის არის გათვალისწინებული.

ინტერ-პრესი.

## ინტერპანორამა

**იაპონიის ქალაქ ხიროსიმის „მშვიდობის პარკში“ ავისმქნელმა ვანდალებმა ცეცხლი წაუკიდეს „მფრინავ წეროებს“, რომლებიც იაპონელი გოგონას სადაკო სასაკის მემორიალურ ძეგლს ამშვენებდნენ. ეს გოგონა ატომური დასხივების მსხვერპლი გახდა. დაიწვა 10 ათასამდე ქაღალდის ფიგურა.**



**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა წარმოადგინეს ერაყის რეზოლუციის მესამე ვარიანტი. მასში, კერძოდ, მიესალმებიან „ერაყის სუვერენული ხელისუფლების“ შექმნას. მრავალეროვან მშვიდობისმყოფელთა მანდატი უნდა ამოიწუროს 2005 წლის 31 დეკემბერს, მანამდე კი ერაყის პრობლემის პოლიტიკური მოგვარების პროცესი მთლიანად დამთავრდეს.**



ლიდერი

# უშიშო, ვითარცა უხორცო...

(პირველი გვერდიდან)

როგორც „კვირის თვალსაწიერში" ჩემი კოლეგა უფრო გამოწვლილვით წერს, საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტის მიერ ოსურ სოფლებში გაგზავნილი მინერალური სასუქი, ცხინვალამდე რკინიგზის ხაზის აღდგენა, ოსი პენსიონერებისთვის ქართული ლარის დარიგება, ერგნეთის კონტრაბანდული ბანდის ალაგმვა, სამშვიდობო საგუშაგოებზე ქართული მშვიდობისმყოფელების კვოტის ხუთასამდე შევსება, პროგრამა „მოამბის" ოსურ ენაზე ამეტყველება, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ ოსები, ძალიან მალე, ავტორიტეტულ, სახელმწიფოებრივი ღირსების მქონე საქართველოში იცხოვრებენ. ომი და ძმათა სისხლისღვრა არავის სურს, მით უფრო — ქართველებს.

ასევეა აფხაზეთშიც. პირველ ივნისს ჩვენმა ბავშვებმა ენგურის ხიდი მზით და მშვიდობის მტრედებით მოხატეს, თუმცაღა, აფხაზებს „შეეშინდათ" და სოხუმიდან აფხაზი ბავშვები არ გამოუშვეს... გაუგებარია, რატომ. როგორც ჩანს, აფხაზები და ოსები გრძნობენ, რომ საქართველოს დღეს ერთადერთი ლიდერი, ავტორიტეტული, სიტყვის კაცი, პრინციპული პრეზიდენტი ჰყავს, თანაც, — უშიშო, ვითარცა უხორცო და ის არასოდეს უკან არ დაიხევს. სხვათა შორის, ამაყ აფხაზებს და ოსებს ისიც კარგად მოეხსენებათ, რას ნიშნავს უკან არდამხევი კავკასიელი სიტყვის კაცი. ამიტომაც, ცოტა გაოგნებულნი არიან.

გასაოგნებელი კი, მართლაც, არაფერია. ქარს გავატანოთ პროვინციული ამბიციები, მშვიდობიანად შევრიგდეთ და ერთად ავაშენოთ ეს ღვთივკურთხეული, ულამაზესი მიწა-წყალი.

**სპარტაკ ქოზულია.**

რეგიონი

# მინისტრები და ექიმები შევიდნენ, ჟურნალისტები — ვერა!

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონას სოფლის მეურნეობის მინისტრის შემდეგ, გუშინ ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი ესტუმრა.**

პატარა ლიახვის ხეობაში მინისტრის ჩასვლამდე იქ იმყოფებოდნენ სამინისტროს სხვა წარმომადგენლები და 30-მდე სხვადასხვა დარგის ექიმი. სოფელ ერედვში დილიდან მიმდინარეობდა როგორც ქართველი, ასევე ოსი ეროვნების მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური გასინჯვა. ცოტა ხანში კი ექიმები ლადო ჭიპაშვილთან ერთად გაემგზავრნენ ამავე ხეობაში სოფელ ქსეუსის მიმართულებით და ამ გზაზე არსებულ ოსურ სოფლებშიც გაჩერდნენ ადგილობრივი ოსი ეროვნების მოსახლეობის პროფილაქტიკური გასინჯვის მიზნით.

გუშინ, დილიდანვე დაგეგმილი იყო ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ჩასვლა დიდი ლიახვის ხეობაში. ისინი გაემგზავრნენ ცხინვალის მიმართულებით, რათა დიდი ლიახვის ხეობაში, სოფელ თამარაშენში გადასულიყვნენ, სადაც იგეგმება ცხინვალი-ჯავის საავტომობილო მაგისტრალის აღდგენითი სამუშაოების დაწყება, თუმცა საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობა ცხინვალის შესასვლელში თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის საემიგრაციო საგუშაგოსთან შეაჩერეს. მოგვიანებით ისინი გაუშვეს დიდი ლიახვის ხეობის მიმართულებით, თუმცა ქართველი ჟურნალისტები დიდი ლიახვის ხეობაში ვერ შევიდნენ.

**ინტერ-პრესი.**

ინფორმაცია

## ცხინვალის რეგიონში გზები შეკეთდება

**საავტომობილო გზების დეპარტამენტი ცხინვალი-თამარაშენის 17-კმ-იანი გზის რეაბილიტაციას იწყებს.**

**როგორც „ინტერ-პრესს" დეპარტამენტში განუცხადეს, ცხინვალის რეგიონში უკვე მოხერხდა გარკვეული ტექნიკის შეტანა და დღეიდან გზის ორმული ამოივსება, ხოლო სამშაბათიდან კი ასფალტ-ბეტონის დაგება დაიწყება.**

**ცხინვალი-თამარაშენის 17-კმ-იანი გზის რეაბილიტაციის შემდეგ, დეპარტამენტი ცხინვალი-ფრისი-ვანათი-კავთისხევის მონაკვეთის რეაბილიტაციასაც გეგმავს.**

**გზების აღდგენისთვის წინასწარი მონაცემებით 600 000 ლარი დაიხარჯება.**

## დიდუბიდან - ცხინვალში

**14-წლიანი პაუზის შემდეგ გუშინ დიდუბის ავტოსადგურიდან თბილისი-ცხინვალის მიმართულებით პირველი ავტობუსი გავიდა.**

**საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის პრეს-სამსახურის ცნობით, თბილისი-ცხინვალის რეისზე მგზავრთა ნაკადი საკმაოდ მაღალი იყო, რომელთა შორისაც იყვნენ როგორც რეგიონიდან დევნილი, ასევე ცხინვალის მკვიდრი მოსახლეობა.**

**ავტობუსით მგზავრობის ღირებულება 2,5 ლარით განისაზღვრა. ამასთან, ბავშვებს, ინვალიდებს, მოხუცებს, პედაგოგებსა და პენსიონერებს სათანადო საბუთების წარდგენის შემთხვევაში უფასოდ მგზავრობა შეეძლებათ.**

**რეისი თბილისი-ცხინვალის მიმართულებით „იკარუსის" ტიპის ავტობუსებით ყოველდღიურად, დღეში ორჯერ შესრულდება.**

საჩუქარი

## სასპორტო კომპლექსი - ბავშვებს

**გუშინ, თემქაზე უნარშეზღუდული ბავშვებისათვის სასპორტო - გამაჯანსაღებელი კომპლექსი გაიხსნა. იგი იაპონიის და თბილისის მთავრობის ერთობლივი დაფინანსებით გაკეთდა.**

**კომპლექსის გახნას თბილისის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე დაესწრო. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ობიექტების გაკეთება, სადაც უნარშეზღუდულ ბავშვებს ექნებათ მისვლის შესაძლებლობა.**

**ინტერ-პრესი.**

კვირის თვალსაწიერი

(პირველი გვერდიდან)

მთავარი ეს არის: ცხინვალის მისადგომებთან ქართული სამხედრო ნაწილების თავმოყრა სულაც არ მომხდარა თბილისის ახირებით. ერთი რუსი სალდაფონის დაუფიქრებლად განცხადებული შედეგი იყო.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსი სამშვიდობოების სარდალს გენერალ სვიატოსლავ ნაბძოროვს სხვა დროსაც დაურტყამს ჩვენთვის მუშტი მაგიდაზე, მაგრამ ახლა პირდაპირ ულტიმატუმი წამოაყენა, — თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოსაზღვრე ქართულ სოფლებში პოლიციის საგუშაგოები გააუქმეთო. თანაც, თუ 31 მაისის შუადღის სამი საათისთვის არ გაგიტანიათ, ჩვენ თვითონ გავიტანთო (მისი ამ ულტიმატუმის მიზეზის ახსნა იოლია: კონტრაბანდაზე, მათ შორის ერგნეთის ბაზრობაზე თბილისის მასირებულმა შეტევამ შემოსავლის წყარო გადაუკეტა არა მხოლოდ ოფიციალურ ცხინვალს, არამედ რუს სამშვიდობოებსაც).

დარწმუნებული ვარ, იმდღევანდელი დაქადნების გამო ბაქი-ბუქა გენერალი ახლა, დიაღაც, ნანობს. მის ამ დაუფიქრებელ განცხადებას საქართველოში აღშფოთების ისეთი გრიგალი მოჰყვა, ეს რომ გაეთვალისწინებინა, კრინტს როგორ დაძრავდა (მით უფრო, რომ საბოლოოდ ამ ამბავს მისი კარიერა შეეწირა).

მაგრამ, იმის ნაცვლად, გენერლის შემოთვლილი შეესმინა და იქიდან მოეკურცხლა, ქართულმა მხარემ ამჯერად უჩვეულო სიჯიუტე გამოიჩინა და ტექნიკა და ცოცხალი ძალა მიაყარა შიდა ქართლის სოფლებში ტყვიავში, ფხვენისში, ზემო ნიქოზში, დიცში და ერედვში იმ ბლოკ-პოსტებს, რომელთა წია-წია წაღებასაც ნაბდზოროვი გვპირდებოდა...

ქართული სამხედრო ძალის თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მიჯნასთან მობილიზებას, ბუნებრივად მოჰყვა ცხინვალის ჩამოკიდება მოსკოვის სატელეფონო ხაზზე. შედეგმაც არ დააყოვნა. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროდან ალექსეი მიტროფანოვის, კონსტანტინე ზატულინის და სხვათა ბოღმიანი გამოსარჩლება გახმიანდა. ამას იქაური საგარეო საქმეთა სამინისტროს არაორაზროვანი განცხადებაც მოჰყვა. საერთოდ, მოსკოვს უკმაყოფილება არ დაუმალავს. მაგრამ ყველაფერი ღრჯუ ბუზღუნს არ გასცილებია.

ნაბდზოროვის ყინჩი დემარში ქარს გატანებული აღმოჩნდა და მას შემდეგ, რაც თვალსაჩინო გახდა, რომ ქართულ ბლოკ-საგუშაგოებს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, იქ დამატებით შეყვანილი ძალები უკან გამობრუნდა.

მთავარი მერე მოხდა. როგორც კი „საზღვარი" კვლავ მოხალვათებული იხილა, ახლა ედუარდ ქოქოითი დაგვემუქრა... ბლოკადითა და საქართველოს სამხედრო გზის გადაკეტვით, შემდეგ კი ისეთი რამ იკადრა, რაც არ უნდა ეკადრა: თამარაშენში მიმავალ საქართველოს პირველ ლედის სანდრა რულოვსს ცხინვალზე გასასვლელი შეუკრა და მან სტუმრობის ადგილს შვეულმფრენითღა ჩააღწია.

ისე, ქალბატონმა სანდრამ დაამტკიცა, რომ პრეზიდენტის ღირსეული თანამეცხედრე და ისიც კარგი უჯიათია: ყუმბარმტყორცნებით შეიარაღებულ ქოქოითის ხალხს არ შეეპუა, თამარაშენიდან უკან დაბრუნება მაინც ცხინვალზე გავლით გადაწყვიტა და თანმხლებთ რომ არ ემარჯვათ, იქნებ თავისი გაეტანა კიდეც. ძნელი სათქმელია, როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები, თუმცა სულაც არ ვფიქრობ, რომ მთელი ცხინვალი ტელევიზიით ნანახი ისეთი მეომარი ქალბატონებით არის დასახლებული, მუშტებით რომ მოიწევდა სტუმრებზე და ძლივს აკავებდნენ.

# გეზის გამოკვეთა სამმხრივი მუქარის ფონზე



ცხინვალთან მომხდარმა ამბავმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა: ამ რეგიონის საკითხი დროულად უნდა გადაწყდეს.

და ალბათ გადაწყდება კიდეც. პირველი მერცხლების — კმარელების მოძრაობა უკვე იგრძნობა ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დედაქალაქში, მართალია ჯერ არალეგალურად, მაგრამ ყოველთვის ასე უჩუმრად არ იწყებენ ხოლმე?

ამ ამბავს სხვა გამოძახილიც მოჰყვა. ოსების პატრონობა აფხაზებმა იკისრეს, საცეცები აამოძრავეს და ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების სოხუმში მიწვევა გადაწყვიტეს დაჩაგრულთა დასაცავად და აგრესორი ქართველების ჭკუის სასწავლებლად.

ესეც სამმხრივი მუქარა!..

მაგრამ თბილისმა თავისი გეზი უკვე გამოკვეთა: უახლოეს მომავალში სარკინიგზო მოძრაობა აღდგება თბილისი-ცხინვალის მონაკვეთზე; უკვე დაიწყო ტელევიზიის პირველი არხით „მოამბის" ოსურ ენაზე გადაცემა; პენსიები მიეცემათ ამ რეგიონში მცხოვრებ ოს მოქალაქეებს; შეპირებული არიან სასუქის დარიგებას (თუმცა ცხინვალის ხელისუფლება ირწმუნება, თქვენი სასუქი არ გვჭირდება, ნაკელი თავზე საყრელად გვაქვსო).

ამის პარალელურად ათი წლის წინათ მივიწყებული შეთანხმებისამებრ, თბილისი თავის კვოტას სრულად — 500 კაცამდე შეავსებს, სათანადო ტექნიკის თანხლებით.

**31 მაისს** გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის მთავრობის" პრეზენტაცია, რომელმაც საზოგადოების ცხოველი დაინტერესება გამოიწვია, რადგან მისი ლიდერია გია მაისაშვილი, ერთ დროს მიხეილ სააკაშვილის თანამოსაგრედ რომ მოიაზრებოდა, დღეს მისი ოპონენტია. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია, მისი დამაარსებლის ჩანაფიქრით, „შექმნის ქვეყნის მართვის, მექანიზმებისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბების პრეცედენტს, იმის კონტრასტს, თუ როგორ უნდა ოპერირებდეს პატარა, ეფექტიანი, ორგანიზებული მთავრობა და როგორ ოპერირებს არსებული მთავრობა. ეს იქნება სასემინარო მთავრობა, მთავრობის უნივერსიტეტი, ფაქტობრივად სამჭედლო, სადაც კადრები მომზადდება". მე მინდა, ინტელექტუალურ და ზნეობრივ მარწუხებში მოვაქციოთ ეს მთავრობაო, აცხადებს გია მაისაშვილი.

საზოგადოების დაინტერესებას ისიც აცხოველებს, რომ ბატონი გია არ მალავს: „მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს ვიყრი და სააკაშვილს იმ ცხენიდან ჩამოსვამ, რომელიც კარგად მოირგო, მაგრამ ცხენზე ჯდომა არ იცისო"...

**დიდი** ვნებათაღელვა მოჰყვა პარლამენტში კონტროლის პალატის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხს. ჩავარდა ქვანიას გუნდის წევრის დავით ტყეშელაშვილის კანდიდატურა, ჩავარდნის პირასაა ნინო ბურჯანაძის მიერ დასახელებული ზურაბ სოსელიას კანდიდატურაც. სანამ ამ ორი პიროვნების გამო შუბები იმსხვრევა და პარლამენტარები თავიანთი დროშების ირგვლივ ირაზმებიან, უფრო პრაგმატულმა ნაციონალებმა შეიძლება თავიანთი კაცი წამოსწიონ და გაიყვანონ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, კულისებში ცნობილი ეკონომისტის მიხეილ ჯიბუტის გვარი ხმიანობს.

**ძალიან** გააქტიურდა „მემარჯვენე ოპოზიციის" საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი დავით გამყრელიძე. ის და მისი თანამებრძოლები გაშლილი ფრონტით უტევენ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას. ამჯერად მათ საბაბი იმან მისცა, რომ „საქართველომ, რუსეთის მოთხოვნის საპასუხოდ, უარი თქვა „ვნეშეკონომბანკის" აქტივებზე. იმისათვის, რომ წლეულს არ გადავიხადოთ 22 მილიონი დოლარი, რუსეთს ვაჩუქეთ 52 მილიონი დოლარი აქტივებიო" — აცხადებენ.

**ზურაბ ჟვანიას** უტევდა დავითაშვილი-ძიძიგურის ტანდემიც, ჟვანია სააკაშვილისგან განსხვავებულ, საკუთარ თამაშს თამაშობსო (ქედაში მათ გამგებელმა — „ჟვანიას კაცმა" ხალხთან შეხვედრის შესაძლებლობა არ მისცა).

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები აჭარაში, მით უფრო აქტიურობენ იქ რესპუბლიკელები, თუმცა აჭარის დროებითი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს პარლამენტის წევრებს აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებათ და ამდენად იქ სიებში ველარ ვნახავთ დავით ბერძენიშვილს, თამაზ დიასამიძეს... ვერც დემოკრატ ედვარდ სურმანიძეს. მხოლოდ კობა ხაბაზმა თქვა უარი ნაღდზე — პარლამენტარობაზე — 20 ივნისის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. იდეისთვის თავდადებაც ამას ჰქვია...

**ალეკო ასლანიშვილი.**

◉ გულის ბუხარი

# ტესტური გამოცდა და, საერთოდ, ყოველივე უცხოურის გაუაზრებლად მიბაძვა დამღუპველია

## მართლა ნუ დავიჯერებთ, რომ განვითარებადი ქვეყანა ვართ!

**ჩვენი ქვეყნის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ტრადიციულად დამკვიდრებული იყო და არის შემოქმედებითი წერითი გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. ახლა კი სასწავლო პროცესის არა მხოლოდ ვაინოვატორები ენერგიულად ცდილობენ დაამკვიდრონ ყოვლად არაპედაგოგიური პრინციპი ტესტების სახით გამოცდისა, რაც აბსოლუტურად ანადგურებს ახალგაზრდის აზროვნების უნარს. წერითი გამოცდის დროს ვლინდება ახალგაზრდის აზროვნების, მსჯელობის, გემოვნების და მართლწერის უნარი, რაც აბსოლუტურად უგულებელყოფილია ტესტების გამოყენებისას, რის გამოც გამოცდა მექანიკურ პროცესად არის ქცეული.**

ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ სკოლაში ახალგაზრდებს ასწავლიან იმ მიზნით და იმ ფორმით, რა მოთხოვნილებებიც არის უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე. ამან განაპირობა კიდეც სკოლაში სწავლების ფორმები. კერძოდ, მოსწავლე და მასწავლებელი, რომლებიც ხედავენ, რომ უმაღლესში მისაღები გამოცდები ტესტებით უნდა ჩაბარდეს, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შემოქმედებითს თემებს.

ამდენად, ეს ყოვლად გაუმართლებელი და სოროსელთა აგენტების მიერ შემოპარებული არაპედაგოგიური ღონისძიებაა.

სოროსი შემთხვევით არ მიხსენებია. კაცი, რომელიც თითქმის ყოველი ქვეყნიდან გამოაძევეს, ან სულაც არ გაიკარეს, ლამის ილია ჭავჭავაძის ქვეყნის მებაირახტრედ ვაქციეთ.

ჩვენთან ერთგვარად დამკვიდრდა ამერიკისადმი მიბაძვის მოთხოვნილება, ამერიკანიზმი. ეს ურიგო ტენდენცია როდია. ამერიკა, მართლაც, დიდი და მოწინავე კულტურის ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ ვერ ვითვალისწინებთ ერთ არსებით ფაქტს: ამერიკას ამაღლებული და მკაცრი სახელმწიფოებრივი პრინციპები აქვს თავისი მოქალაქის მიმართ. იქ სახელმწიფო სამსახურს არ გააკარებენ მოქალაქეს, თუ მას შვილი ქურდი, მორფინისტი და, მით უფრო, კაცის მკვლელი ჰყავს. ამაში რატომ არ ვბაძავთ ამერიკას?! ასევე ამერიკაში ვის გააჩერებენ სახელმწიფო სამსახურში, თუ მავანმა სახელმწიფო ხაზინიდან მიითვისა თანხა!

ამ მაღალი ზნეობრივ-სახელმწიფოებრივი პრინციპების პარალელურად მათი ზოგიერთი ე. წ. პოლიტიკური მოღვაწე „განვითარებადი" ქვეყნებისთვის აყალიბებს „დემოკრატიული განუკითხაობის" მოძღვრებას და ჩვენც ამ მხარეს ჩავაფრინდით და ვითვისებთ.

ზედაპირული „ამერიკანიზმის" შედეგად „თავისუფლებით" შევნიღბეთ თავაშვებულობა, „დემოკრატიით" — განუკითხაობა, რითაც გამოწვეულ მრავალ უბედურებას შორის დიდზე დიდი უბედურება ის არის, რომ გავწირეთ ახალგაზრდობა, რის შედეგადაც, როგორც აღვნიშნე, მორფინიზმმა ტოტალურ მასშტაბს მიაღწია, ხოლო იმავე მორფინიზმისა და იმის გამო, რომ გოგონები თამბაქოს მწეველები გახდნენ, იბადებიან დასნეულებული ბავშვები.

ჩვენს დასაპყრობად მობილიზებულმა მაჰმადიანურმა სამყარომ თრიაქი ვერ დაამკვიდრა საქართველოში, ხოლო ყბადაღებულმა „თავისუფლებამ" მორფინიზმის კორიანტელი დააყენა ჩვენში და ათი ათასობით ვაჟი და გოგონა გვეცლება ხელიდან.

დიახ, ე. წ. ფსევდოამერიკანიზმისა და მისი მიმდევრების მეოხებით ითრგუნება ჩვენში ეროვნული ცნობიერება და მართლმადიდებლობა. ეროვნული ცნობიერების გააზრება ის ხერხემალია, რის ძალითაც ჩვენ ვარსებობთ და რითაც მოვაღწიეთ დღემდე. მართლმადიდებლობა და ეროვნულობა ერთი მთლიანი სიდიადეა. მართლმადიდებლობამ, წმინდა ნინოდან და ათონელებიდან, რუსთაველიდან და ილია ჭავჭავაძიდან დაწყებული და თანამედროვეთა ჩათვლით, შექმნა ის თავისთავადი მწერლობა, რომლითაც ვამაყობთ და რომელსაც ღირსეული ადგილი უკავია მსოფლიო მწერლობაში. ასევე მსოფლიო მასშტაბისაა ჩვენი მუსიკალური კულტურა და ხელოვნება, არქიტექტურა და მეცნიერება, აღარაფერს ვამბობთ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ტრადიციებზე. და ყოველივე ამას განაპირობებს ჩვენი ეროვნული ცნობიერებისა და მართლმადიდებლობის ერთიანობის არსი. და ამ დროს მართლმადიდებლობას ნამდვილად არ ეთმობა სათანადო ყურადღება. უცხოელთაგან თავსმოხვეულ სექტებს კი რეგისტრაციაში ატარებენ. ეს კატასტროფის ტოლძალოვანი ქმედებაა.

სავსებით მართებულად ამაყობდა დიდი გიორგი მთაწმინდელი, რომ დღიდან ქრისტიანობის მიღებისა, ჩვენ „არ გადავხრილვართ არცა მარჯვნივ და არცა მარცხნივ", მუდამ თანამიმდევრული, მტკიცე მართლმადიდებლები ვიყავით. ახლა კი შემოგვისიეს ჩვენი გამანადგურებელი სექტები.

განა კოშმარული სიბეცე თუ მავნებლობა არ გამოვამჟღავნეთ, როდესაც მოვინათლეთ განვითარებად ქვეყნად? შეიძლება ქვეყანა, რომელსაც ამდენსაუკუნოვანი სახელმწიფო სტრუქტურა აქვს, ქვეყანა, რომელსაც მსოფლიო მასშტაბის სულიერი კულტურა და სამრეწველო-სამეურნეო ტრადიციები ამშვენებს, განვითარებადი ქვეყნის სტატუსით აფრიკის ტომების გვერდით დაასკუპო? ასეთი მკრეხელობა ჯერ არც ერთ მტერს ფიქრადაც არ მოსვლია, ხოლო უცხოელმა „მრჩეველებმა" და მის მიერ დაფინანსებულმა თანამოღვაწეებმა „განვითარებადის" ჩიხში შეგვაგდეს...

სად გაგონილა, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში ნახავთ ადამიანს, რომ მან იმ ქვეყნის ენა არ იცოდეს და, სახელმწიფო სამსახურს, მით უფრო, სენატსა და პარლამენტს გააკარონ? ჩვენთან კი, პარლამენტში, გამოდის დეპუტატი, უცხო ენაზე მეტყველებს და არავითარ უხერხულობას არ გრძნობს.

დღევანდელი ბევრი მანკიერებისა და ანტიეროვნული საკითხების შესახებ უფრო მასშტაბურად შეიძლება ვისაუბროთ, მაგრამ ამისათვის ამჯერად დრო არ გვრჩება. ტესტებით გამოცდებთან დაკავშირებით კი საკითხები იმიტომ წამოვაყენე, რომ ტესტებით, როგორც აღვნიშნე, ახალგაზრდებს ვუსპობთ აზროვნებას, გემოვნებას, განსწავლულობის უნარს და ვაყალიბებთ იმ უწიგნურ თაობას, რომელიც დაცლილი იქნება ეროვნული ტრადიციების ღირსეულად განვითარების ყოველგვარი მოთხოვნილებისაგან და იქცევა აბრეშუმის გზის ლაქიად, მომსახურე სუბიექტად, უცხოელთა მსახურ პრიმიტივად, რომელსაც არავითარი ეროვნული ცნობიერებისა და მართლმადიდებლური აღმსარებლობის სიდიადის განცდა არ ექნება.

კვლავაც ვიმეორებ — ამერიკის ზედაპირულად წამხედურთა წყალობით თავისუფლების ნიღბით ჩვენში მკვიდრდება თავაშვებულობა, დემოკრატიის ნიღბით — განუკითხაობა და გვავიწყდება ძველბერძნული სიბრძნე: თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა. არც ჩინელთა სავსებით სწორი პოზიცია უნდა უგულებელვყოთ, ქვეყანაში წესრიგი თუ განუკითხაობა მთლიანად მთავრობაზეა დამოკიდებულიო, რომ ამტკიცებენ. ჩვენც უნდა ამოვუდგეთ გვერდში მთავრობას, რათა უცხოელი ვაიმრჩევლებისგან იხსნას ჩვენი ქვეყანა. ჯერ კიდევ მიქელანჯელო შთაგვაგონებდა: როდესაც ქვეყანა ტირის, არავის არა აქვს უფლება იცინოდესო. ჩვენთან კი სიკვდილიანობამ და სიდუხჭირემ კოშმარულ დონეს მიაღწია. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ვაიმოღვაწეებს მილიონები აქვთ გადამალული უცხოეთის ბანკებში. ყოველივე ამ უბედურებისგან ხსნის ერთადერთი რეალური გზაა ერის მობილიზება და განსწავლული, ზნეობრივი ახალთაობის აღზრდა, რომლის გაწირვის ახალი მეთოდის დამკვიდრებას ცდილობენ ჩვენი ვაიგანათლების მუშაკები. ალბათ, ამიტომაც ილვწიან, რომ ტესტებით გამოცდის დამკვიდრებით გამოფიტონ და უწიგნურებად აქციონ ჩვენი შესანიშნავი ვაჟები და გოგონები. სანამ გვიან არ არის, დროულად უნდა ამოვძირკვოთ ტესტებით გამოცდის მანია.

**რევაზ ბარამიძე.**

◉ ინფორმაცია

ფინანსები

### „პროკრედიტბანკის" აქციონერები 14 ივნისს შეიკრიბებიან

**„პროკრედიტბანკის" აქციონერები თბილისში 14 ივნისს შეიკრიბებიან და ბანკის კაპიტალის 8 მლნ. ლარით გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ.**

**როგორც სასტუმრო „მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე ბანკის გენერალურმა დირექტორმა ფილიპ ზიგვარტმა განაცხადა, ამჟამად ბანკის კაპიტალი 20 მლნ. ლარს შეადგენს, თუმცა აქციონერები მის გაზრდას გეგმავენ,**

**„ამასთან, აქციონერებმა მიღებული 3 მლნ. ლარის წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილებაზე უარი თქვეს და მისი კაპიტალიზაცია მოახდინეს. ამის გათვალისწინებით, ბანკის აქციონერები კაპიტალს 11 მლნ. ლარით ზრდიან", — განაცხადა ზიგვარტმა.**

სამართალი

### გაზი გაიაფდება?

**საკონსტიტუციო სასამართლო „ლეიბორისტული პარტიის" სარჩელის არსებით განხილვას ასრულებს და ბუნებრივი აირის ტარიფის გაიაფების მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას 8 ივნისს გამოაცხადებს.**

**როგორც „თბილგაზის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, თავის დროზე სამომხმარებლო ტარიფში „საქგაზის" წილი „თბილგაზს" იმ მიზნით გადაეცა, რომ კომპანიამ ეკონომიკური და ტექნიკური დანაკარგები აანაზღაუროს.**

**როგორც „ლეიბორისტთა" წარმომადგენელმა კახა ძაგანიამ განაცხადა, ექსპერტები ადასტურებენ იმას, რომ გაზის ტარიფი ხელოვნურად არის გაზრდილი. თუ სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირზე ტარიფი 5,6 ლარით უნდა გაიაფდეს.**

**ინტერ-პრესი.**

◉ თვალსაზრისი

# ამომრჩევლის ძალას ვერაფერი მოერევა

**XXI საუკუნე გახდა ახლებურად აზროვნების, ღვთის გზაზე შემობრუნების, ცხოვრების სამართლებრივად მოწესრიგების, ჯუნგლების კანონის ადამიანთა საზოგადოებაში გამოყენების დაგმობის საუკუნედ.**

**ამომრჩეველთა ახლებურად აზროვნების უშუალო შედეგია ვარდების რევოლუცია. ეს სრულიად ახალი სიტყვაა რევოლუციების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ეს არის უსისხლო და ამიტომ ყველაზე ძლიერი და საბოლოო, რადგან იგი ხალხის (ერის) ნებას გამოხატავს.**

ამომრჩეველთა არმია სულ სხვა ტიპის ახალი არმიაა. მისი მებრძოლია ამომრჩეველი. იგი შეიარაღებულია ერთადერთი, მაგრამ ტანკზე უფრო ძლიერი იარაღით, ეს არის „ამომრჩევლის ხმა".

ამომრჩეველთა რევოლუცია განხორციელდა. ახლა მისი უმთავრესი ამოცანაა მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნება, რაც ნამდვილად არ არის ადვილი.

რა მოეთხოვება ამომრჩეველს, რომ მან შეასრულოს თავისი როლი? მას მოეთხოვება იყოს თავისი „ხმის" პატრონი, რათა შეძლოს ქვეყნის პატრონობა. ეს ნიშნავს:

1. მისცეს ხმა ღირსეულს, ხალხის (ერის) ინტერესების დამცველს;

2. საკუთარი ძალებით დაიცვას თავისი ხმა გამყალბებლისაგან, აღარ იკადროს სხვა ქვეყნიდან უთვალავი დამკვირვებლის მოწვევა. ეს თავის დამცირებაა, უსუსურობის აღიარებაა, რაც არ გვეკადრება. ყველა საარჩევნო უბანში არის სულ ცოტა 100 (თუ მეტი არა) ღირსეული ამომრჩეველი, რომელიც იმორიგევებს საარჩევნო უბანზე კენჭისყრის დაწყებიდან, მის მსვლელობაში და ხმების დათვლისას, ვიდრე ოქმის გაფორმება და მასალების დალუქვამდე. მათვე შეუძლიათ შედეგების ჩაწერა, რომ საოლქო და ცენტრალურ კომისიებში ვერ შეძლონ გაყალბება.

3. არჩევნების დასრულებიდან კი დაიწყოს ამომრჩევლის მუდმივი მოვალეობის შესრულება იმის გათვალისწინებით, რომ დეპუტატი ხალხის (ამომრჩევლების) მსახურია. უწყვეტად ადევნოს თვალყური დეპუტატის საქმიანობას. პერიოდულად მოიწვიოს იგი საარჩევნო უბანში, მოისმინოს მისი ანგარიში, მისცეს სათანადო შეფასება. ხოლო როცა იგი ვერ ამართლებს ნდობას, დასვან საკითხი მის გამოწვევაზე.

ამ გზით ამომრჩეველი არჩევნებიდან არჩევნებამდე თავად იზრდება და აუმჯობესებს საპარლამენტო კორპუსს ხარისხობრივადაც.

გვეტყვიან, ვინ მისცაო ამომრჩეველს ამდენი უფლება? უფლებას ხალხს არავინ აძლევს. იგი მას თავად ფლობს და არავისგან არ მოითხოვს მომეციო. არავის მიუცია მათთვის ვარდების რევოლუციის უფლება.

თქმულა, — რაც ხალხი, ის მთავრობაო (რაც ერი, ის ბერიო). ერთი სიტყვით, თუ გვინდა კარგი მთავრობა გვყავდეს, უნდა ვიყოთ ღირსეული ამომრჩეველი, დავამყაროთ სრული დემოკრატიული მმართველობა, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი ინიციატივის განვითარებას, მცირე და საშუალო ბიზნესის გაფურჩქვნას, სოფლის და რაიონის ბიუჯეტის განმტკიცებას, პიროვნების ნამდვილ თავისუფლებას და რეალურ თანასწორუფლებიანობას.

საბჭოთა კავშირი დაინგრა და ხალხთა მონაპოვარი (უფასო მკურნალობა, სწავლა-განათლება, გარანტირებული სამუშაო ადგილი, ანაზღაურება, საპენსიო უზრუნველყოფა და სხვა) დაიკარგა იმიტომ, რომ დემოკრატია იყო სუსტი. სჭარბობდა ცენტრალიზმი და სუბიექტიზმი. ამიტომ გაიდგა ფესვი მექრთამეობამ, კორუფციამ, ჩაკვდა ადგილობრივი ინიციატივა და... დაინგრა ქვეყანა. ამომრჩეველმა ვერ მოიხმარა თავისი უფლება.

არჩევნებიდან არჩევნებამდე ამომრჩეველი ყალიბდება დამოუკიდებელ და მებრძოლ ამომრჩევლად. თავისუფლდება მონური სულისაგან, აღარ ეძებს მესიას, მხსნელს სხვაგან. თავად არის ქვეყნის პატრონი და გამგებელი. ისტორიის არაერთმა მწარე გაკვეთილმა დაარწმუნა ამომრჩევლები თავის უფლებებში და დაანახა მათი რეალიზაციის შესაძლებლობები. ვარდების რევოლუცია ახალი საუკუნის აღმოჩენაა. ეს დაადასტურა საქართველომ. მან პირველად დაარწია ვარდების რევოლუციის აკვანი. მან მისცა მსოფლიოს არნახული რევოლუციის ისტორიული მაგალითი და საქართველოში გამოჩნდებიან ქართველი პიერ დეგეიტერი და ეჟენი პოტიე, რომლებიც დაწერენ ინტერნაციონალის მსგავს ჰიმნს ვარდების რევოლუციისათვის.

შევარდნაძის დემოკრატიამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მისმა ლიდერებმა კანონიც დაივიწყეს და პასუხისმგებლობაც მოიხსნეს ამომრჩევლების წინაშე. გაძარცვეს ქვეყანა. პოლიტიკის დონეზე აიყვანეს ცინიზმი. ხმა მოპარეს ქართველ ხალხს, გზა გაუხსნეს ალენ დალესის დოქტრინას, წაბილწეს ყოველი ქართული და ძვირფასი; გადაგვარების გზაზე დააყენეს ისეთი სახელოვანი ისტორიის, მაღალი კულტურის და მდიდარი ეროვნული ტრადიციების მქონე ქვეყანა, როგორიც საქართველოა.

ამომრჩეველს სჭირდება თანამედროვე პრობლემატურ საკითხებში გარკვევა და ჭეშმარიტების დადგენა. აქ ისინი მოელიან მოწინავე ინტელიგენციის დახმარებას. ერთი ამ პრობლემათაგანია ფულისა და შრომის ურთიერთმიმართება.

ყველას გაეგება, რომ ფულის გარეშე წარმოუდგენელია წარმოება, შენება, ვაჭრობა, ცხოვრება საერთოდ. ფული თავისი ფუნქციით (ქონების აღრიცხვა, განაწილება, გაცვლა, შრომის ანაზღაურება, დაგეგმვა, კონტროლი და ა.შ.) აწესრიგებს პიროვნებების, საზოგადოების, ქვეყნის ურთიერთობებს.

და მაინც, უპირველესი და მთავარია თავად შრომა. მილიონთა შრომა ქმნის საერთო, სახალხო დოვლათს, რაც ფულად ღირებულებაში წარმოგვიდგება. ფული საჭირო გახადა შრომამ და მისმა პროდუქციამ. ამიტომ ფულთან მიმართებაში პრიმატი შრომისაა და მას პირველობას ვერაფერი შეეცილება. შრომა ადამიანის უმაღლესი ზნეობრივი ღირებულებაა. ადამიანის ღირსებაც შრომით ფასდება. „საქმენმან შენმა წარმოგაჩინოს". ალენ დალესის დოქტრინაში უსაშველოდ გაფეტიშებულია ფული, ჩვენმა წინაპრებმა ჯერ კიდევ როდის შერაცხეს იგი „ყვითელ ეშმაკად".

თაობებმა კარგად უნდა ისწავლონ მშობლებისგან, რომ ადამიანი შრომით, კეთილი საქმით ფასდება და არა ფულით და გვარიშვილობით. მათ უნდა გაეგებოდეთ, რომ ფულის გაფეტიშება ისევე საზიანოა საზოგადოებისთვის, როგორც ანტიდემოკრატიული კანონები.

აქედანვე უნდა „ჩაჯდეს" კონსტიტუციაში მუდმივი, უცვლელი კანონები: 1. ხალხის შრომით შექმნილი სიმდიდრის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენება ხალხის საზიანოდ ისჯება კანონით; 2. ნებისმიერი ცვლილება (სიახლე) სტრუქტურებში, კანონებში არ უნდა აყენებდეს მატერიალურ ან სულიერ ზარალს ადამიანს, ან უნდა უნაზღაურებდეს მას; 3. განისაზღვროს ხელფასის და პენსიის მინიმუმი და ვინმემ არ გაბედოს ნაკლების მიცემა და ა.შ.

ამომრჩევლის ნება თანდათანობით გაძლიერდება და შეაკავშირებს ყველა ქვეყნის ამომრჩეველს. ისინი აიძულებენ თავიანთ მთავრობებს ანგარიში გაუწიონ ადამიანთა ძალას. ეს ადამიანთა არც ისე შორეული ცხოვრების სურათია და ახალი, რევოლუციური, ყოვლისშემძლე ძალაა, — მისი უდიდებულესობა ამომრჩეველია. მთელი მსოფლიო იმედოვნებს, რომ იგი გადაარჩენს ქვეყანს, იგი იხსნის მსოფლიოს უსაშველოდ გართულებულ და კატასტროფულად საშიში პრობლემებისგან. სხვა ძალა არ არსებობს.

ძნელ პირობებში უხდება მუშაობა ახალ მთავრობას. მისასალმებელია მათი ახალგაზრდული შემართება, პასუხისმგებლობა და ერთგულება საქმისადმი, ხალხისადმი, მათი პრინციპულობა და სიმტკიცე. მაგრამ მხარდაჭერის გარეშე ვერც გამოცდილი მთავრობა შეასრულებს თავის მოვალეობას. მათ ესაჭიროებათ კეთილმოსურნე კრიტიკა და არა ქილიკი. ჯანსაღი კრიტიკის, ერის ერთგული ოპოზიციის მაგალითად მე ბევრი ოპონენტი მიმაჩნია. განსაკუთრებით კი გამოვარჩევდი კობა დავითაშვილს. მე იგი ჯანსაღი, კეთილმოსურნე ოპოზიციის მაგალითად მესახება. ოპოზიციის მიზანი ერთია — კანონის დემოკრატიულობის და სრულყოფილების ხარისხის თანმიმდევრული გაუმჯობესება და მისი უზენაესობის უზრუნველყოფა. „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" თანდათანობით თმობენ პოზიციებს და მათ ამომრჩევლები (ქვეყნის ბატონ-პატრონები!) იკავებენ. ეს უკვე იგრძნობა ჩვენი ქვეყნის პარლამენტისა და მთავრობის მუშაობაში.

ახლა მთავარია ერთსულოვნება. პირველი ოთხი წელი უდიდესი გამოცდა იქნება ჩვენი ამომრჩევლებისა და მისი პარლამენტისთვის, საერთოდ, მთელი ხელისუფლებისთვის. ამ ამოცანის შესრულებას უნდა მიეძღვნას ჩვენი უნარი და გარჯა.

**მამია ბერძენიშვილი,**
**დიდი სამამულო ომის მონაწილე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 128, კვირა, 6 ივნისი, 2004 წელი.

⊙ ხმა კიევიდან

# შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა...

## კვლავ დავით გურამიშვილის ნეშტის გადმოსვენების თაობაზე

**„[illegible]“ უკრაინულად თარგმნის ისტორიას მე მივუძღვენი მონოგრაფია „ზედაზენზე ასვლა“ (კიევი, 1993), ჩემი სადოქტორო დისერტაციის ნახევარიც ამ თემაზეა. როგორც თანამედროვე ვითარებიდან ჩანს, არსებობს მათი ქართულად გამოცემის აუცილებლობაც. სანამ ამას მოვახერხებდე, მინდა მკითხველს შევთავაზო ერთი მოსაზრება (იმის დასტურად, რომ თვითონაც მიფიქრია დავითის ანდერძზე), გამოთქმული ჩემს წიგნში „პესიმისტის ჩანაწერები“ (კიევი, 1999 წ.): „ყოველთვის, როცა მირგოროდს ვეწვევი, რათა ერთხელ კიდევ მოვუყარო მუხლი „უძვირფასეს პაპას“ (ვაჟას თქმაა), სულ მისი საფლავის ქვაზედ დასაწერი მახსენდება. პოეტი ჩივის, ზედაზნისა და შიო მღვიმის სახლგალავნებით დამშვენებულ მონასტრებში მქონდა წინაპართა „ძვალთ შასალაგი“, მაგრამ სულ სხვაგან დავიმარხე, ხორცით აქ ვლპები, სული კი არც ვიცი, საით წავიდაო.**

განა ძნელი მისახვედრია, საით წავიდოდა დავით გურამიშვილის სული! რა თქმა უნდა, იგი იქ ტრიალებს ქსნის ხეობაში, ლამისყანის ველზე, ზედაზნის ბებერ, სურომოდებულ კედლებთან. ჰოდა, რა კარგი იქნებოდა, რომ სწორედ ზედაზენზე ყოფილიყო „დავითიანის“ უკვდავი ავტორის საუკუნო განსასვენებელი (ბედის რა მწარე დაცინვაა: ძველი ქართული მწერლობის უდიდეს მოძღვართაგან თითქმის არც ერთს ღირსებია სამშობლოში დაკრძალვა. რუსთაველი იერუსალიმში (!) მარხია, სულხან საბა და არჩილი — მოსკოვში, ვახტანგ მეექვსე და თეიმურაზ მეორე — ასტრახანში, ბესიკი — იასში, დავითი — მირგოროდში. მათგან მარტო ასტრაბადის ციხეში გარდაცვლილ თეიმურაზ პირველსა და პირველად განჯაში დაკრძალულ ნიკოლოზ ბარათაშვილს „გაუმართლა“, რომელთა ნეშტებიც თანამემამულეებმა წამოასვენეს და შინ დაკრძალეს).

რაკი მუხთალმა საწუთრომ სხვაგვარად ინება და დავითს სამშობლოს მიწა არ აღირსა, მისი სახელობის მემორიალი სწორედ ზედაზენზე ხომ არ აღგვემართა, რათა საუკუნობით გატანჯულმა პოეტის სულმა იქ ოდნავი შვება მაინც იგრძნოს. მე არ ვამბობ, თვითონ პოეტის ნეშტი გადმოვასვენოთ-თქო, რადგან ეს მოძმე უკრაინელების მიმართ გაუმართლებელი დემარში და უმადურობა იქნებოდა. მე ვგულისხმობ მხოლოდ მოკრძალებულ მემორიალს, რისი მოწყობაც მოღონიერებულ და წელში გამართულ საქართველოს არ უნდა გაუჭირდეს. მაშინ ყველა აქ ამოსულს შეეძლება შეასრულოს დავითის თხოვნა: „შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა...“

ამ დღეებში, როცა სანკტ-პეტერბურგელმა ქართველებმა ანატოლი სობჩაკს თბილისში ძეგლი დაუდგეს, იმ მემორიალის აშენებაზე დიახაც უკრაინაში მცხოვრებ ქართველებს ხომ არ გვეფრუნა-მეთქი, ესეც გავიფიქრე. საქართველოს ტელევიზია ხშირად უჩვენებს ხოლმე უკრაინის მოქალაქე ქართველ ოლიგარქებს, რომლებიც უზენაეს რადაში მოსახვედრად, როგორც ამბობენ, დიდძალ თანხებს ხარჯავენ. მათთვის მსგავსი პროექტის დაფინანსება, თუკი ისურვებენ, სულაც არ იქნება საძნელო!

ვუბრუნდები ისევ ინტერვიუს, რომლის წაკითხვისთანავე მე ტელეფონით დავუკავშირდი მირგოროდს.

**ლუდმილა როზსოხა,** მირგოროდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის მოადგილე: ვალერი დათუაშვილი მირგოროდში 90-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. მას აქ, მგონი, ღვინის არასანქცირებული ბიზნესი ჰქონდა, რაც, ცხადია, ადგილობრივ მილიციას არ მოეწონა. სამი თვის მანძილზე იგი მართლაც უხდიდა მუზეუმის თანამშრომლებს რაღაც პრემიას, თუმცა, რომ გვცოდნოდა, ამას ოდესმე დაგვაყვედრიდა, ახლოსაც არ გავიკარებდით.

**ტატიანა დიდენკო,** დავით გურამიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი: ვალერი დათუაშვილს ერთხნობას იჯარით ჰქონდა აღებული ჩვენი მუზეუმის ერთი ოთახი და თუ იგი მუზეუმს უხდიდა რამეს, სწორედ ამ იჯარის საფასურს. მისი ნათქვამი, მუზეუმის თანამშრომლებს ხელფასს ვუხდიო, მტკნარი სიცრუეა, სახელმწიფოს გარდა, ჩვენ არავინ არაფერს გვიხდის. ისე კი, მან მართლაც დაიწყო მუზეუმის გვერდით სამლოცველოს მშენებლობა, საფუძველიც ჩაყარა, მერე კი სადღაც გაუჩინარდა.

მე ბატონ ვალერის არ ვიცნობ, ამიტომ მასზე მეტს, რაც მუზეუმის თანამშრომლებისგან გავიგე, ვერაფერს მოგახსენებთ, ვიმსჯელებ მხოლოდ იმ პასუხების მიხედვით, კორესპონდენტის შეკითხვებზე რომ გაუცია. მას მიაჩნია, რომ მუზეუმი განთავსებულია სახლში, სადაც დავითი ცხოვრობდა. სამწუხაროდ, პოეტის სახლი არ შემორჩენილა. მუზეუმის შენობა აიგო და გაიხსნა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1969 წლის მაისში, ქართული ლიტერატურის დეკადის დღეებში, რისი მომსწრეც თვითონ ვარ (ამას დაადასტურებენ იმ დეკადის მონაწილე თამაზ და ოთარ ჭილაძეები, ჯანსუღ ჩარკვიანი, ხუტა ბერულავა, ფრიდონ ხალვაში). რა თქმა უნდა, იქ არანაირი დავითისეული ნივთები, წიგნები თუ სურათები არ ინახება. პოეტის ნამდვილი პორტრეტი ხომ საერთოდ უცნობია. გარდა „დავითიანის“ ხელნაწერზე მიხატული ავტოშარჟისა, ჩვენ დავითზე არანაირი იკონოგრაფიული მასალა არ მოგვეპოვება.



პირდაპირ ვიტყვი, გამაოგნა იმის წაკითხვამ, რომ ლესია უკრაინკა თურმე უკრაინელებს ამ რამდენიმე წლის წინათ მალულად (!) გადაუსვენებიათ სურამიდან. დავითის ბედით აგრერიგად შეწუხებულმა პიროვნებამ (სხვათა შორის, ქართული გაზეთის რედაქციამაც და კორესპონდენტმაც!) უნდა იცოდეს, რომ ლესია უკრაინკა საქართველოში არასოდეს ყოფილა დაკრძალული, იგი ნათესავებმა გარდაცვალებისთანავე წაასვენეს (ისე კი, დავითის მსგავსად, გარდაიცვალა, ასევე 1 აგვისტოს, მართალია 121 წლის შემდეგ!). ასეთი მყვირალა ლაფსუსი მარტო ბატონ ვალერის არ მოსდის, საკმაოდ ინტელიგენტი ქართველებისგანაც მსმენია, აკი ლესია ჩვენთან მარხიაო. განვუმარტავ ყველას: დავითისგან განსხვავებით, რომელიც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი იყო და მაშინდელ მალოროსიაში, როგორც დღეს იტყვიან, მუდმივად ცხოვრობდა, ლესია საქართველოში მხოლოდ სამკურნალოდ ჩამოდიოდა, ან საქართველოში მოსამართლედ მომსახურე თავის მეუღლეს კლიმენტი კვიტკას აკითხავდა. თვით სურამში იგი მომაკვდავი ჩამოიყვანეს ქუთაისიდან და ამ პატარა დაბაში მან მხოლოდ სიკვდილისწინა ათი დღე გაატარა!

იხ. მე-5 გვ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 127.

⊙ ინფორმაცია

სიახლე

### იწყება მუდმივმოქმედი დელეგაციების დაკომპლექტება

საქართველოს პარლამენტი მომავალი კვირიდან საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივმოქმედი დელეგაციების დაკომპლექტებას დაიწყებს.

კომიტეტებმა პარლამენტს დადგენილების პროექტი უნდა წარუდგინონ, სადაც დელეგაციებში ფრაქციების კვოტები იქნება განსაზღვრული. თუმცა, ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია თავად განსაზღვრავს დელეგაციის რაოდენობას ხმათა უფლებით და საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ გადაწყვეტილებას ექვემდებარება.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ტრადიციულად ჩამოყალიბდება საზღვარგარეთის ქვეყნებთან საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფები. ბურჯანაძის თქმით, პარლამენტი აღნიშნული ჯგუფების რაოდენობის ზრდას, აგრეთვე სკანდინავიის ქვეყნებთან და ნატო-სა და ევროკავშირში ახლადგაწევრიანებულ ქვეყნებთან ურთიერთობის ჯგუფების დამატებას მიიჩნევს მიზანშეწონილად.

ექსპორტი

### „ყაზბეგს“ ნიუ-იორკშიც მიირთმევენ

**კომპანია „ყაზბეგის“ ლუდი ნიუ-იორკში გაიყიდება. ამ დღეებში „ყაზბეგის“ რუსთავის ლუდის ქარხანაში ამერიკაში გასაგზავნ კონტეინერებს ტვირთავენ.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ კომპანიაში განუცხადეს, „ყაზბეგის“ ლუდის გასინჯვას ნიუ-იორკის მცხოვრებლები უკვე ორ კვირაში შეძლებენ. შეერთებულ შტატებში ნიუ-იორკი მესამე შტატია, სადაც ქართული ლუდი გაიყიდება.**

**„შარშან ქართული სასმელის საცდელი პარტიები თავდაპირველად მაიამსა და ფილადელფიაში გაიგზავნა. შეერთებულ შტატებში ექსპორტზე კომპანია „ყაზბეგი“ ყველა დასახელების ლუდს გზავნის – „ყაზბეგს“, „ტრადიციულს“ და „მონადირეს“. ლუდის გარდა, ამერიკის ბაზარზე პირველი გამოცდა „ყაზბეგის“ ლიმონათმაც ჩააბარა.**

**ინტერ-პრესი.**

⊙ მოგონება

# სამი დაუვიწყარი დღე

## ს. ჯანაშიას უგის წიგნაკიდან (სტალინთან ვიზიტის შესახებ)



**ჩანაწერი:** „ა) ხეთურ ტომებზე – მეტი; პელაზგები, ეტრუსკები... კართაგენი, კართაშენი... (ს.ჯ. – მაკეტში იყო!). ქართული კულტურის მთავარი ფესვები წინა აზიაშია, მაგრამ აქ კავკასიაში ისინი უკვე მეორე ათასწლეულის დამდეგს არიანო; ბ) ქრისტიანობა, ეკლესია. ჩვენი დამოკიდებულება შეიცვალა. გვებრძოდნენ; შეგვაჩვენეს. Объявили войну. Мы приняли войну, а война имеет свою логику. ეხლა სხვაა, ომის დროს ეკლესია კარგად იქცეოდა, ძალიან კარგად ეჭირათ თავი მორწმუნეებს. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ახალ პოლიტიკას. ბევრი შეცდომა მოჰყვა ჩვენს ანტირელიგიურ პოლიტიკას. დიდი სისულელე იყო, რომ მის სათავეში იაროსლავსკი დავაყენეთ. Теплее о Нине! რა საჭიროა ტყვე-ქალი?! ჩაემატოს: ქრისტიანობა – მონობას (ე.ი. დაუპირისპირდა – ს.ჯ.) . გ) რუსეთთან კავშირი, უმცირესი ბოროტება. ეს სჯობდა მაინც სპარსეთსა და ოსმალეთს. ოსმალები – ყველაზე ცუდი დამპყრობლები. წიგნი კი წყდება... ეს თქვით, განა ანტიპატრიოტული იქნება, როგორ ფიქრობთ?

**მე:** ახალში ასე გავაკეთეთ დაბოლოება.

**სტ.:** ეს კარგია! რას ფიქრობთ XIX-XX სს.; უნდა გაკეთდეს.

**ჩარკვ.:** ესენი ძველ პერიოდებზე მუშაობენ. დავალებული ჰქონდა სხვას, არ გამოვიდა.

**წინ-ლი:** წიგნში ერეკლე არ არის სათანადოდ დახასიათებული.

**სტ.**: არ არის მართალი; უფრო ვრცლად არ შეიძლებოდა, ეს ხომ სახელმძღვანელოა.“

„საქართველოს ისტორიაზე“ საუბარი ყოველ შეხვედრაზე მიმდინარეობდა. შაბათს, საუზმის დროს, ჩანაწერი:

**სტ.:** კრიტიკა არ გინდათ?

**მე:** როგორ არა, თუ სახელმძღვანელო აიტანს.

**სტ.:** რატომაც! ვინ გინდათ გააკრიტიკოთ?

**მე:** გასაკრიტიკებელი ბევრია, მაგალითად, ზოგი ჩვენი მეზობელი.

**სტ.:** ვინ? უზბეკები?

**მე:** არა, ეგენი შორს არიან! ახლო მეზობლები.

**სტ.:** ოსები?

**მე:** არა, სომხები! ურარტუს მოსახლეობის საკითხი, მოსე ხორენელის საკითხი, фальсификатор. სტალინი შემდეგ საღამოთი ხშირად ამბობდა Моисей Хоренский მატყუარას მნიშვნელობით. ვიღაცამ სუფრაზე ღვინო მოიპარა – М. Хоренский დაარქვა სტალინმა, ხუროთმოძღვრების ისტორიაში გვებრძვიან-მეთქი! ჩარკვიანი ზოგადად იგონებს ჯვარისა და ატენის ურთიერთობის საკითხს. მე უფრო დაწვრილებით, დიუბუა დე-მონპერე... ძეგლების გეოგრაფია, ორბელი, ინტრიგები...

სტალინი განრისხდა: ჩვენ არ გვეცალა ამ საქმეებისათვისო, теперь мы возьмемся за этих старых кляч! კომაროვზე ამბობს: არც მოხსენების გაკეთება შეეძლო და არც სიტყვები. Мы его и погнали. ორბელი წამოაყენა პრეზიდენტად (მრისხანებით ამბობს). Мы его погнали. თამამები უნდა იყვეთ!

მე: წინააღმდეგობას გვიწევენ არა მარტო სხვაგან, თვით რესპუბლიკაშიც.

**სტალინი** (ჩარკვიანს): პასუხისმგებლობა თავიდან არ უნდა აიცილოთ... посадят какого-нибудь дурака!.. რატომ წიგნს არ აწერია, რომ მოწონებულია?

**ჩარკვ.:** ეხლა დავაწეროთ, რომ მოწონებულია ნარკომპროსის მიერ.

**სტ.:** ეს არ არის საკმარისი. უნდა დააწეროთ, რომ მოწონებულია სახკომსაბჭოს მიერ.

**ჩარკვ.:** მაშინ შევქმნით სახკომსაბჭოს კომისიას...

**სტ.**: это будет такая книга, по которой будут равняться во всех республиках – на Украине, в Белоруссии... დღემდის ხომ არ ყოფილა საქართველოს ისტორია ასეთი. ცალკე მე და ნიკოს, როცა გადავეცი რუსული ვარიანტი, გვითხრა: კარგი წიგნი გამოვა ეს“.

ერთ-ერთ შეხვედრაზე კვლავ რელიგიაზე იმართება საუბარი. **ჩანაწერი:** „ქრისტიანობა, ისლამი, ასკეტიზმი და ქართველი ხალხი. ალექსანდრე მაკედონელი ეგვიპტეში, ახალგაზრდა, но умный мужик. მიიღო იქაური რელიგია. Если эта игрушка нужна народу, дайте ее ему! Чем больше мы нейтрализуем, тем меньше будет верующих. მითრიდატი, პონტო, ფარნა (მახარი).

**მე:** დავით გარესჯა სანახევროდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებშია, ეს შესანიშნავი ძეგლია-მეთქი.

შაბათს, დღისით, სადილის წინ, ზევით, სტალინი რუკებს სინჯავს დაწვრილებით, გამადიდებელი შუშით.

**სტ.:** როგორ არის ბელაქნის საკითხი?

**ჩარკვ.:** ისტორია. მახარაძემ გადასცა, ვიპოვე, მისი ხელმოწერილი დოკუმენტი: торжественно отказываемся...

**სტ.:** მახარაძე არაფერ შუაშია. Он занимал пост... ეს ორჯონიკიძემ გააკეთა. ჩვენ გვშეგვატყობინა მხოლოდ შემდეგ. ეს სერგომ ქნა. По-комсомольски решал Орджоникидзе национальный вопрос.

**ჩარკვ.:** უნდა გადმოგვეცეს ჩვენ...

**სტ.:** ეხლა ძნელია. აი, თუ აზერბაიჯანმა მიიღო რამე ირანისაგან, მაშინ შეიძლება...

საუბარი ფერეიდანზე.

**ჩარკვ.:** გადმოვასახლოთ.

**სტ.:** რამდენია, რას წარმოადგენენ? შეიძლება (დათმობით ამბობს). შემდეგ სპარსელებზე: ... გადაასახლეს ხალხი, и сразу поставили на ступень ниже.

საუბარი სააკაძეზე და ერეკლე II-ზე, ვინ უფრო დიდი სარდალი იყო.

ჩარკვ.: ქისტები გადაასახლეს.

**სტ.**: არა, мне Берия говорил другое...

**მე:** პანკისის ქისტები დარჩნენ.

სტალინის შენიშვნები ჩეჩნებზე და მათ ღალატზე.

**სტ.:** ქისტები ქართველების მონათესავენი არიან. ჩერქეზებიც ხომ? (მომიბრუნდა მე!)“.

იხ. მე-5 გვ.

ხმა კიევიდან

# შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა...

(მეოთხე გვერდიდან)

დავუშვათ და ლესია მართლაც რომ ყოფილიყო საქართველოში დაკრძალული, მალულად რატომ უნდა წაესვენებინათ? უკრაინაზე რაღაცნაირი განაწყენება შეინიშნება ვალერი დათუაშვილის საუბარში!

მე ვფიქრობ, რომ იგი ძალიან ცდება, როცა ამბობს, დავითის გადმოსვენება არ არის პოლიტიკის საგანიო. არის და თანაც როგორი! ამ საკითხზე მე ვთხოვე აზრის გამოთქმა რამდენიმე გამოჩენილ უკრაინელ მწერალს. აი, რა თქვეს მათ.

**ვლადიმერ იავორივსკი,** უკრაინის ეროვნული მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ტარას შევჩენკოს სახ. ეროვნული პრემიის ლაურეატი, უკრაინის უზენაესი რადის დეპუტატი: მე მესმის იმ ადამიანთა პატრიოტული აღტკინება, რომლებსაც სურთ დიდი წინაპრის ანდერძი თუნდაც ორასორმოცდაათი წლის შემდეგ შეასრულონ. იქნება მეც ასე მეფიქრა რომელიმე ჩვენს დიდ მწერალზე, რომელსაც, ასევე არ ეღირსა მშობლიურ მიწაში დაკრძალვა, მაგრამ დავითის მისია ხომ უნიკალურია. მისი ნეშტის საქართველოში გადასვენებას უკრაინული მწერლობა, ეჭვი არ მეპარება, დიდი სინანულით აღიქვამს.

**ბორის ოლიინიკი,** პოეტი-აკადემიკოსი, უკრაინის კულტურის ფონდის თავმჯდომარე, ტარას შევჩენკოს სახ. ეროვნული პრემიის ლაურეატი, უკრაინის უზენაესი რადის დეპუტატი: ჩემთვის, როგორც პოლტაველისთვის, რომელიც ბავშვობიდან დავით გურამიშვილს თავის თანამემამულედ თვლის, მეტად დასანანი იქნება მირგოროდიდან მისი ნეშტის წასვენება. ასეთ შემთხვევაში გინდა თუ არა, უნებურად გაიფიქრებ: ისეთი რა ვაწყენინეთ ჩვენს მეგობარ ქართველებს, რომ მიასვენებენ პოეტის ცხედარს, რომელიც ორას წელზე მეტია ჩვენს მიწაში განისვენებს.

**დმიტრო პავლიჩკო,** პოეტი, ტარას შევჩენკოს სახ. ეროვნული პრემიის ლაურეატი: მე არ ველოდი თუ ასეთი აზრი ვინმეს მოუვიდოდა. განა უკრაინა ღირსეულ პატივს არ მიაგებდა და დღესაც არ მიაგებს მოძმე ერის უკვდავ შვილს, განა მიკოლა ბაჟანის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი „დავითიანი“, რომელიც ჩვენში არაერთგზის გამოცემულა, არ არის ამ პატივისცემის დასტური. შესაძლოა ამ ბოლო დროს სახელმწიფო ვერ იჩენდეს სათანადო ყურადღებას პოეტის მუზეუმის მიმართ, მაგრამ ეს ჩვენი დღევანდელი დუხჭირი ყოფის შედეგია და არა უყურადღებობის ან უგულებელყოფის დასტური. ქვეყანაში საერთო ეკონომიკური მდგომარეობის მოგვარებასთან ერთად, დარწმუნებული ვარ, მუზეუმის შესაბამისად დაფინანსების საკითხიც მოგვარდება. ჩემი აზრით, დავითის ცარიელი სამარე იქნება უკრაინის მიწისთვის სრულიად დაუმსახურებლად მიყენებული ჭრილობა. რამდენი ხანია, რაც დიდი ქართველი პოეტი უკრაინული პანთეონის განუყოფელ ნაწილად იქცა და მისი იქიდან ხელოვნურად ამოძირკვა არა მგონია ქართულ-უკრაინულ ურთიერთობათა შემდგომი განვითარების სტიმულად იქცეს.

მე, ბუნებრივია, მივმართე პოლტავის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციასაც, საიდანაც მივიღე ოფიციალური წერილი. მომაქვს იგი მცირეოდენი შემოკლებით: „უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს რ. ჩილაჩავას. ბატონო რაულ! თქვენი წერილობითი მომართვის შესაბამისად გიგზავნით ინფორმაციას მირგოროდის დ. გურამიშვილის სახ. მუზეუმის შესახებ. მირგოროდის საქალაქო საბჭოს მეოთხე მოწვევის მეცამეტე სესიის გადაწყვეტილებით (29.08.03) დავით გურამიშვილის მუზეუმი გამოყვანილია მირგოროდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შემადგენლობიდან და დამტკიცებულია ამ დაწესებულების ახალი დებულება. ამასთან დაკავშირებით მირგოროდის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მიერ 1997 წლის 23 აპრილს გაცემული განკარგულება ნომერი 187, რომლითაც მუზეუმები არიან გაერთიანებული, გაუქმებულია. ამჟამად მუზეუმს კვლავ დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი გააჩნია. მუზეუმის თანამშრომელთა საშტატო და ფაქტობრივი შემადგენლობა ოთხი ერთეულია: დირექტორი, მეცნიერ-თანამშრომელი, მეთვალყურე და ტექნიკური მოსამსახურე. მხოლოდ ხელფასებისთვის მიმდინარე წელს საქალაქო საბჭოს მიერ მუზეუმის დაფინანსება გაზრდილია 11 ათას გრივნამდე (2 ათას დოლარამდე



– **რ.ჩ**). მცირეოდენ თანხას მუზეუმი ღებულობს ბილეთების გაყიდვისგან. დაფინანსების სხვა წყარო არ არსებობს.

მირგოროდის საქალაქო საბჭომ მუზეუმთან ერთად შეიმუშავა დავით გურამიშვილის დაბადების 300 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებათა გეგმა. იუბილეს ჩატარება განზრახულია 2005 წლის ოქტომბრისთვის.

პატივისცემით პოლტავის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა განყოფილების გამგე ვიქტორ სოშინი. 2004 წლის 7 აპრილი“.

როგორც ვხედავთ, დავით გურამიშვილის სახელი სულაც არაა დავიწყებული უკრაინაში! და აქ უკვე, მგონი, კიდევ ერთ მთავარ სათქმელსაც მივადექით: დავითის ხსოვნის უკვდავსაყოფად უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა მისი შემოქმედების პროპაგანდა, „დავითიანის“ ახალი გამოცემების მომზადება, უკეთუ სწორედ მისმა ავტორმა შეძლო ყველაზე უკეთ დაენახა, შეეგრძნო და გამოესახა ყველა ჩვენგანის სულიერებაში ღრმად გამჯდარი მარადიული „ქართლის ჭირის“ ფესვები.: განა ძმის მიერ ძმისთვის „ყისტის მოდება“, „კახელების ალმა ხნულის ქართლელების მიერ დაღმა ფარცხვა“ არ არის ჩვენი ეროვნული ყოფის უდიდესი ტკივილით აღქმული და გაცხადებული მეტაფორა, რომელიც ნებისმიერ ჭეშმარიტ მამულიშვილს უნდა ახსოვდეს, რათა არავის მისცეს მსგავს ქმედებათა მომავალში განმეორების საშუალება.

და კიდევ: ხომ არ აჯობებდა უკრაინელთა და ქართველთა ერთობლივი ძალისხმევით მირგოროდი გვექცია ქართულ-უკრაინულ ურთიერთობათა ცენტრად, არა მარტო კულტურული, არამედ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეხვედრების ადგილად. ქართველებიცა და უკრაინელებიც დიდი დავითის სახელით განათებულ ქალაქში უფრო ადვილად შეძლებდნენ ჩვენი ორი ერისთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე მოლაპარაკებას და შეთანხმებას. ნუ დაგვავიწყდება, რომ მირგოროდი განთქმული კურორტიცაა, სადაც არაერთი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლია. ასეთივე კურორტია ლესია უკრაინკას სახელთან დაკავშირებული ჩვენი სურამიც, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ღირსეულ პარტნიორობას გაუწევს მირგოროდს. პირველი სერიოზული განაცხადი ამის თაობაზე შეიძლება გაკეთდეს გაისად, დავით გურამიშვილის დაბადების 300 წლის იუბილეზე, რომელსაც, უკრაინა, ბუნებრივია, აღნიშნავს. მანამდე კი, თუ ეს წინადადება ორმხრივ დაინტერესებას ჰპოვებს, შემუშავდეს და საჯაროდ განხილულ იქნეს შესაბამისი პროექტი.

რაც შეეხება თვით გურამიშვილის ნეშტის საქართველოში გადასვენების იდეას, ერთხელ კიდევ გავიმეორებ: მისი ხორცშესხმა ერთი კაცის საქმე არ არის, თუნდაც მას ასეთ საკითხებს მთავრობასთან მეგობარი აკადემიკოსი თენგიზ ჩხეიძე უგვარებდეს. პარალელისთვის ვიტყვი: შელის გული რომში მარხია, ბაირონისა – ათენში. რატომღაც არ მსმენია, რომ ინგლისელებს გადაეწყვიტათ მათთვის საუკუნო განსასვენებლის ლონდონში მიჩენა. რამდენადაც ვიცი, არც რუსები აპირებენ პარიზში დაკრძალული ნობელის პრემიის ლაურეატის ივან ბუნინის ძვლების შეწუხებას. მე არას ვამბობ გრიბოედოვზე, ურომლისოდაც წარმომიდგენია, რა უმწეო სანახავი იქნება ნინო ჭავჭავაძის ობოლი საფლავი. თუ არ ვცდები, არც მოძმე აზერბაიჯანელებს უცდიათ თბილისიდან თავიანთი დიდი მწერლის მირზა ფათალი-ახუნდოვის ბაქოში წასვენება. და ეს, უპირველესად, დიახაც იმიტომ, რომ დიდი მწერლების უკან, გვინდა თუ არა ჩვენ ეს, ყოველთვის დიდი პოლიტიკა დგას. ის ადგილი და ის ქვეყანა, სადაც შენი დიდი კალმოსანი განისვენებს, სიმბოლურად შენიცაა. გონიერი შთამომავლობა ამას უნდა ითვალისწინებდეს.

**რაულ ჩილაჩავა,**
**უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პოეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უკრაინის კულტურისა და ხელოვნების ხელმძღვანელ კადრთა სახელმწიფო აკადემიის უკრაინული და უცხო ენების კათედრის გამგე, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დ. გურამიშვილის სახელობის საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი.**

**სურათზე: დავით გურამიშვილის ძეგლი მირგოროდში.**

P. S. **ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ჩემთან მოვიდა კიევის ტარას შევჩენკოს სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი ქართველი სტუდენტი – მიშა საakაშვილი და ლაშა მუკბანიანი თხოვნით, დაგვეარსებინა დავით გურამიშვილის სახელობის საზოგადოება. წესდების შედგენა, როგორც მომავალმა იურისტებმა, თვითონ იკისრეს. დღეს ამ საზოგადოებას საერთაშორისო სტატუსი აქვს და სწორედ დავითის სახელის შენახვას და უკვდავყოფას ისახავს მიზნად. იქნებ გვეკითხა მისი შექმნის ერთ-ერთი ინიციატორისთვისაც, რომელიც დღეს საქართველოს პრეზიდენტია: რას ფიქრობს იგი ყოველივე ზემოთ თქმულის გამო.**

მოგონება

# სამი დაუვიწყარი დღე

(მეოთხე გვერდიდან)

სტუმრებთან სტალინი იხსენებს ახალგაზრდობას, თურმანიძეს და მის მკურნალობას. **ჩანაწერი: სტ.:** „ბავშვობაში ხელი ვიღრძე, მარცხენა, ზედ კალმახს მადებდნენ, მგონი, ბიძა, დედის მხრივ. გულით ავადმყოფს წვრილ კალმახს აყლაპინებდნენო. გოგებაშვილის წიგნებს ხმარობენ თუ არა?

**ჩარკვ.:** მან დაბეჭდა 1902 წ. თქვენი ლექსი.

**სტ.:** რომელი? არ მახსოვს.

**ჩარკვიანი ამბობს.** სტალინი იხსენებს გურიასა და გურულებს, მელქისა გუნთაიშვილს.

**სტ.:** თედო სახოკია ჩემი მასწავლებელი იყო.

**წინ-ლი:** იქმნას, იქნას, თუ იქნეს?

**სტ.:** იქნეს, მყოფადის დაბოლოება არის – ეს. ლიტერატურული ენა არ გქონიათ მყარ მდგომარეობაში (ამაზე ბევრი ილაპარაკა). სინთეზი უნდა: ილია და აკაკი. აკაკის ძალიან მსუბუქი ფორმები აქვს, ენა ეკონომიურობისკენ მიილტვის.

**მე:** ვაჟა, მისი პროზა.



ენიმკის სამეცნიერო საბჭოს საიუბილეო სხდომა ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის 40 წლისთავის გამო. 1939 წელი.

**სტ.:** მთიელების ენა ღარიბია.

**მე:** ვაჟას პროზა წარჩინებულია.

**სტ.:** რაკი ძალიან თხოულობენ, Пшавела тоже принять во внимание.

**სტ.:** ანტროპოლოგია ბნელი საქმეა. მთავარია ენები, ენებში კიდევ – სტრუქტურა, სინტაქსი. სიტყვები იცვლება, სტრუქტურა რჩება. მაგალითები: მიყვარს, გიყვარს... люблю, любишь. ჩანს, ქართული ძალიან ძველია“.

შემდეგ ყოფილა საუბრები იაფეტიდოლოგიაზე, მარზე, მეშჩანინოვზე, ორბელებზე, კომაროვზე. საუბარი შეხებია აგრეთვე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შექმნას. ბელადი დაინტერესებულა, არის კი ვინმე ისეთი, ვინც ამ საქმეს მოაბამს თავსო? მამას უთქვამს, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტი არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით გაუძღვება ამ რთულ საქმეს. სტალინს გაუხსენებია ქართული გრამატიკა, ქუთათელაძე, შანიძე.

**ჩანაწერი:**

„ჩარკვიანი სთხოვს სუბტროპიკული რაიონებისთვის პურს.

**სტ.:** მოგცემთ, 8 მილიონი ტონა პური გვაქვს რეზერვში“.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს სტალინი ახასიათებს ხალხებს.

**ჩანაწერი:**

**სტ.:** „რუსები, ანგლოსაქსები, იტალიელები – изобретательный ум სომხები..., ებრაელები, ჩვენ წარმოშობას არ ვუყურებთ, ვინც სჯობს... რუსები – здоровая нация იმიტომ, რომ კაპიტალიზმმა ვერ დააკნინა.

კვირას სტალინმა პირი გაიპარსა კეგელბანში, უბრალო მაგიდას უჯდა. ჯერ გაიპარსა გენერალ-ლეიტენანტ ვლასიკმა, შემდეგ სტალინმა. ელოდებოდა, ეზოში დადიოდა. შემდეგ მე და მ. წინამძღვრიშვილმა. დალაქს უთქვამს წინამძღვრიშვილისთვის, სტალინი მოსკოვში ყოველთვის თვითონ იპარსავსო, მე მხოლოდ ვკრეჭო. ყირიმის კონფერენციაზე კი მე ვპარსავდიო.

სტალინთან საუბარი ჯანმრთელობას შეეხო.

**სტ.:** „ყირიმის კონფერენციაზე თვალყურს ვადევნებდი ანგლო-საქსებს. დღეში ორჯერ-სამჯერ უთუოდ აბაზანას იღებდნენ. ჩავიდოდნენ და ხელად ამოვიდოდნენ.

სტალინი მოსკოველ ექიმებზე ცუდი აზრისაა. სერვილიზმით არიან შეპყრობილნი, თვალებში გიყურებენ, რა გესიამოვნება, რომ გითხრანო. ეს რამდენჯერმე თქვა, ძალიან უკმაყოფილოა. სიმართლეს მალავენო. გაიხსენა კალინინის ავადმყოფობის ისტორია, ექიმები უყურადღებონი არიანო, არ უკვირდებიან ავადმყოფობასო, ექიმი კი უნდა მბრძანებლობდესო. გაიხსენა შჩერბაკოვის ისტორია. ეკითხება წინამძღვრიშვილს:

**სტ.:** სად სწავლობდით? საზღვარგარეთ იყავით? კარგი ექიმიაო?

**მე:** Лучший терапевт.

საუბარი შეეხო ივ. თარხნიშვილსაც“.

**ასეთია ს. ჯანაშიას არქივში დაცული ფრაგმენტული ცნობები ი. სტალინთან სამდღიანი ვიზიტის შესახებ. ვფიქრობთ, წარმოდგენილ პუბლიკაციას გარკვეული ინტერესი მაინც ახლავს.**

**პუბლიკაცია მოამზადა**
**რუსუდან ჯანაშიამ.**
2004 წ. 20 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 128, კვირა, 6 ივნისი, 2004 წელი.

◎ ადამიანი თავის ადგილზე

# ჭიათურაში დიდი გამოცოცხლებაა

**ჭიათურის რაიონის დღევანდელმა თავკაცმა ილიკო ჩიქვილაძემ უმძიმესი მემკვიდრეობა ჩაიბარა — დუხჭირი ცხოვრება და ცარიელი ხაზინა, სახალხო მეურნეობის ღრმა ეკონომიკური კრიზისი, ენერგეტიკული რესურსების უმწვავესი დეფიციტი, მოშლილი საშემსრულებლო დისციპლინა და ჩამკვდარი ენთუზიაზმი, თვეობით ხელფასმიუღებელი, რწმენადაკარგული ათიათასობით მშრომელი.**

— საქმიანობის პირველ ეტაპზე, — ამბობს იგი, — უმთავრეს ამოცანად მიმდინარე ხელფასების დროული გაცემა და ძველი სახელფასო დავალიანებების თანდათანობით გასტუმრება დავისახეთ, რასაც აღრიცხვიანობის მოწესრიგებით და ადმინისტრირების გამკაცრებით მივაღწიეთ. საბიუჯეტო სფეროში ხელფასებს დროულად ვარიგებთ. 800 ათასი ლარის ძველი სახელფასო დავალიანებიდან 100 ათას ლარზე მეტი უკვე გავისტუმრეთ. დავიწყეთ საბაზრო ეკონომიკის ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომლებიც ძირითადად სოციალურ პრობლემებზეა ორიენტირებული. იგი შეუქცევადი პროცესია და ძველსა და დრომოჭმულს ვეღარ შეეგუება.



პირველ ეტაპზევე მიზნად დავისახეთ ქალაქის იერ-სახის შეცვლა, მეთვალყურეობა დავაწესეთ ქალაქის დასუფთავებასა და კეთილმოწყობაზე. ამ სამსახურში საშუალო ხელფასი 100 ლარამდე გაიზარდა, რამაც დასაქმების მსურველთა ინტერესი მაქსიმალურად გაზარდა. დასუფთავების სამსახურს, დამატებით, სამი ავტომანქანა გამოვუყავით, შევუძინეთ ქუჩების სარწყავი ჯაგრისებიანი ტრანსპორტი. ფეხზე დგება წყალკანალიზაციის სამსახური, სისტემაში დასაქმებულთ ხელფასები დროულად ურიგდებათ. ქალაქში წყლის ტარიფი თვეში ერთ სულზე, 115 თეთრს შეადგენს. გამგეობის გადაწყვეტილებით, ამ თანხის 20 პროცენტს ახლა ბიუჯეტი ფარავს. წყალსადენისთვის ელექტროტუმბო, ძრავები და სხვა სათადარიგო ნაწილები შევიძინეთ, გადავეცით სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა. საავარიო სამსახურისათვის სამი ახალი ბრიგადა შევქმენით. მაღლივ კორპუსებში წყლის მიწოდება მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ. სახანძრო სამსახურში ხელფასების გაცემა მოვაწესრიგეთ. სამი ავტომანქანა აღვადგინეთ. რაიონში, სასწრაფო სამედიცინო სამსახური ფიქციურად თუ არსებობდა, დავეხმარეთ ტრანსპორტით, ვაპირებთ, ეს მომსახურება ავადმყოფებისათვის უფასო გავხადოთ.

მუნიციპალურ ბიუჯეტზე მყოფ პოლიციელებს ვაფინანსებთ, სისტემის მთელ შემადგენლობას სპეცტანსაცმელი შევუძინეთ.

რა დასამალია და, აქამდე, მშობლებს ჩვილის „გამოსყიდვა" სჭირდებოდათ, ამიერიდან ყველა მათგანს გამგეობა 50 ლარით ასაჩუქრებს. გარდაცვლილ ომის ვეტერანთა ოჯახებს 250 ლარით ვეხმარებით.

ეს დიდი შეღავათია მოსახლეობისთვის. რაიონის გამგეობა ინტენსიურად უვსებს ბიუჯეტს ქალაქის გამგეობას. ღარიბი სოფლის საკრებულოებს შეძლებისდაგვარად ვეხმარებით, რაიონის სპორტსმენებს მხარში ვუდგავართ.

მნიშვნელოვნად გარდაქმნა საქმიანობა „ჭიათურმანგანუმმა". ორცვლიანი მუშაობის ციკლით, ისინი თვეში 10 ათას ტონა მანგანუმის კონცენტრატს მოიპოვებენ, მომხმარებლებთან კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნა. ამ დღეებში საწარმო სამცვლიან სამუშაო ციკლზე გადავა, დარგი უფრო რენტაბელური გახდება და რაიონიც თავისუფლად ამოისუნთქავს.

**— ჭიათურაში ეკოლოგიურად საგანგაშო მდგომარეობაა, მაღალია დამტვერიანება, ამ პრობლემებს როგორც უმკლავდებით?**

— მანგანუმის მწარმოებელი 27 ფირმიდან, ლიცენზიის პირობების დარღვევისათვის 13 ფირმის საქმიანობა შევაჩერეთ. ვითხოვთ მათი ლიცენზიების გაუქმებას. სასწავლო დაწესებულებების სამუშაო პერიოდში, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში ფირმებს მადნის გადატვირთვა ავუკრძალეთ. დიდი დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად ქალაქს გარეთ შემოვლითი გზის დაპროექტებაზე ვმუშაობთ.

**— ინტერესს მოკლებული არ იქნება, ორიოდე სიტყვით გამგეობის უახლოეს პერსპექტივებზეც მოგვითხროთ.**

— ოქტომბერში, მანგანუმის სამრეწველო დამუშავების 125 წლისთავს ვიზეიმებთ. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრს კი 110 წელი უსრულდება. ამ მნიშვნელოვანი თარიღებისათვის განსაკუთრებით ვემზადებით. შედგენილი გვაქვს სპეციალური პროგრამა, რომელიც მოიცავს ქალაქის იერ-სახის გაუმჯობესებას, მართვის, წარმოების, მომსახურების, აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებას და სოციალური პრობლემების დაძლევას.

ბატონ გიგა ლორთქიფანიძესთან შევთანხმდით, რომ ამ დღეებში, ჭიათურაში, თეატრალური ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს შეარჩევენ, აქვე გამოცდებს ჩაატარებენ და 12 ჭიათურელ აბიტურიენტს თეატრალურ უნივერსიტეტში ჩარიცხავენ. სწავლის პარალელურად, ისინი ჩვენს თეატრში იმსახურებენ. სასწავლო ხარჯებს რაიონის გამგეობა დაფარავს.

მაქსიმალურად ვცდილობთ მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება მინი-ჰესებზე დაყრდნობით გავაუმჯობესოთ. მოკლე დროში, სოფელ ხრეითში, მდინარე ბუჯაზე, 3,5 მეგავატი სიმძლავრის ელსადგურის მშენებლობა დაიწყება.

პროგრამაში გვაქვს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია და პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოს მშენებლობა.

პრობლემათა პრობლემად გვექცა მიწისძვრით დაზიანებული კორპუსები, მათ შესაკეთებლად და სახურავების მოსაწესრიგებლად 300 ათასი ლარი გვჭირდება. სავალალო მდგომარეობაშია მიწისქვეშა კომუნიკაციები, მათ აღსადგენად მილიონ 200 ათასი ლარია საჭირო და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, დამშვიდების საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს.

**— თქვენ, რაიონის თავკაცად ახალი „გუნდით" მოხვედით, მის შერჩევაში არავინ ჩაგრევიათ. გაამართლეს თქვენმა რჩეულებმა?**

— რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების „გუნდი", კერძოდ, გამგებლის მოადგილეები, ახალგაზრდა პროფესიონალი კადრებით შევცვალეთ, ერთად ვეზიდებით საპატიო ტვირთს და პასუხისმგებლებიც ვართ. რაც შეეხება გამგეობის სამსახურებისა და ცალკეულ განყოფილებათა უფროსებს, საკმარისი დრო და საშუალება მივეცით, ახალი დროის მოთხოვნათა შესატყვისად ელვაწათ. ბევრმა მათგანმა ვერ გაამართლა და მათგან რაც შეიძლება მალე უნდა გავთავისუფლდეთ. მიმაჩნია, რომ დღეს ყველა სფეროში და, განსაკუთრებით, მმართველობით აპარატში, ახლებურად მოაზროვნე ადამიანებია საჭირო.

**ჭიათურაში აღმასვლა დაიწყო. ეს იმას გვაუწყებს, რომ რაიონის თავკაცზე ბევრია დამოკიდებული. მოკლე დროში, ქალაქის იერსახემ ფერი იცვალა. ადმინისტრაციული კორპუსი კაპიტალურად შეაკეთეს, წმინდა ნინოს ახალი ეკლესია ხარაჩოებშია ჩაფლული. გაზონები და სკვერები წესრიგში მოჰყავთ, ქუჩებში ასფალტს აგებენ; საწარმოებში საქმიანი ხმაურია. კრიმინოგენული სიტუაცია დღითი-დღე მშვიდდება. ამას წინათ ქალაქი ყაჩაღობის შემაძრწუნებელმა ფაქტმა შეძრა. ეჭვმიტანილი დააკავეს. ცხადია, გაუხსნელ დანაშაულს, ჭიათურაში ვეღარავინ შეეგუება.**

**მოსახლეობამ პარლამენტის მაჟორიტარ წევრად თენგიზ მოცრაძე აირჩია, სჯერათ მისი, ეიმედებათ. იგი გვერდში დაუდგება ჭიათურის თავკაცობას.**

**ჭიათურელებმა კარგად უწყიან, რომ ქვეყანაში მიმდინარე სასიკეთო გარდაქმნას, რაიონის თავკაცთა უკეთესი მერმისისათვის ზრუნვას მხარდაჭერა სჭირდება.**

**სოზარ კუპატაძე.**
**„სრ" საკ. კორ.**

+ ჯანდაცვა

# აცრები ჩატარდება

**ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებში ორშაბათიდან წითელას, წითურას და ყბაყურის საწინააღმდეგო აცრები დაიწყება.**

როგორც „ინტერ-პრესს" ჯანდაცვის სამინისტროში განუცხადეს, ვაქცინები რეგიონში გაიგზავნა და ვაქცინაციას ადგილობრივი ექიმები უზრუნველყოფენ.

ვაქცინაცია რეგიონში მცხოვრები 1, 5 და 13 წლის ასაკის ბავშვთა კონტინგენტს მოიცავს და რამდენიმე კვირის განმავლობაში გაგრძელდება. სურვილის შესაბამისად, ვაქცინაცია ოსურ სოფლებშიც ჩატარდება.

წითელა-წითურა-ყბაყურის საწინააღმდეგო აცრები 13 წლის მოზარდებს თბილისში, ბათუმსა და აჭარის მაღალმთიან რაიონებში უკვე ჩაუტარდათ. ამ რეგიონებში ამჟამად მიმდინარეობს 1 და 5 წლის ბავშვების ვაქცინაცია.

**ინტერ-პრესი.**

◎ მემუარები

# უდანაშაულო მსხვერპლი

**გამოჩენილ ფილოსოფოსს, მკვლევარს, მთარგმნელს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს მოსე გოგიბერიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის სამშობლოს წინაშე. მან მხოლოდ 52 წელიწადი იცოცხლა, ბევრი რამ მოასწრო, მაგრამ უფრო ბევრი განუხორციელებელი დარჩა. მისი სიკვდილის გარემოებანი საზოგადოებრიობისთვის ძირითადად უცნობია, ამ ნაკლის აღმოფხვრას ემსახურება იმ პერიოდის თვალსაჩინო პარტიული მუშაკისა და მეცნიერის პეტრე შარიას ეს მოგონება.**



დღეს ინსტიტუტის დღე მქონდა. რაც დავგეგმე, სავსებით უნაკლოდ ჩაიარა. დაბრუნებისას მოვახერხე ახალი აკვიატებული მოსაზრების ფორმულირება აბსტრაქციონიზმის არსობაზე. საერთოდ, ვცდილობ წლიურ შრომებში რაც შეიძლება მეტი საკუთარი აზრები მოვაქციო, თუმცა მათგან მხოლოდ ნაწილი ქვეყნდება მცირეტირაჟიან სამეცნიერო კრებულში... ჩვენს ინსტიტუტში (იგულისხმება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი — გ.შ.) ხანდახან წლიური შრომები იკარგება! რამდენ ხანს ეძებდნენ და ვერ აღმოაჩინეს ჩემი 1967-1972 წლების შრომები, რომელთაგან მხოლოდ ნახევარია გამოქვეყნებული და ისიც შემოკლებულად.

წუხელ განსაკუთრებით დიდხანს ვცურავდი მოგონებებში. მათ შორის ქაღალდზე გადატანის ღირსად მიმაჩნია მოგონება აკადემიკოს მოსე ივანეს ძე გოგიბერიძეზე.

მასზე ბევრი რამ კარგი მქონდა განაგონი ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას. ერთხელ წერილიც კი მომწერა ჟურნალ „მნათობში" ჩემი სტატიის (შ. ნუცუბიძის „ალეთოლოგიაზე") დაბეჭდვის თაობაზე. როცა (1929 წლის ბოლოს) საქართველოში გადმომიყვანეს სამუშაოდ, სანამ ბინას გამომინახავდნენ, სასტუმრო „პალასში" (დღევანდელი ხელოვნების მუზეუმში) ვცხოვრობდი. ერთ მშვენიერ დღეს მეახლა სიმპათიური, უაღრესად ინტელიგენტური და სასიამოვნო გამომეტყველების უცნობი — ეს იყო მოსე გოგიბერიძე. მიუხედავად იმისა, რომ, მსგავსად კოტე ბაქრაძისა, გერმანიაში მიიღო ფილოსოფიური განათლება, ის თავიდანვე გულწრფელად ეზიარა მარქსისტულ მსოფლმხედველობას, იყო ნამდვილად ნიჭიერი და ფართოდ ერუდირებული ფილოსოფოსი. ჩვენს შორის თავიდანვე დამყარდა თბილი დამოკიდებულება. კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს კანტის „პროლეგომონების" მისეული თარგმანის რედაქტირების დროს. მასაც ჩემებრ მძიმე ბავშვობა ჰქონდა გამოვლილი. ჩემსავით ახასიათებდა (ოდნავ ჩემზე ნაკლებად) საყოფაცხოვრებო უცნაურობები. ყველა მისი მეცნიერული ნაშრომი გარკვეული ორიგინალურობის ნიშნებით ხასიათდებოდა. ჩვენი ურთიერთობა გრძელდებოდა მას შემდეგაც, რაც 1938 წლის შემოდგომაზე კვლავ მოსკოვში გადამიყვანეს სამუშაოდ.

ერთხელ აგარაკზეც მესტუმრა „სერებრიანი ბარში". სადილობისას სტუმრები მოვიდნენ, მათ შორის ქალებიც. მოსემ დიდად გაგვამხიარულა, აგარაკზე მე მომყავდა სიმინდი, საზამთრო, წიწაკაც კი. როცა ეს უკანასკნელი გასინჯეს სტუმრებმა, მიუჩვევლობის გამო პირი საშინლად დაეწვათ. აცრემლებულმა ქალებმა შემოგვჩივლეს, რა საშინელება ყოფილაო! მოსემ სერიოზული სახით და ძლიერი ქართული აქცენტით განუცხადა: „წიწაკა ყველაზე ძვირფასი ბოსტნეულია, რადგანაც დიდად აძლიერებს მამაკაცის სექსუალურ პოტენციასო!" ატეხილ სიცილ-ხარხარს არც კი შეუცბუნებია.

მოსესაგან ნაწყენი კაცი არ მახსოვს. იყო გულღია და უაღრესად მიმნდობი. მისი პოპულარობა ბევრს არ მოსწონდა, მათ შორის შალვა ნუცუბიძესა და კოტე ბაქრაძესაც (განსაკუთრებით ამ უკანასკნელს). მისი ნახვა ძალიან მინდოდა, როცა 1942 წელს ირანში მიმავალმა რამდენიმე დღე დავყავი თბილისში, მაგრამ სადღაც წასულიყო და ვერ შევხვდი. ირანიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში მხოლოდ ერთი დღე დავყავი. მოსეს გაუგია ეს, სახლში დაურეკავს, უკითხავს, როდის მიდისო და როცა უპასუხიათ ხვალო, მოუმზადებია საკუთარი ვენახის ერთი პატარა კასრი ღვინო, ხილი და პირდაპირ თბილისის სადგურზე წასულა. ვუძებნივარ ვაგონებში, მაგრამ როგორ მიპოვიდა, როცა მე სპეციალური თვითმფრინავით გავემგზავრე! ძალიან გულდაწყვეტილი დაბრუნებულა.

მერე გავიგე, რომ ის დაუტუსაღებიათ და გადასახლება მიუსჯიათ, დაუწამებიათ გერმანელთა ჯაშუშობა. 1945 წელს საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში ვმუშაობდი ერთ-ერთ მდივნად; მივიღე მოსეს წერილი-განცხადება, რომელშიც ირწმუნებოდა, უდანაშაულოდ ვარ დასჯილიო. თუმცა ვიცოდი, რომ ჩემზე უფრო დიდი ფუნქციონერებიც ამგვარ განცხადებებს იღებდნენ, მოსეს წერილი ჩემი პირადი ბარათის თანხლებით გავუგზავნე საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრს (სწორედ იმ წელს იყო შემოღებული „მინისტრობა", ნაცვლად სახალხო კომისრისა) აბაკუმოვს, რომელშიც ვწერდი, რომ მოსეს პირადად ვიცნობდი საკმაოდ ახლოს და რომ მეეჭვებოდა მისი „ჯაშუშობა", ვსთხოვდი ხელახალ საფუძვლიან გამოძიებას. ორი თუ სამი თვის შემდეგ აბაკუმოვმა მომწერა, რომ საკითხი გამოიკვლიეს, არ იყო საფუძველი მ. გოგიბერიძის რეპრესირებისა და მალე დადგინდება მისი უდანაშაულობაო (მხოლოდ გვიან, მეგრელთა საქმის გამო რეპრესირებულთა განთავისუფლების დროს, გავიგე, თუ რა რთული და საკმაოდ ხანგრძლივი ფორმალობა სჭირდებოდა განთავისუფლებას, უდანაშაულობის გამორკვევის შემდეგ).

სანამ განთავისუფლებას დოკუმენტურად გააფორმებდნენ, თურმე მოსეს მთავარ ცილისმწამებელს, „ჩამგდებს" (რა თქმა უნდა, ფარულად, როგორც უშიშროების ორგანოების აგენტს) რაღაცნაირად გაუგია რეაბილიტაციის ამბავი, ახალი ცილისმწამებლური მასალა შეუკოწიწებია და სასწრაფოდ ჩაუბარებია სათანადო ინსტანციისათვის. რა თქმა უნდა, ახალ მასალას ფორმალურად გამოკვლევა სჭირდებოდა და სანამ ეს გრძელდებოდა, მოსე ავად გამხდარა და გარდაცვლილა გადასახლებაში...

იმით მაინც ვარ ბედნიერი, რომ მოსეს შვილებს ავაცილე ყოველგვარი დაბრკოლება უმაღლესი განათლების მიღებაში.

მოსე ივანეს ძე გოგიბერიძე ყველაზე უფრო დასანანი მსხვერპლია!..

**ამ მოგონებას პეტრე შარიას „დღიურებში" მივაგენი, რომელსაც ნებისმიერი კაცი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს.**

**პეტრე შარიას „დღიურები" კიდევ მრავალ ძვირფას ცნობას შეიცავს, რომელთა გამომზეურება-გამოქვეყნება დიდად წაადგებოდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეს.**

**პუბლიკაცია მოამზადა**
**გრიგოლ შარიამ.**

GCF

4 (72)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

მსოფლიო ჩემპიონატი

# ელისტამ ელიტას უმასპინძლა

მოგეხსენებათ, მოჭადრაკე ქალთა წლევანდელმა მსოფლიო ჩემპიონატმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საქართველოს ხელისუფლებამ ნება არ მისცა აბაშიძისდროინდელ ბათუმს, ეს მნიშვნელოვანი შეჯიბრება რევოლუციურად შემართულ აჭარაში გაემართა, რადგან სწორედ იმ დღეებში შეუძლებელი იყო ჩემპიონატის მონაწილეთა უსაფრთხოება. ასპარეზობის გამართვა თავის ქვეყანაში თვით ფიდეს პრეზიდენტმა – კირსან ილიუმჟინოვმა ითავა და ქალთა საჭადრაკო ფორუმმაც საქართველოდან ყალმუხეთში გადაინაცვლა, მით უმეტეს, რომ დამფინანსებლებს თავიანთ პირობაზე უარი არ უთქვამთ.

ელისტაში საჭადრაკო ელიტამ მოიყარა თავი. 22 მაისს პირველობისთვის ბრძოლაში 64 მანდილოსანი ჩაება. მათ შორის იყვნენ ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ჩინელი მსოფლიო თასის მფლობელი იუჰუა სიუ, პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი ალისა გალიამოვა, სხვადასხვა წლების ევროპის ჩემპიონები – უკრაინელი ნატალია ჟუკოვა (2000 წ.), საფრანგეთიდან ელმირა სკრიპჩენკო (2001 წ.), ბულგარელი ანტუანეტა სტეფანოვა (2002 წ.), შვედი პია კრამლინგი (2003 წ.), რუსეთელი ალექსანდრა კოსტენიუკი (2004 წ.), რომელიც ამავე დროს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონიც იყო და სხვები. საქართველოს სპორტულ ღირსებას მაია ჩიბურდანიძესთან ერთად 17 წლის ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, ნინო ხურციძე, ლელა ჯავახიშვილი, ანა მათნაძე, სოფიკო ტყეშელაშვილი იცავდნენ. ჩემპიონატში კიდევ ორი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობდა, თუმცა ქეთევან კახიანი-გერშინსკა გერმანიის, ხოლო რუსუდან გოლეთიანი – ამერიკის შეერთებული შტატების სახელით გამოდიოდა.

ელისტაში მიმდინარე ბატალიები ფართოდ გაშუქდა საინფორმაციო საშუალებებით, ამიტომ მხოლოდ საქართველოს სპორტსმენთა შედეგებს შეგახსენებთ:

### I რაუნდი

**მაია ჩიბურდანიძე** – ფარიდა აროჩა (ალჟირი) 1,5:0,5, **სოფიო ტყეშელაშვილი** – იუჰუა სიუ (ჩინეთი) 1:3, ჯენიფერ შაჰადი (აშშ) – **ნანა ძაგნიძე** 0,5:1,5, **ანა მათნაძე** – ოლგა ალექსანდროვა (უკრაინა) 0,5:1,5,

იხ. მე-8 გვ.







**ჩიბურდანიძე – ჩმილიტე.**

1.d4 ♘f6 2.♘f3 e6 3.c4 b6 4.□f4 □b7 5.e3 □e7 6.♘c3 ♘h5 7.□g3 d6 8.□d3 ♘d7 9.□c2 g6 10.♖d1 f5 11.□e2 □f6 12.b4 a6 13.0—0 0—0 14.♘e1 ♘xg3 15.hxg3 □e7 16.□f3 □xf3 17.♘xf3 c5 18.bxc5 bxc5 19.d5 e5 20.e4 f4 21.♖b1 fxg3 22.fxg3 □g5 23.□d3 ♖ab8 24.♖xb8 ♖xb8 25.♖b1 ♖xb1+ 26.♘xb1 □h6 27.□a3 ♘f6 28.♘bd2 ♘g4 29.□xa6 □g7 30.♘f1 ♘f6 31.a4 ♘xe4 32.a5 ♘c3 33.□b6 e4



34.□b2 □f6 35.□b7+ □g8 36.a6 exf3 37.□c8+ □g7 38.□d7+ □h8 39.a7 □f8 40.□b7 ♘e2+ 41.□h2 □f5 42.a8□+ 1—0

**ძაგნიძე – სტეფანოვა.**

1.d4 d5 2.c4 c6 3.♘f3 ♘f6 4.♘c3 a6 5.a4 e6 6. g5 a5 7.e3 ♘a6 8. e2 e7 9.0-0 ♘b4 10.♘e5 0-0 11.f4 b6 12.♘a2 b7 13.♘xb4 axb4 14. xf6 xf6 15.cxd5 exd5 16. d3 c5 17. c2 g6 18. b5 xe5 19.fxe5 g5 20.♖f3 ♖ac8 21. f2 cxd4 22.exd4 ♖c1+ 23.♖xc1 xc1+ 24. f1 ♖c8 25. xc1 ♖xc1+ 26.♖f1 ♖c2



27.♖f6 c8 28.♖xb6 e6 29.b3 ♖c3 30.a5 ♖xb3 31. a4 ♖a3 32.♖xb4 c8 33. c6 g7 34.♖a4 ♖c3 35. xd5 a6 36. f3 ♖c2 37.d5 f8 38.♖b4 h5 39.♖b6 e2 40.d6 xf3 41.♖b8+ g7 42.gxf3 1-0

**გალიამოვა – ლომინეიშვილი.**

1.d4 ♘f6 2.g3 g6 3.□g2 d5 4.c4 c6 5.□b3 □g7 6.♘c3 dxc4 7.□xc4 □e6 8.□d3 ♘d5 9.♘f3 ♘b4 10.□d2 c5 11.0—0 cxd4 12.♘b5 ♘8c6 13.□f4 ♘d5 14.□h4 □b6 15.a4 a6 16.♘a3 h6 17.g4 ♘f6 18.g5 hxg5 19.□xg5 ♖d8 20.♘c2 ♖d5 21.□f4 ♖f5 22.□d2 □c7 23.♘ce1 □h6 24.□c2 ♖h5 25.♘d3 □g4 26.♖d1



26...□xc1 27.□xc1 □xf3 28.exf3 □xh2+ 29.□f1 □d6 30.b4 □f8 31.♖b1 ♘d5 32.f4 ♘c3 33.b5 ♖h1+ 0—1

ფიდე

# ვაჟები ტრიპოლში მიემგზავრებიან

დავიწყოთ იმით, რომ ამდენი აურზაური მსოფლიოს არცერთი ჩემპიონატის წინ არ ყოფილა. როცა უკანასკნელ ასეთ შეჯიბრებაზე უკრაინელმა რუსლან პონომარიოვმა გაიმარჯვა, არავინ ფიქრობდა, რომ შემდგომი ასპარეზობების გამართვას ამდენი წინააღმდეგობა შეხვდებოდა.

როგორც ცნობილია, 2002 წელს პრაღაში მიღწეული შეთანხმებების თანახმად, კირსან ილიუმჟინოვი და ფიდეს ხელმძღვანელობა საჭადრაკო სამყაროს გაერთიანების გზას დაადგა. ამისათვის უნდა გამართულიყო ორი მატჩი ვლადიმირ კრამნიკსა და პეტერ ლეკოს, რომელმაც ეს უფლება პრეტენდენტთა სპეციალურ შესარჩევ ტურნირში გამარჯვებით მოიპოვა, და, მეორე მხრივ, მსოფლიო ჩემპიონს ნოკაუტ-სისტემით რუსლან პონომარიოვსა და მსოფლიოში ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე გარი კასპაროვს შორის. შემდეგ ამ ორთაბრძოლებში გამარჯვებულები ერთმანეთს შეხვდებოდნენ და მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს გამოავლენდნენ.

ერთი სიტყვით, ქაღალდზე ყველაფერი კარგად ეწერა, მაგრამ...

მთელი ორი წლის განმავლობაში საჭადრაკო სამყარო უაღრესად დაძაბული იყო. იმ მშვენიერი პროექტიდან პრაქტიკულად არაფერი განხორციელებულა. პონომარიოვ-კასპაროვის მატჩი სკანდალურად ჩაიშალა. ახლა ნუ შევეხებით იმას, რომ ვინ იყო მტყუანი და ვინ – მართალი. ფაქტია, რომ პონომარიოვს მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჩამოერთვა, და, მარტო ამას ვინ ჩივის, კარგა ხანია საერთაშორისო ტურნირებშიც კი აღარ უშვებენ. ყველაფერი აირია, მაგრამ ფიდე მაინც შესაშურ სიმტკიცეს იჩენს. ხომ იწყება 18 ივნისს ტრიპოლში (ლიბია) მსოფლიო ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით, ხომ დაინიშნა სექტემბრისათვის მატჩი კრამნიკსა და ლეკოს შორის. დიახ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრაღის შეთანხმებები, მართალია, საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ შეიძლება მაინც განხორციელდეს.




კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, საქმე არც ისე იოლად ყოფილა, ვიდრე გვეგონა.

ჯერ ერთი, მნიშვნელოვანი სიძნელეები გადაელობა მსოფლიო ჩემპიონატის ლიბიაში გამართვას. ლიბიის ლიდერი მოამარ კადაფი ჯერ სიამოვნებით შეხვდა ესოდენ პრესტიჟული ასპარეზობის თავის ქვეყანაში ჩატარებას, შემდეგ კი მოულოდნელად განაცხადა, რომ ებრაელ მოჭადრაკეებს ტრიპოლში არ შეუშვებს. ამან, ცხადია, მრავალი პროტესტი გამოიწვია, თუნდაც იმიტომ, რომ მონაწილეთა შორის ბევრი ებრაელია. მაშინ კადაფიმ უკან დაიხია და თქვა, რომ საერთოდ ებრაელებს კი არ გულისხმობდა, არამედ მხოლოდდამხოლოდ ისრაელის მოქალაქეებს. აქ მან ასეთი „გეგმაც“ კი წამოაყენა: ტრიპოლიდან მალტამდე სულ ნახევარი საათის საფრენია, დეე ისრაელის წარმომადგენლების მოწინააღმდეგეები იქ ჩაფრინდნენო. ერთი სიტყვით, ჭადრაკის ისტორიაში არნახული სიტუაცია იქმნებოდა. ბოლოსდაბოლოს, ეს საკითხიც მოგვარდა, მაგრამ სხვა სიძნელეები წარმოიქმნა.

გარი კასპაროვი და ვლადიმირ კრამნიკი, ისევე, როგორც პეტერ ლეკო, ცხადია, ტრიპოლში არ ითამაშებენ, ისინი ხომ მომავალი შეჯიბრებების მონაწილენი არიან. ვიშვანათან ანანდმა, რომელსაც ახლა მსოფლიოში მეორე რეიტინგი აქვს, განაცხადა, რომ იგი არ ითამაშებს „რაღაც შესარჩევ შეჯიბრებაში“. იგი ხომ აშკარად არ დაეთანხმა ფიდეს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც ნოკაუტ-სისტემით მსოფლიო ჩემპიონი შემდეგში კასპაროვს უნდა შეხვდეს. ანანდის აზრით, ახლა კასპაროვი არა მარტო მასზე, არამედ კრამნიკზე და ლეკოზეც უარესად თამაშობს და მისთვის ასეთი უზარმაზარი წინასწარი უპირატესობის მოპოვება სრულიად არალოგიკურია.

ანანდის გარდა, რომელიც ადრე უკვე იყო მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით, ასეთივე განცხადებები გააკეთეს ამავე წოდების ადრინდელმა მფლობელებმა ანატოლი კარპოვმა, ალექსანდრ ხალიფმანმა, რუსლან პონომარიოვმა და კიდევ 14-მა ცნობილმა დიდოსტატმა. არცერთი მათგანი ტრიპოლში არ ითამაშებს.

მოსკოვში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ანატოლი კარპოვი, პეტრე სვიდლერი და ევგენი ბარეევი. ილიუმჟინოვს ჭადრაკი სრული დისკრედიტაზაციისაკენ მიჰყავს. მსოფლიო ჩემპიონატი ფიდემ კი აღარ უნდა გამართოს, რომელმაც ამისი მორალური უფლება დაკარგა, არამედ პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციამ. იგი უკვე აღარ მიიღებს კირსან ილიუმჟინოვის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს. ამ პრესკონფერენციის შემდეგ რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრ ჟუკოვმა (რუსეთის მთავრობის ვიცეპრემიერმა) ილიუმჟინოვს სპეციალური წერილით მიმართა და სთხოვა, რაიმე გამოსავალი მოენახა, მაგრამ ფიდეს პრეზიდენტმა დუმილი ამჯობინა.

ერთი სიტყვით, საჭადრაკო სამყაროში არნახული სკანდალია. განთქმული დიდოსტატების დიდი ჯგუფი უარს აცხადებს ტრიპოლში გამგზავრებაზე, რახან ფიდეს მათთვის სათანადო მისაღები კონტრაქტი არ შეუთავაზებია. ექნება თუ არა აზრი მათ გარეშე მსოფლიო პირველობის ჩატარებას? – ამას უკვე მიმომხილველები კითხულობენ.

რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით 18 ივნისიდან მაინც ტარდება და ბევრი დანაკლისის მიუხედავად, მისი შემადგენლობა საინტერესო და ძლიერი იქნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ნახევარ“ საჭადრაკო სამყაროს მაინც წარმოადგენს. აი, აქ კი ისმევა მეორე, სავსებით ლოგიკური კითხვა: მოისურვებს კი მასში გამარჯვებული, ანუ ახალი მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით გარი კასპაროვთან შეხვედრას, ხომ არ შეუშლის იგი ხელს რუსლან პონომარიოვის მსგავსად ორწელიწადნახევრის წინათ მიღებული „პრაღის შეთანხმებების“ განხორციელებას?

შეგახსენებთ, რომ ლიბიაში ოთხი ქართველი დიდოსტატი ითამაშებს – **ზურაბ აზმაიფარაშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, გიგა ყაჭეიშვილი, ბაადურ ჯობავა.**

**გივი გამრეკელი.**

და ზიგთი
საქართველოს რესპუბლიკა
№ 128, კვირა, 6 ივნისი, 2004 წელი.

მსოფლიო ჩემპიონატი

# ელისტამ ელიტას უმასპინძლა

(მეშვიდე გვერდიდან)

**ლელა ჯავახიშვილი** – ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) 1:3, ეკატერინა პოლოვნიკოვა (რუსეთი) – **ნინო ხურციძე** 1,5:0,5, ირინა სლავინა (რუსეთი) – **მაია ლომინეიშვილი** 0,5:1,5, რუსუდან გოლეთიანი (აშშ) – კორინა პეპტანი (რუმინეთი) 0,5:1,5, ქეთევან კახიანი (გერმანია) – თენ ენ ნგუანი (ვიეტნამი) 3,5:3,5 (კახიანმა ბოლო მე-7 პარტიაში შავებით ყაიმს მიაღწია, რამაც მას გამარჯვება მოუტანა).

### II რაუნდი.

მაია ლომინეიშვილი – ალისა გალიამოვა (რუსეთი) 2:0, მარი სებაგი (საფრანგეთი) – მაია ჩიბურდანიძე 0:2, ნანა ძაგნიძე – ივეტა რაძიევიჩი (პოლონეთი) 1,5:0,5, ქეთევან კახიანი – ირინა კრუში (აშშ) 1,5:0,5.

### III რაუნდი.

მაია ლომინეიშვილი – ნანა ძაგნიძე 0:2, იანა იაკოვა (ჩეხეთი) – მაია ჩიბურდანიძე 0,5:1,5, ნატაშა ბოიკოვიჩი (სერბეთი) – ქეთევან კახიანი 0,5:1,5.

### IV რაუნდი.

ნანა ძაგნიძე – ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 1,5:2,5, მაია ჩიბურდანიძე – ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) 4:2. ქეთევან კახიანი – ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) 1,5:2,5.

### V რაუნდი.

ანტუანეტა სტეფანოვა – მაია ჩიბურდანიძე 2,5:1,5. ეს იყო ნახევარფინალური შეხვედრა და ევროპის ექსჩემპიონმა ამ გამარჯვებით ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მეორე ფინალისტი გახდა 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ეკატერინა კოვალევსკაია (მან ფინალური ორთაბრძოლა მაშინ ნატალია ჟუკოვასთან დათმო), რომელმაც ნახევარფინალში ინდონელ ჰამპი კონერუს სძლია 1,5:0,5.

ფინალური ორთაბრძოლა რუსეთელი მოჭადრაკისთვის უიღბლოდ დაიწყო. მან ზედიზედ ორი პარტია წააგო ბულგარელ დიდოსტატთან. **გუშინ მესამე პარტიაში სტეფანოვამ ყაიმს მიაღწია და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა.**


ანტუანეტა სტეფანოვა.

**ლექსო ცინცაძე.**




პირველობა

# გია გიორგაძის ხელშეწყობით

**ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემ ამას წინათ 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობას უმასპინძლა. მასში 90 ნორჩი მოჭადრაკე ასპარეზობდა.**

მასპინძლებმა არაფერი დაიშურეს პირველობის მაღალ დონზე გამართვისთვის. მოჭადრაკეებს, მწვრთნელებს და მშობლებს ნორმალური სათამაშო, სამედიცინო, საინფორმაციო, დასასვენებელი და სამუშაო პირობები შუქმნეს.

პირველობის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დიდოსტატმა გია გიორგაძემ, რომელიც ამჟამად ქუთაისის მერის მოვალეობას ასრულებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კოლექტივი. აქაურები უკვე მეოთხედ მასპინძლობენ საქართველოს ასაკობრივ პირველობას და ამჯერადაც მათთვის ჩვეული გულისხმიერებით გამოირჩეოდნენ.

ტურნირის მსვლელობისას გამოიცა სპეციალური ბიულეტენი. საქართველოს ჩემპიონები გახდნენ სალომე ხაჟომია და გიორგი მარგველაშვილი.

გოგონათა ტურნირში, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილებზე არიან მადონა ბოკუჩავა და თინათინ ბერიძე, ჭაბუკებში კი – ლუკა პაიჭაძე და დათო ლომსაძე.

**ია ლაღიძე.**

ვეტერანის აზრით

# ისევ ფიშერმა გაიმარჯვა

**განთქმული მოჭადრაკე ვიქტორ კორჩნოი შვეიცარიაში კი ცხოვრობს, მაგრამ დროის დიდ ნაწილს სხვადასხვა ქვეყანაში ატარებს: ტურნირებში თამაშობს, ერთდროული თამაშის სეანსებს მართავს, ლექციებს კითხულობს.**

ამას წინათ მოსკოვში, ებრაულ კულტურულ ცენტრში შეხვედრისას, კორჩნოიმ ისაუბრა საბჭოთა საჭადრაკო სკოლაზე, „უცნაურ ადამიანზე" – ბობი ფიშერზე, თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებზე საბჭოთა კავშირში, საზღვარგარეთ გაქცევაზე, შემდეგ კი უპასუხა შეკითხვებზე.

**– როგორი უნდა იყოს მსოფლიო ჩემპიონის გამოვლენის სისტემა?**

– ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონის გამოვლენის ახლანდელი სისტემა, როცა გამარჯვებული სულ რამდენიმე დღეში ვლინდება, ზედაპირულია. მით უმეტეს, როცა იგი ზოგჯერ ელვისებურ თამაშში გამოირკვევა ხოლმე.

**– ვის თვლით უძლიერესად, ვინ მიგაჩნიათ ყველაზე პერსპექტიულ მოჭადრაკედ?**

– უძლიერესი ვინც ადრე იყო, ახლაც იგივეა – კასპაროვი. სხვა საკითხია, რომ ახლა მსოფლიო ჩემპიონი კრამნიკია, რომელმაც კასპაროვი დაამარცხა. ასეც ხდება, ადამიანები ხომ კომპიუტერები არ არიან. თქვენ მეკითხებით, ვინ არის ახლა ყველაზე პერსპექტიული? მე ვერ ვხედავ ისეთ მოჭადრაკეს, კასპაროვს რომ დაამარცხებდეს. თუმცა ამ მხრივ არის ერთი გამონაკლისი – იგივე კრამნიკი.

**– ვინ არის, თქვენი აზრით, XX საუკუნის მეორე ნახევრის უძლიერესი მოჭადრაკე?**

– საუკუნის მიწურულში მოეწყო ამ საკითხზე დიდოსტატების გამოკითხვა. მე პირადად კასპაროვი დავასახელე, მაგრამ საბოლოოდ მაინც ფიშერმა გაიმარჯვა.

**– რას იტყვით ფიდეს საქმიანობის შესახებ?**

– ეს სერიოზული საკითხი გახლავთ. ისე კი პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ ფიდეში შექმნილ დღევანდელ ვითარებას მე დიდი ენთუზიაზმით არ ვუყურებ.

... ფიდესადმი საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ვეტერანმა მოჭადრაკემ მაინც მიიღო ამ ორგანიზაციისაგან ერთი საჩუქარი – იგი პერსონალურად მიიწვიეს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ივნისში ლიბიაში გაიმართება.

ევროპის ჩემპიონატი

# და მაინც ვასილი ივანჩუკი

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატი, რომელიც თურქეთის ქალაქ ანტალიაში გაიმართა, თავისი შემადგენლობით მკვეთრად ჩამოუვარდებოდა შარშანდელს. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, მოახლოვებული მსოფლიო პირველობის გამო ზოგიერთმა წამყვანმა დიდოსტატმა ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა, ზოგმაც სარაევოს საკმაოდ პრესტიჟულ ტურნირში თამაში ამჯობინა. იმის გამო, რომ რუსეთში მეტად ძლიერი ეროვნული ჩემპონატის გამართვას აპირებენ და პერსონალურად მხოლოდ კრამნიკი, კასპაროვი, კარპოვი და სვიდლერი მიიწვიეს, ყველა დანარჩენს ორ შესარჩევ ტურნირში მოუხდა მონაწილეობა, რომლებიც სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა. და ბოლოს, თავისი წოდების დაცვაზე უარი განაცხადა ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, რომელიც, როგორც ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი, სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებით იყო დაკავებული.

ამდენი დანაკარგის მიუხედავად, შეჯიბრება მაინც მეტად საინტერესო აღმოჩნდა. სხვა რომ არა იყოს რა, აქ ხომ მსოფლიო ჩემპიონატის 12 საგზურიც თამაშდებოდა. თავიდანვე პირველი ადგილის მთავარ პრეტენდენტად გამოჩენილი უკრაინელი დიდოსტატი, მონაწილეთაგან ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ვასილი ივანჩუკი ითვლებოდა. თუმცა ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ თუ ლვოველს, როგორც იტყვიან, თამაში არ წაუვიდოდა, იგი შეიძლება სატურნირო ცხრილში „ღრმად ჩაძირულიყო". მის ძირითად მეტოქეებად ყოფილ ხარკოველ მიხაილ გურევიჩს (ბელგია) მიიჩნევდნენ, რომელსაც ძალიან ემარჯვება შვეიცარული სისტემით მოწყობილ შეჯიბრებებში თამაში და უამრავი (!) ასეთი ტურნირი აქვს მოგებული, აგრეთვე ბაქოელ თემურ რაჯაბოვს. თავიდანვე ვიტყვით, რომ ეს უკანასკნელი პროგნოზი არ გამართლდა – რაჯაბოვი აშკარად იზოგავდა ძალებს მომავალი მსოფლიო პირველობის წინ და ყაიმების „მთელი კორიანტელი დააყენა".

შეჯიბრებაში ორი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობდა: **ზვიად იზორია** და **ბაადურ ჯობავა**. ისინი ხანდახან ლიდერთა ჯგუფსაც კი უახლოვდებოდნენ, მაგრამ ფინიშზე რამდენადმე უკან დაიხიეს და საბოლოოდ შეჯიბრება 7-7 ქულით დაასრულეს.

ივანჩუკს სუსტი სტარტი ჰქონდა (პირველ ტურშივე დამარცხდა), თუმცა ამჯერად სიმტკიცე გამოიჩინა და თანდათანობით ასწორებდა მდგომარეობას. კარგად თამაშობდნენ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად მომძლავრებული ლევონ არონიანი (სომხეთი), რომელიც ახლა გერმანიაში ცხოვრობს და ბოსნიიდან ჰოლანდიაში საბოლოოდ გადაბარგებული პრედრაგ ნიკოლიჩი. მთავარი სენსაცია კი იყო ჭაბუკი ჩეხი დიდოსტატის (იგი არასოდეს შედიოდა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების პირველ ასეულში) დავიდ ნავარას ბრწყინვალე თამაში. შეჯიბრების დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე იგი ერთპიროვნული ლიდერიც გახდა, უკანასკნელი დღის წინ კი სატურნირო ცხრილში პირველ-მეორე ადგილებს იყოფდა.



და მაინც ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც წინასწარ ის „პატივცემული" რეიტინგ-ლისტი გვკარნახობდა. ბოლო მეცამეტე ტურში ნავარამ წააგო ერთ-ერთ უახლოეს მდევარ პრედრაგ ნიკოლიჩთან და „გადავარდა". ამასობაში ივანჩუკმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მიხაილ გურევიჩთან. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ **ივანჩუკმა** და **ნიკოლიჩმა** ყველაზე მეტი, 9-9 ქულა მოაგროვეს. ახლა ევროპის ჩემპიონის გამოსავლენად მათ შორის ორი 15-წუთიანი სწრაფი პარტია დაინიშნა. ორივე ივანჩუკმა მოიგო და პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი. ეს წოდება მან თავის უკანასკნელ მიღწევას, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობას დაუმატა. ასე რომ, ანტალიაში შეჯიბრების ობიექტური შედეგით დამთავრებაზე არავის ეპარება ეჭვი.

8,5-8,5 ქულით III-VII ადგილები გაიყვეს ლევონ არონიანმა, ანდრეა ისტრატესკუმ (რუმინეთი), ევგენი მიროშნიჩენკომ (უკრაინა), დავიდ ნავარამ (ჩეხეთი) და მიხაილ გურევიჩმა (ბელგია). დებულების თანახმად, მათ შორის პატარა, სულ ორი პარტიისაგან შემდგარი 15-წუთიანი დამატებითი მატჩები დაინიშნა, სადაც ყველაზე კარგად 21 წლის არონიანმა ითამაშა, მოუგო ჯერ მიროშნიჩენკოს, ხოლო ფინალში – ისტრატესკუს. ამრიგად, სომეხი მოჭადრაკე საბოლოოდ მესამე ადგილზე გამოვიდა, რუმინელი – მეოთხეზე, მიროშნიჩენკო – მეხუთეზე, ნავარა – მეექვსეზე, გურევიჩი კი, რომელიც ასაკის გამო ძალიან დაიღალა – მეშვიდეზე. მათ გარდა მსოფლიო ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვეს რობერტ კემპინსკიმ (პოლონეთი), არკადი ნაიდიჩმა (გერმანია), ევგენი აგრესტმა (შვედეთი), ვადიმ მილოვმა (შვეიცარია) და კარენ ასრიანმა (სომხეთი).

**გივი თორელი.**

⊙ მემკვიდრეობა

# ქართველ ქალთა საჭადრაკო ფენომენი

ასეთი სათაურით ინგლისურ ენაზე გამოიცა ფერადი, ლამაზად ილუსტრირებული ბუკლეტი. ათვალიერებ მას და გახსენდება ის დაუვიწყარი დღეები, როდესაც არა მარტო საჭადრაკო მწვერვალი, არამედ მისი მისადგომებიც ქართველი მოჭადრაკე ქალების მიერ იყო „პრივატიზებული“. ეს სიტყვა მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, მაგრამ ვიცოდით, როგორ უნდა მომზადებულიყო და როგორ დაგვეფასებინა გამარჯვება. ეს დაფასება თავისთავად მომავალ გამარჯვების წინაპირობა იყო. დღეს ჩვენ ინერციით ვცხოვრობთ. მოსავალი გვსურს მოვიმკათ, მაგრამ არაფრის დათესვა არ გვინდა. ისე, ინერციას მაინც დიდი ძალა აქვს. 1991 წელს გამოვეთხოვეთ 29 წელს ნალოლიავებ ქალთა მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინს, მაგრამ ამის შემდეგ საქართველოს ქალთა ოლიმპიურმა გუნდმა სამი ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ასაკობრივ ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებშიც უხვად ვიმკიდით. არის სხვა წარმატებებიც. ამავე დროს თანდათანობით სარეველასავით შემოგვეპარა ისეთი შედეგებიც, რომლებიც არ გვეკადრება.




უჭირს დღეს საქართველოს, ამიტომაცაა პრობლემები ქართულ ჭადრაკში. მაგრამ ახალმა თაობამ უნდა იცოდეს, ყოველთვის არც მათ დიდ წინამორბედებს ულხინდათ. ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს, ნანა ალექსანდრიას და ნანა იოსელიანს უზარმაზარ საჭადრაკო ტალანტთან ერთად, სულიერი სიმტკიცე და მიზნის მიღწევის დაუოკებელი ჟინი ჰქონდათ.



დღეს ყოველ ქულას, ნახევარ ქულასაც კი „საშოვარის“ თვალით უყურებენ. მსოფლიო ჩემპიონატის პირველივე ეტაპზე წაგებულს, სოლიდური პრიზი ერგება. იმ წლებში ასე არ იყო. მაშინ ამდენს ჩემპიონებიც ვერ იღებდნენ. მათი მთავარი პრიზი საკუთარი ხალხის სიყვარული გახლდათ. ჩემპიონობა სახელია. სახელს კი საშოვარზე ფიქრით ვერ მოიპოვებ. ალტერნატივა: სახელი თუ საშოვარი დრომ მოიტანა. ჩემპიონობის სურვილი შეიძლება დიდია, მაგრამ უამრავ ცხოვრებისეულ წვრილმან პრობლემებში მიმქრალი. მოგმართავთ თქვენ, ქართველ მოჭადრაკე ქალთა ახალი თაობის წარმომადგენლებო, ამ ბუკლეტის 16 გვერდის გადაფურცვლას და გადათვალიერებას რამდენიმე წუთი თავისუფლად ეყოფა, მაგრამ ნუ აჩქარდებით. დიდხანს დააკვირდით თითოეულის სახეს, ისტორიად ქცეულ ფოტოებს, გაადევნეთ თვალი ამ უნიკალური ფენომენის ფორმირების პროცესს და იფიქრეთ იმაზეც ვინ გახდება მაია ჩიბურდანიძის მემკვიდრე, ვინ მიიღებს მისგან ესტაფეტას.

ბუკლეტის მთავარი მიზანი შეიძლება იმდენად დიდების დემონსტრირებება კი არ არის, რამდენადაც ახალი თაობის შემზადება მომავალი გამარჯვებისათვის.

და ბოლოს, გაცნობებთ, რომ ბუკლეტი, რომლის ტირაჟია 1000 ეგზემპლარი, მოამზადა **ნანა ალექსანდრიამ.** მხატვრულად გააფორმა **პაატა ნაცვლიშვილმა.** ჭადრაკის მოყვარულების სახელით მადლობას მოვახსენებთ სპონსორს „საქართველოს ბანკი“ ხელმძღვანელებს და პირადად ბატონ **ვლადიმერ პატეიშვილს,** ასევე თანასპონსორს ქალბატონ **ჯოან ბლეარს** – ამერიკულ ფირმა ეკთ-ს ინთერნეშენალის პრეზიდენტს.

**დავით გურგენიძე.**

⊙ ჭადრაკის ტრფიალნი

# გარდასულის გამოხმობა



1940-იანი წლების მეორე ნახევარსა და 1950-იანის პირველ ნახევარში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის რექტორობის დროს, მისივე თაოსნობითა და აქტიური მხარდაჭერით, ყოველწლიურად ტარდებოდა სპარტაკიადები. ეს იყო ერთობ საინტერესო შეჯიბრებები სპორტის არაერთ სახეობაში: კალათბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, კრივში, მძლეოსნობაში, ბაგირის გადაწევაში, ჭიდაობაში... იყო „მაყურებელმრავლობა“, თავდავიწყებული ქომაგობა არა მარტო უნივერსიტეტელთა, არამედ „დანარჩენ“ თბილისელთა მხრიდანაც – სპარტაკიადებს ქალაქშიც დიდი რეზონანსი ჰქონდა.

კრივსა და ჭიდაობაში არა, მაგრამ ფრენბურთსა და ჭადრაკში ლექტორებიც გამოდიოდნენ – მკაცრმა და მომთხოვნმა რექტორმა ეს გამონაკლისი „დაუშვა“. ოთარ ჯინორია, მაშინ დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, „დამატებით“ კალათბურთელ სტუდენტებსა და მათ კაპიტანს, ჩინებულად მოთამაშე შოთა ვადაჭკორიასაც უმშვენებდა მხარს. თვალსაჩინო გერმანისტი, დასავლური ლიტერატურის ისტორიაში, აგრეთვე ქართულ ლიტერატურაში საყურადღებო ნარკვევების ავტორი, შესანიშნავი ლექტორი, სპორტული აღნაგობისა და სპორტულობის წყალობით, ამ თბილად მოსაგონარ ასპარეზობებზე კიდევ უფრო პოპულარული გახდა, განსაკუთრებით – სტუდენტ ქალიშვილთა შორის...

ამრიგად, ოთარს იტაცებდა და ემარჯვებოდა ჭადრაკი, ფრენბურთი, კალათბურთი, ცურვა. ფეხბურთს, რატომღაც, არ სწყალობდა (მაყურებლადაც კი).

სიჭაბუკეში ოთარი ჭადრაკზე „დადიოდა“ კიდეც, გვარიანად იცნობდა მის თეორიას და საკმაოდ ძლიერი პრაქტიკოსი იყო, მეტადრე, ლიტერატორის კვალობაზე... თამაშში პოზიციურ სტილს ამჯობინებდა, „რომანტიკულ“ კომბინაციებს ერიდებოდა თუ შეწირავდა, ეს მართლაც „ნაღდი“ უნდა ყოფილიყო და არა ინტუიციური. წაგებას, როგორც თითქმის ყველა, ადვილად ვერ ურიგდებოდა და უფრო „ზევოკს“ დააბრალებდა ხოლმე, ვიდრე მეტოქისაგან დაჯაბვნას. სხვათა შორის, არცთუ იშვიათად, „დასმის“ შემდეგ, კატეგორიულად მოითხოვდა – ეს უნდა დააბრუნოო... ახალგაზრდობაში შედგენილი რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებული ჰქონდა რამდენიმე ორ და სამსვლიანი ამოცანა; თუ არ ვცდები, „ქართული“ საჭადრაკო ამოცანები ჯერ კიდევ ელის ერთ წიგნად თავმოყრას (ეტიუდებისთვის ეს, მგონი, უკვე გაკეთდა) და ვინც ამას იტვირთებს, ოთარ ჯინორიას ამოცანებიც უნდა მოიკითხოს.

სხვათა შორის, ოთარ ჯინორიას ერთი გამოქვეყნებული სატურნირო პარტია, ადრე ნათამაშევი მათემატიკოს დავით კვესელავასთან (რომელზეც ამას წინათ წერდა ჩვენი „ლაზიერი“), გარჩეული მაქვს და მეორედ დაბეჭდილიც. ერთობ მწვავე, დრამატული შეხლა-შემოხლის შემდეგ ის ოთარის ლამაზი... დამარცხებით დასრულდა.

... ციხისძირში, ზღვისპირის ულამაზეს ადგილას მდებარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასასვენებელი სახლი, სადაც, 1959 წლის აგვისტოში, ბედნიერება მხვდა ოთარის ოჯახთან დამესვენა: ოთარი, ქალბატონი თინა, ლია და თინას ვაჟი პირველი ქორწინებიდან გია, რომელსაც ოთარი საკუთარი შვილისგან არ არჩევდა.

დაუვიწყარი მთელი „საგზურიანი“ 24 დღე გავატარეთ. შევიმუშავეთ განრიგი: ნასაუზმევს – ჭადრაკი (ოთარი, გია და მე), შემდეგ – ცურვა, სადილისა და „წყნარი საათის“ შემდეგ – ფრენბურთი და ისევ ზღვა. ნაპირიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით, წყლიდან ორი კლდე იყო ამოშვერილი და ერთ-ერთი, უფრო „მოსახერხებელი“, სახტომ „კოშკად“ ვაქციეთ. ოთარი იქიდან ზურგშექცეული, სრული ბრუნის მოსწრებით ხტებოდა, რასაც მე ვერ ვბედავდი. მას საუცხოო მეხსიერება და თხრობის უნარი ჰქონდა და ბევრი რამ საინტერესო მიამბო 1930-იანი და 40-იანი წლების თბილისის სპორტულ, კერძოდ, საჭადრაკო ცხოვრებაზე...

ციხისძირში დაწყებული ჩვენი დაახლოება თბილისშიც გავაგრძელეთ – ვთამაშობდით ჭადრაკს ბაზალეთის ქუჩაზე მის მყუდრო ბინაში, დავდიოდით „მსხვილ“ საჭადრაკო ასპარეზობებზე, ერთად განვიცდიდით „ნონაობასა“ (გაფრინდაშვილის!) და „ნანაობას“ (ალექსანდრიასი!) პერიპეტიებს...

ოთარ ჯინორია ნაადრევად წავიდა ცხოვრებიდან, ჭადრაკის ტრფიალად კი ბოლომდე დარჩა. ეს „სენი“ გენეტიკურად გადასცა შვილიშვილს, ლევან გორდეზიანს (რომელზეც აგრეთვე ვუამბეთ „ლაზიერის“ მკითხველს)...

**თამაზ ეზანოიძე.**

**გთავაზობთ ოთარ ჯინორიას ერთ საინტერესო ამოცანას. შეეცადეთ, ამოხსნათ.**

**ოთარ ჯინორია.**
**„ახალგაზრდა კომუნისტი“**
**1936 წ.**



**შამათი ორ სვლაში.**

⊙ თაობა

# სექციაში...

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჭადრაკის სექცია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის შოთა ინწკირველის ინიციატივით შეიქმნა. ის მისთვის ჩვეული რუდუნებით ემსახურებოდა ამ საშვილიშვილო საქმეს. შოთა ინწკირველმა რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის კლუბი გახსნა.

ჭადრაკის სექცია მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში კვლავაც აგრძელებს ფუნქციონირებას. მას ჭადრაკის დიდი მოყვარული, ოსტატობის კანდიდატი როლანდ ალუღიშვილი უძღვება. აქ კარგად ახსოვთ შოთა ინწკირველის დამსახურება. ამიტომ ყოველ წელს მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო იმართება. როგორც წესი, ინწკირველის აღზრდილი მოჭადრაკეები ამ დღეს ნორჩ მოჭადრაკეებს ერთდროული თამაშის სეანსებს უტარებენ. ბავშვებს შარშან მერაბ ძნელაძე სტუმრობდა, წლეულს – გიორგი მაჭარაშვილი და დავით გურგენიძე.

ჭადრაკის სექციაში ნიჭიერი ბავშვები მეცადინეობენ, მათ შორის I კლასის მოსწავლეები – ირაკლი კელაპტრიშვილი და ნიკა კაზარიანი.

ნორჩი მოჭადრაკეები და მათი მწვრთნელი ყოველდღიურად გრძნობენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის ხათუნა კახიძის მზრუნველობას.



# ქუთათურთა წარმატება

ასაკობრივ პირველობებს უკვე შევეჩვიეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ჭადრაკი კიდევ უფრო ახალგაზრდავდება. წლეულს ფოთში პირველად გაიმართა საქართველოს პირველობა 8 წლის მოჭადრაკეთა შორის. მასში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან 28 გოგონა და 66 ბიჭუნა ასპარეზობდა. მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს ნორჩი მოჭადრაკეების პირველ საჭადრაკო „ნათლობის“ მაღალ დონეზე გასამართად.

გოგონათა ტურნირში 9 პარტიიდან 8-8 ქულა მოაგროვეს ქუთაისელმა ანა შამათავამ და თბილისელმა დეა გოგიშვილმა. უკეთესი კოეფიციენტის გამო პირველობა ქუთაისელ გოგონას მიენიჭა, 6 ქულით მესამე ადგილზეა თელაველი ქეთი ჩხეიძე.

ბიჭებშიც ფინიშთან ორნი მივიდნენ. ქუთაისელებმა გიგა ბენიძემ და ირაკლი მარგველაშვილმა 7,5-7,5 ქულას მოუყარეს თავი... უკეთესი კოეფიციენტი ბენიძეს აღმოაჩნდა, მესამე შედეგი აქვს ზუგდიდელ გიორგი შონიას – 7 ქულა.

**კობა დავითაია.**

⊙ გამოცემა

# შეხება ჭადრაკის საგანძურთან

გამომცემლობა „ცოდნამ“ (დირექტორი მანანა უკლება) ამას წინათ დასტამბა თენგიზ გიორგაძის ახალი წიგნი „Окно в шахматный мир“. (თბილისი, 2004 წ., ტირაჟი 300 ეგზ., გვ. 358). ანოტაციაში ნათქვამია, რომ წიგნი მოიცავს მსოფლიოსა და საქართველოს ჭადრაკის ისტორიის საინტერესო მოვლენებსა და ფაქტებს, ეპიზოდებს კორიფეთა ცხოვრებიდან, საჭადრაკო ოლიმპიადებიდან და სხვ. იგი პირველად გააცნობს რუს მკითხველებს ყურადსაღებ ამბებს საქართველოს საჭადრაკო მატიანედან.



წიგნის შეძენა შეიძლება თბილისის ჭადრაკის სასახლეში.

„ლაზიერის“ კორესპონდენტი შეხვდა **თენგიზ გიორგაძეს** და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

**— რამ განაპირობა ამ სქელტანიანი წიგნის რუსულ ენაზე გამოცემა? მსგავსი ქართველებს არ გაგვაჩნია**

— ამ წიგნის თავები იბეჭდებოდა 1998-2003 წლებში რუსულენოვანი გაზეთის „Свободная Грузия“-ს საჭადრაკო კლუბში ყოველ შაბათს. „Окно в шахматный мир“-ში შესულია გამორჩეულად საუკეთესო წერილები. სხვათა შორის, მსგავსი წიგნი არც რუსებს აქვთ.

**წიგნში უხვადაა ისტორიული ფაქტები და მოვლენები, რაც მას ცნობარის სახეს აძლევს. — ეს გამიზნულადაა გაკეთებული?**

— არა. მე ვცდილობდი XIX-XX საუკუნეების მოვლენებისა და მოჭადრაკეების ცხოვრება-საქმიანობის აღწერისას აღმენიშნა მათი ისტორიული თარიღები. წლები. რა თქმა უნდა, მეტ ყურადღებას ვაქცევდი ისტორიულ ფაქტებს, მოვლენებს. ასე რომ, საცნობარო მასალა თავისთავად დაგროვდა. ვფიქრობ, ეს ზრდის წიგნის ღირებულებას.

**— მართალია, წიგნში კარგადაა წარმოდგენილი საქართველო, მაგრამ ზოგიერთ ნიჭიერ ახალგაზრდა მოჭადრაკეზე არ საუბრობთ.**

— გეთანხმებით, მაშინ, როცა იწერებოდა ეს წერილები, მათ არ ჰქონდათ დიდი მიღწევები. ამიტომ მათზე საუბარი შემდგომში გვექნება, როცა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწევენ. სათქმელი კი, მადლობა ღმერთს, საკმაოდ გვიგროვდება.

**— მრავალი ათეული წელია თქვენ ეწევით ლიტერატურულ მუშაობას ჭადრაკში. მერამდენე წიგნია** „Окно в шахматный мир“ **და, თუ საიდუმლო არ არის, რას გვპირდებით ახლო მომავალში?**

— „Окно в шахматный мир“ 42-ე , ხოლო რუსულ ენაზე ჩემი მესამე წიგნია. მინდა წლეულს ერთ წიგნად გამოვცე წერილები ანდრია დადიანზე, რაც დამიგროვდა 1972 წელს გამოცემული მონოგრაფიის – „თამაშობს ანდრია დადიანი“ შემდეგ და მისი კომბინაციების კრებული, რომელიც თავად დასტამბა 1903 წელს კიევში მცირე ტირაჟით – 50 ეგზემპლარად ფრანგულ ენაზე. ამ კრებულს ნაკლებად იცნობს ჭადრაკის ქართველი გულშემატკივარი.

**ესაუბრა**
**ანდრო ბარძაია.**

⊙ ფესტივალი

# მთავარი ტურნირის წინ

ივნისის მეორე დეკადაში გაიმართება საჭადრაკო ფესტივალი „ნონას თასის“ მთავარი ტურნირი, რომელშიც რვა-რვა მოჭადრაკე ვაჟი და ქალი იასპარეზებს.

წლევანდელი ფესტივალის პროგრამა მრავალფეროვანი იყო. გაიმართა სხვადასხვა ტურნირები, ლექციები, ერთდროული თამაშის სეანსები...

14 წლის გოგონათა ტურნირში თავი გამოიჩინა შარშანდელი ფესტივალის ლაურეატმა თაკო სამნიაშვილმა, რომელმაც ცხრა პარტიაში 6,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულა აქვთ სალომე ხაჟომიას და ანი თოფურიძეს. ისინი, შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდნენ.

მათ თანატოლ ბიჭებში 44 მოჭადრაკეს შორის საუკეთესო აღმოჩნდა ელგუჯა ლალიაშვილი. მან რვა პარტია მოიგო და მხოლოდ ერთი ყაიმით დაამთავრა. პრიზიორთა შორის ორი რუსთაველია: ლუკა პაიჭაძე და გეგა მაისურაძე. ლუკას აქტივში 7,5 ქულაა, გეგას კი მასზე ქულით ნაკლები.

საინტერესო ბრძოლაში გამოვლინდა ფესტივალის მთავარი ტურნირის ოთხი საგზურის მფლობელი. ქალთა შესარჩევ ტურნირში ხუთი დიდოსტატი და ექვსი საერთაშორისო ოსტატი ასპარეზობდა. 7,5 ქულით ფინიშთან პირველი მივიდა მაია ლომინეიშვილი. 7 ქულა აქვს სოფიკო ხუხაშვილს, 6,5 – ნანა ძაგნიძეს. მთავარი ტურნირის მეოთხე საგზურს ნინო ხურციძე დაეუფლა. ნინოსთან ერთად 6 ქულა მოაგროვა სოფიკო ტერელაძემ.

სოფიკო ხუხაშვილმა კონკურსგარეშე იასპარეზა 20 წლის გოგონათა ტურნირში და პირველი პრიზი მოიპოვა. მთავარი ფინალის საგზური კი მეორე ადგილზე გასულ ანა გავაშელს ერგო. მესამე პრიზი თამარ წერეთელს გადაეცა.

**სურათზე: 14 წლის გოგონათა და ჭაბუკთა ტურნირში გამარჯვებულები.**





⊙ კომპოზიცია

# ეტლების ალღუმი

**„იდეებიდან პრივილეგირებულად გადაიქცევა ის, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მოახდენს ზემოქმედებას ჩვენს გრძნობებზე“.**

**ანრი პუანკარე.**

ეტლების ეტიუდებს დიდი ადგილი ეთმობა კლასიკოსების შემოქმედებაში, მაგრამ მათი უმრავლესობა გამოირჩევა სიმშრალითა და ერთფეროვნებით. შემდგომი თაობის კომპოზიტორებმა პაიკთა დამატებით შესამჩნევად გაამდიდრეს ამ ტიპის ეტიუდები და ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნეს კომბინაციური მიმართულებით. მათ ცხადყვეს, რომ პაიკთა პოტენციურ შესაძლებლობათა გამოყენების გარეშე შეუძლებელია მაღალმხატვრული საეტიუდო იდეების გამოძერწვა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქართველ ეტიუდისტთა დამსახურება ამ მიმართულებით. ქართველ ავტორთა ეტიუდებმა, განსაკუთრებით მათმა ორნამენტულმა მოძრაობამ, თანამედროვე და, ამასთანავე, რომანტიული ჟღერადობა შეიძინა, რამაც მსოფლიოში მრავალი თაყვანისმცემელი და „მიმბაძველი“ გაუჩინა. ორნამენტული ქართული სტილი დღეს პოპულარულია საჭადრაკო სამყაროში.

ჩვენ სტატიაში შევეხებით ეტლების ეტიუდებში ერთ-ერთ მეტად პოპულარული თემის – „ფრონტალური დევნის“ რამდენიმე საინტერესო ნაწარმოებს. დიაგრამა № 1.

1.g7+ □g8 2.b7 ♖xe6+ 3.g6 ♖e8 4.b8□ ♖xb8 5.♖xb5 ♖dd8 6.♖d5 ♖a8 7.♖a5 ♖dc8 8.♖c5 და „ფრონტალური დევნა“ დაუსრულებლად გრძელდება, რასაც საპატო იდეა უდევს საფუძვლად.

№ 2 დიაგრამაზე გამოსახულ ეტიუდში ფრონტალურ დევნაში ჩართულია ახლადგაყვანილი შავი ეტლი.

1.♖xb5 ♖g3+ 2.♖g5 ♖xg5+ 3.□h7 d1♖ 4.♖d8 ♖e1 5.♖e8 ♖a1 6.♖a8 ♖d1 და აქაც დევნა მუდმივად გრძელდება.

№ 3 დიაგრამაზე წარმოდგენილ ეტიუდში „ფრონტალური დევნა“ ხორციელდება როგორც ძირითად გადაწყვეტაში, ასევე მცდარ კვალში.

1.□f2 ♖g3 2.□g1 □h3 3.♖b2 ♖a3 4.♖e2 ♖d3 5.♖d2 ♖c3 6.♖c2 ♖b3 7.♖b2 ♖a3 8.♖a2 ♖f3 9.♖xg2 ♖g3 10.□h1 ♖xg2 პატი.

და ბოლოს, № 4 დიაგრამაზე წარმოდგენილია ეტიუდი, სადაც დევნა ვერტიკალზე ხორციელდება. მოტივი აქაც განპირობებულია პატის იდეით.

**1.♖xb2 □c7 2.♖d7+ □c6 3.♖b6+ □xd7 4.♖b3 ♖h2 5.♖b2 ♖h1 6.♖b1 ♖h4 7.♖b4 ♖h5 8.♖b5** და დევნა აქაც მარადიულია.

აღნიშნულ თემაზე აგებული ეტიუდები დიდი ესთეტიკური ზემოქმედებით გამოირჩევიან, ამიტომ ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობენ საჭადრაკო ხელოვნების მოყვარულთა შორის.

**ველიმირ კალანდაძე.**
**საერთაშორისო ოსტატი.**

ველიმირ კალანდაძე.
1971 წ.



ყაიმი.

ველიმირ კალანდაძე.
1975 წ.



ყაიმი.

ველიმირ კალანდაძე.
2001 წ.



ყაიმი.

ველიმირ კალანდაძე.
2001 წ.



ყაიმი.

სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), კახი ჩიგოგიძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ნინო გურიელი, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე.

# იხსნება ორი კორეის დამაკავშირებელი საავტომობილო გზები

**ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეამ მიაღწიეს მორიგებას იმის თაობაზე, რომ ოქტომბერში ოფიციალურად გაიხსნება სადემილიტარიზაციო ზონაზე გამავალი, ხელახლა აშენებული საავტომობილო გზები.**

ასეთ შეთანხმებას მხარეებმა მიაღწიეს მას შემდეგ, რაც სეული დაპირდა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰუმანიტარული დახმარების სახით 400 ათასი ტონა სურსათის გამოყოფას.

უნდა დაიწყოს, აგრეთვე, ორი ქვეყნის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალების გამოცდაც.

მიღებული გადაწყვეტილებები მოწმობს, რომ მიღწეულია გარკვეული პროგრესი ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში, თუმცა ჯერჯერობით კვლავ აკრძალულია მოგზაურობა ორ კორეას შორის.

კორეის ნახევარკუნძულზე განლაგებულ ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი 50 წლის წინათ ჩაიკეტა, სასაზღვრო ზონა კი დანაღმულია და იქ ორივე მხრიდან აღმართულია ტანკსაწინააღმდეგო ნაგებობები.

ფხენიანში გამართულ მოლაპარაკებაზე მხარეებმა დათქვეს, რომ გახსნიდნენ მხოლოდ ორ ახალ გზას სადემილიტარიზაციო ზონაში და განახორციელებდნენ გამოცდებს ორივე ქვეყნის დამაკავშირებელ სარკინიგზო მაგისტრალებზე.

სასაზღვრო ზონაში შესვლის უფლება ექნებათ მხოლოდ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანიზაციებს.

გადაწყდა, აგრეთვე, შეიქმნას კესონის სასაზღვრო ტექნიკური პარკის მართვის ერთობლივი ადმინისტრაცია.

ტექნიკური პარკი არის სამხრეთ კორეის ინვესტიციათა ობიექტი და მისი მაგალითით აპირებენ შეიმუშაონ თანამშრომლობის მექანიზმი.

სეულმა იკისრა ვალდებულება მიაწოდოს ფხენიანს 400 ათასი ტონა ბრინჯი, რადგან კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სჭირდება სასურსათო დახმარება კვების პროდუქტებზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

შეთანხმებას საავტომობილო გზების შესახებ მოაწერეს ხელი მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც ორივე ქვეყნის მაღალი თანამდებობის სამხედრო პირებმა მიაღწიეს მორიგებას კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობის შენელების შესახებ. განსაკუთრებით დაძაბული სიტუაციაა შექმნილი ამ ბოლო წლების განმავლობაში დასავლეთ სანაპიროზე, სადაც არაერთგზის აღინიშნა შეტაკებები ორივე ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ხომალდებს შორის.



მიმომხილველთა აზრით, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს ურთიერთობის დათბობა სეულთან. და ეს ხდება მაშინ, როცა ჩრდილოეთ კორეა სულ უფრო მეტ ზემოქმედებას განიცდის შეერთებული შტატებისა და მეზობელი ქვეყნების მხრიდან ფხენიანის ბირთვული პროგრამების გამო.



# ბუში ევროპაში მოკავშირეთა მხარდაჭერას ეძებს

**ევროპის ქვეყნებში ტურნეს დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, ალბათ, ეცდება შეიპიროს მოკავშირეთა მხარდაჭერა ერაყის შესახებ რეზოლუციის პროექტის თაობაზე.**

შაბათს მან გამართა მოლაპარაკება იტალიის პრემიერ-მინისტრთან სილვიო ბერლუსკონისთან. ამის შემდეგ ბუში გაემგზავრა საფრანგეთში, ქვეყანაში, რომელიც მკაცრად ილაშქრებდა ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგ.

მანამდე კი, პარასკევს, ჯორჯ ბუში შეხვდა რომის პაპს იოანე – პავლე მეორეს.

ბუშის ვიზიტი ევროპაში ეძღვნება ნორმანდიაში გადასხმის 60 წლისთავს.

მართალია, საფრანგეთის პრეზიდენტი შედის იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა რიცხვში, რომლებიც მკაცრად აკრიტიკებდნენ ერაყში ომის დაწყებას, შეერთებული შტატების პრეზიდენტი მაინც ეცდება თავისი ვიზიტის დროს მოიპოვოს საფრანგეთის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა, რადგან, ამერიკელებს უაღრესად სჭირდებათ მოკავშირეთა მხარში ამოდგომა ერაყის შესახებ რეზოლუციის პროექტის გაეროს უშიშროების საბჭოში განხილვის დროს.

ამერიკა-ბრიტანეთის მიერ მომზადებული რეზოლუციის ეს პროექტი უჭერს მხარს ერაყში დროებითი მთავრობის შექმნას, აგრეთვე ამ ქვეყანაში ყოფნის ნებას რთავს მრავალეროვნულ ძალებს.

საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი მოითხოვენ, რომ ერაყის მთავრობას მიეცეს უცხოეთის ჯარებზე კონტროლის შესაძლებლობა, აგრეთვე იმას, რომ რეზოლუციაში მკაცრად იყოს განსაზღვრული კოალიციის ძალების ერაყში ყოფნის ვადები.

ბუშის ადმინისტრაციაში იმედოვნებენ, რომ ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის წლისთავი კარგი საბაბია საიმისოდ, რომ ევროპელებს შეახსენონ, თუ რა ისტორიული ღვაწლი მიუძღვის შეერთებულ შტატებს ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

# პავლე ლაზარენკოს გასამართლება უკრაინაში სურთ



**უკრაინელმა პროკურორებმა განაცხადეს, რომ ეცდებიან ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის პავლე ლაზარენკოს სამშობლოში დაბრუნებას.**

„უკრაინის გენერალურ პროკურატურას აქვს უფლება, რომ ამერიკელებს სთხოვოს გამოიჩინონ კეთილი ნება და დააბრუნონ პავლე ლაზარენკო უკრაინაში მისი საქმის გამოძიებისა და მასალების სასამართლოში გადაგზავნის მიზნით“, – ხაზგასმულია უკრაინის გენერალური პროკურატურის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ჯერჯერობით ამერიკის შეერთებული შტატები უარს აცხადებს გადასცეს ლაზარენკო უკრაინის მხარეს, რადგან ამ ორ ქვეყანას შორის არ არის დადებული ხელშეკრულება ექსტრადიციის შესახებ.

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ასეთი განცხადება გააკეთა მას შემდეგ, რაც 2004 წლის 3 ივნისს კალიფორნიის შტატის ჩრდილოეთი ოლქის ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ გამოიტანა ვერდიქტი „ამერიკის შეერთებული შტატები ლაზარენკოს წინააღმდეგ“ საქმის თაობაზე.

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დამნაშავედ სცნეს ბრალდების 29 პუნქტის მიხედვით, მათ შორის ეგრეთ წოდებულ „ფულის გათეთრებაში“, თაღლითობასა და გამომძალველობაში.

ლაზარენკოსთვის აღმკვეთი ზომა უნდა დაადგინოს მოსამართლემ მარტინ ჯენკინსმა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე. მოელიან, რომ განაჩენს რამდენიმე თვეში გამოიტანენ.

უკრაინის გენერალური პროკურატურის ინიციატივით, ინტერპოლის უკრაინის ეროვნულმა ცენტრალურმა ბიურომ ლაზარენკოს ძებნის საერთაშორისო ორდერის მოქმედების ვადა გაახანგრძლივა 2008 წლის აგვისტომდე იმის გამო, რომ ძებნამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, – ვერ შეძლო ლაზარენკოს სამშობლოში დაბრუნება.

უკრაინის გენერალური პროკურატურის პრესსამსახური აღნიშნავს, რომ სამშობლოში ლაზარენკო ეჭვმიტანილია პარლამენტის დეპუტატების ევგენი შჩერმანის და ვადიმ გეტმანის მკვლელობების ორგანიზებასა და სხვა პირების მკვლელობების მომზადებაში. გარდა ამისა, მას ბრალად ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების უკანონო მითვისება, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ქრთამების აღება, გამომძალველობა, საზღვარგარეთ სავალუტო ანგარიშების უკანონოდ გახსნა და დანაშაულებრივი გზით მიღებული სახსრების ამ ანგარიშებზე გადარიცხვა.

თავის მხრივ, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილემ ვასილ ბაზივმა განაცხადა, რომ ლაზარენკოს უკრაინაში დაბრუნების შემთხვევაში, მის საქმეს ხელს მოჰკიდებენ პროკურორები. ასეთი კომენტარი გაუკეთა მან ყოფილი პრემიერის განცხადებას, რომელიც აღნიშნავდა, რომ აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას და პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას.

მაისის დამლევს რუსული „ნეზავისიმაია გაზეტასათვის“ მიცემულ ინტერვიუში ლაზარენკომ განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ უკვე წლის დამლევისათვის დავბრუნდები უკრაინაში და კვლავ განვაგრძობ პოლიტიკურ საქმიანობას. მე სხვა გზა არ მაქვს. მთელი ეს წლები მხოლოდ ამაზე ვფიქრობ. შემიძლია გითხრათ, რომ ახლა მზად ვარ ყველაფრისთვის.



# უსამა ბენ ლადენმა რამსფელდს დიდი თავსატეხი გაუჩინა

**ამერიკაში, ალბათ, იშვიათად შეხვდებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც სიზმარში თუ ცხადში თავიანთი ქვეყნის ნომერ პირველ მტერზე ფიქრობდნენ. თუმცა, არის ერთი ოჯახი, რომელშიც ეს ასე ხდება. ეს გახლავთ შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის ოჯახი.**

„როცა დილით გამოვდივარ საძინებლიდან, ცოლი ხშირად მეკითხება ხოლმე: „მაინც, სად არის უსამა ბენ ლადენი?“, – გაუზიარა რამსფელდმა თავისი გულისტკივილი ამერიკელ მეზღვაურებსა და საზღვაო ქვეითებს, რომლებსაც შეხვდა სინგაპურში ამერიკულ სამხედრო ხომალდ „ესექსზე“. თუმცა, რამსფელდს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რა პასუხს სცემს ცოლის ასეთ კითხვას.

ამის შემდეგ რამსფელდმა საუბრის ტონი შეცვალა და სავსებით სერიოზულად განაცხადა, რომ ბენ ლადენის ძებნა ახლა ისევე აქტიურად მიმდინარეობს, როგორც წინათ. თუმცა, იქვე აღიარა, რომ ჯერჯერობით ამას შედეგი არ მოუტანია.

„ის, რომ ჩვენ მას ძალზე მივუახლოვდით, სათვალავში არ მიიღება. მთავარია, რომ ჩვენ იგი ჯერჯერობით ვერ ვიპოვეთ. ბენ ლადენს მრავალი ადამიანი ეძებს. მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, თუ სად იმალება იგი. ეს რომ ვიცოდეთ, აქამდე ხომ უკვე შევიპყრობდით, მაგრამ იგი ჯერჯერობით ვერ დავვიჭერია!“

დონალდ რამსფელდმა, რომლის გამონათქვამებიც (ისევე, როგორც პრეზიდენტ ბუშისა) ხშირად გვხვდება მსოფლიო პრესის კურიოზებს შორის, განმარტა, თუ რატომ მიაჩნია მას, რომ ბენ ლადენის შეპყრობა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამ ადამიანს, როგორც იტყვიან, „ჩაუშვებს“ მისი რომელიმე კეთილმოსურნე, როგორც ეს მოხდა სადამ ჰუსეინთან დაკავშირებულ შემთხვევაში. „ერთადერთი შესაძლებლობაა ვიპოვოთ ის, ვინც შესაძლოა, დაგვეხმაროს იმის გაგებაში, თუ სად შეიძლება იმყოფებოდეს ბენ ლადენი“, – თქვა რამსფელდმა.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძემ.**

## განცხადება სააქციო საზოგადოება „მასპინძელის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს „მასპინძელის“ დირექტორატი იწვევს საზოგადოების აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 28 ივნისს 12 საათზე. თბილისში თარხნიშვილის ჩიხი № 1.

**დღის წესრიგი:**

**1. დირექტორატის 2003 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება; 2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება; 3. 2004 წლის აუდიტორის არჩევა.**

◎ კინოხელოვნება

# გამოთხოვება დონ კიხოტთან

**თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ზურაბ ინაშვილის ფილმის – „გამოჩენილი მაესტრო მ. როსტროპოვიჩი ეთხოვება დონ კიხოტს“ – პრეზენტაცია.**

დიახ, ჩვენ ვნახეთ ფილმი, რომელმაც უდიდესი შემეცნებითი, ესთეტიკური და ზნეობრივი კმაყოფილება მოგვანიჭა. ფილმის შინაარსი და მხატვრულ-ფილოსოფიური მიზანდასახულება გაცილებით უფრო ღრმა და ტევადია, ვიდრე ოდენ დიდი მაესტროს – მსტისლავ როსტროპოვიჩის არტისტული ბიოგრაფიის ერთი დრამატული ფურცლის კინოვერსია.

ეს გახლავთ მრავალგანზომილებიანი, ჭეშმარიტად პოლიფონიური ტილო, რომელიც შეიცავს გამომსახველი, პლასტიკური და ვიზუალური ხერხების მდიდარ სპექტრს, ნაირფეროვან მხატვრულ შრეებს, ერთ ორგანულ მთლიანობაში რომ არის შერწყმული რეჟისორის შემოქმედებითი ნებით.

თქმა არ უნდა, ფილმის ავტორს ზურაბ ინაშვილს (ალბათ, გვახსოვს მისი ფილმი „ქართველები მარიას თეატრში“) განკარგულებაში ჰქონდა ძალზე მდიდარი, საინტერესო და მადლიანი მასალა: რიჰარდ შტრაუსის განთქმული სიმფონიური პოემა „დონ კიხოტი“, ამ მუსიკის შემსრულებლის, შეუდარებელი მ. როსტროპოვიჩის ხელოვნება და, ბოლოს, სერვანტესის მარადიული რომანის სიუჟეტური რემინისცენციები. თავიდანვე ვიტყვი, რომ რეჟისორმა შესანიშნავად გამოიყენა ეს გარემოება და შექმნა უნიკალური მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, რომლის ანალოგიც მსოფლიო კინემატოგრაფიაშიც არ გვეგულება – თავისებური, „ვიზუალური პოეზია“, როგორც მას იაპონიაში უწოდეს.



რამდენიმე სიტყვა ფილმის შექმნის ისტორიის შესახებ. მისი იდეა ეკუთვნის საკუთრივ მ. როსტროპოვიჩს, ყველა დროის უდიდეს ვიოლონჩელისტს. ტექნიკური განხორციელება კი ითავეს იაპონიის საზოგადოებრივი ტელევიზიის მესვეურებმა (პროდიუსერი – რიოტა კოტანი).

2002 წელს იაპონიამ, ისევე როგორც მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ, აღნიშნა დიდი მაესტროს დაბადების 75 წლისთავი. იაპონიის ქ. მაცუმოტოში გაიმართა კონცერტი, რომელშიც როსტროპოვიჩმა შეასრულა სოლო ვიოლონჩელის რთული პარტია რ. შტრაუსის სიმფონიურ პოემა „დონ კიხოტში“ (დირიჟორობდა გამოჩენილი იაპონელი მუსიკოსი სეიჯი ოძავა).

მ. როსტროპოვიჩის თქმით, ეს იყო მის მიერ ამ ნაწარმოების ბოლო შესრულება, „გამოთხოვება დონ კიხოტთან“.

როდესაც დადგა გამოთხოვების „კინოვერსიის შექმნის საკითხი, როსტროპოვიჩის არჩევანი შეჩერდა ზურაბ ინაშვილზე, რომლის ზემოთ ნახსენები ფილმი – „ქართველები მარიას თეატრში“ მას ადრე ძალიან მოსწონებია.

ფილმის გადაღება მიმდინარეობდა ესპანეთში, საფრანგეთში, იაპონიაში და პეტერბურგში. მუშაობის დაწყების წინ ძირითადი შემოქმედებითი ბირთვის წევრები და, მათ შორის, ცხადია, მაესტრო როსტროპოვიჩი, შეთანხმდნენ, რომ რ. შტრაუსის პროგრამული სიმფონიური პოემის ყოველ ეპიზოდს მისი სიუჟეტური შინაარსიდან გამომდინარე შესატყვის „ხედვით რიგს“ მიუსადაგებდნენ.

ასეც არის. ეს „კინოილუსტრაციები“ მუსიკის ვიზუალური ფონის ფუნქციას ასრულებენ და არავითარ შემთხვევაში არ ჩრდილავენ როსტროპოვიჩის ჯადოსნური ხმით წარმოჩენილი „კეთილშობილი ჰიდალგოს“ პოეტურ სახეს. მაყურებლის თვალწინ იშლება ვრცელი პანორამა, სადაც დონ კიხოტის აჩრდილი მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნისა თუ ქალაქის სივრცეში, ნაირგვარი ლანდშაფტისა და პეიზაჟის ფონზე.

ზ. ინაშვილის ფილმში თანაბრად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მის ორსავე პლასტს: დოკუმენტურსა და მხატვრულს, თუმცა პროპორციულად მეტი ადგილი ეთმობა პირველ მათგანს – აქ ხომ ცენტრალური ადგილი უკავია რ. შტრაუსის პარტიტურაზე მუშაობის ხანგრძლივ, სკრუპულოზურ პროცესს, რომელშიც ჩაბმულნი არიან გამოჩენილი მუსიკოსები: მსტისლავ როსტროპოვიჩი ი. სეიჯი ოძავა და იაპონიის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. ყველაფერთან ერთად, რეპეტიციის ამსახველი კადრები, დიდი მაესტროს პროფესიული კომენტარები უძვირფასეს მასალას შეიცავენ რ. შტრაუსის პოემის მომავალი შემსრულებლებისთვის.

არანაკლებ საინტერესო და ორიგინალურია „თანამედროვეობის დონ კიხოტად“ წოდებული მ. როსტროპოვიჩთან დაკავშირებული წიაღსვლები, რემინისცენციები, მოგონებები, რომლებიც წარმოგვისახავენ როსტროპოვიჩის დისიდენტურ წარსულს, მისი დაუცხრომელი სულის ჰუმანისტურ გამოსხივებებს (რად ღირს, თუნდაც მაესტროს გამოჩენა დანგრეულ ბერლინის კედელთან ბახის მუსიკის შესრულებით) და თვით მის „აქტიორულ“ ტალანტსაც!

როგორც იტყვიან, თვალს და ყურს ახარებს ფილმის მხატვრული მხარე, იგი ძირითადად უკავშირდება რ. შტრაუსის „დონ კიხოტის“ შესრულებას, მასში პერიოდულად შეჭრილი ფერადოვანი კადრებით, რომლებიც ლაკონურად მიგვანიშნებენ სერვანტესის რომანის სიუჟეტურ პერიპეტიებზე, სიმბოლურად წარმოგვიდგენენ მისი გმირის – უკვდავი ჰიდალგოს სრბოლას მარადისობაში და იმავდროულად, შთამბეჭდავ, კოლორიტულად მდიდარ ფონს უქმნიან ფილმის ძირითად დრამატულ ქარგას.

პირდაპირ საოცარია რეჟისორის ოსტატობა და ფანტაზია საეკრანო კადრების, ფერების, კომპოზიციების შერჩევაში, ყოფითი სცენებისა და ამაღლებული ალეგორიული სიმბოლიკის შეპირისპირებაში, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება ფილმის ძირითადი ეთიკური იდეის დამკვიდრებას: სიკეთე უძლეველი და მარადიულია. ხოლო შთაგონებული მუსიკა – მისი ესთეტიკური ხატი და განსახიერება.

**გულბათ ტორაძე.**

**სურათზე: ზურაბ ინაშვილი და მსტისლავ როსტროპოვიჩი.**

◎ თაობა

# მარიკა ქაცარავა — რეჟისორი თუ მომღერალი?

**ალბათ, ყველას გახსოვთ გათანამედროვებული მიუზიკლი „ჩხიკვთა ქორწილი“, რომელიც ანსამბლმა „ივერიამ“ შემოგვთავაზა. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი, სწორედ ამ სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ლამაზი ქეთო ანუ მარიკა ქაცარავაა.**

**მარიკა პროფესიით რეჟისორია და სერიოზულად არის თავისი საქმიანობით დაკავებული. ამჟამად ცნობილი რეჟისორის რეზო ჩხეიძის ასისტენტია, და როგორც თავად აცხადებს, მეტად საინტერესო ფილმზე მუშაობენ:**



– ორი კვირა იერუსალიმში გვქონდა გადაღებები, ახლა ეგვიპტეში მივემგზავრებით. ფილმის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა ქრისტიანული გზა უნდა გამოიაროს, ამიტომ იქიდან კაბადოკიაში წამოვალთ.

**– სამწუხაროდ, დღეს ისეთი მდგომარეობაა საქართველოში, რომ ფილმის გადაღება ხშირად ვერ ხერხდება, ძირითადად უსახსრობის გამო. თქვენ ვინ გაფინანსებთ?**

– ზუსტი სახელები და გვარები არ ვიცი, ისე რუსეთში მყოფი ქართველი ემიგრანტები არიან.

**– როდისთვის იქნება ფილმი მზად?**

– სავარაუდოდ, დეკემბრისთვის.

**– ჩვენს ქვეყანაში რეჟისორს მუდმივი სამუშაო იშვიათად აქვს. საკმაოდ რთული პროფესია აირჩიე...**

– ვფიქრობ, რომ მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, უმუშევარი არ ვიქნები. ამ პროექტის დასრულების შემდეგ, ბატონი რეზო კიდევ აპირებს სხვა ფილმზე მუშაობას. გარდა ამისა, შემოთავაზება მაქვს ერთ-ერთი სერიოზული ტელევიზიიდან, ჩემი პროექტი უნდა მივიტანო. არც ის არის გამორიცხული, დროის გარკვეული მონაკვეთი საზღვარგარეთ დავყო...

**– კონკრეტულად სად და რა მისიით აპირებ გამგზავრებას?**

– ალბათ, 6 თვით მექსიკაში წავალ და იქ ჩემს პროფესიულ ცოდნას გავიღრმავებ. მექსიკაში ბაბუა და მამიდა ცხოვრობენ და ვფიქრობ, რომ ძალიან არ გამიჭირდება.

**– ხომ არ ფიქრობ, საქართველოდან სამუდამო წასვლაზე?**

– არა, ეს გამორიცხულია. შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად პატრიოტი ვარ. გასტროლებზე ყოფნის დროსაც კი ერთი სული მაქვს, უკან როდის დავბრუნდები. ცხოვრება მხოლოდ ჩემს სამშობლოში შემიძლია.

**– საკუთარ ფილმზე თუ მუშაობ?**

– დიახ, გადავიღე ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი – „ორმო“ და „სხვა გზა“. პირველმა იტალიისა და რუსეთის ფესტივალებზე გამარჯვება მომიტანა. ბატონმა რეზომაც ამ ფილმის ნახვის შემდეგ მიმიწვია ასისტენტად. ამჟამად ვმუშაობ ფილმზე „რასაცა გასცემ შენია“, რომელიც რელიგიურ თემას ეხება.

**– ვიზუალური მხარე ხელს გიწყობს, ტელეგენური ხარ და როდესმე ტელეწამყვანის ამპლუაში ხომ არ მოგვევლინები?**

– მინდა გითხრათ, რომ სამჯერ მქონდა მსგავსი შემოთავაზება სხვადასხვა ტელეკომპანიებიდან, მაგრამ უარი განვაცხადე. მე რეჟისორი ვარ და ალბათ, უკეთესი იქნება, ყველამ თავისი საქმე აკეთოს. თუ სურთ გავაკეთებ გადაცემას, მაგრამ ვფიქრობ, რომ ტელეწამყვანი არასდროს ვიქნები.

**– რაც შეეხება სიმღერას, ხომ არ ფიქრობ, რომ ძალიან დიდი შესვენება გამოგივიდა? მსმენელს თავი მოანატრე!**

– ბოლო წელია მართლა ბევრი სამუშაო მაქვს და ფიზიკურად ველარ ვიცლი სიმღერისთვის. თანაც სიმართლე გითხრათ, დღევანდელი ქართული შოუ-ბიზნესი დიდად არ მომწონს. როცა დროს ვპოულობ, ყოველთვის მივდივარ სტუდიაში და საკუთარ თავზე ვმუშაობ, ახალსაც, რა თქმა უნდა, ვქმნი.

**– კონკრეტულად რა არ მოგწონს და რა გაღიზიანებს თანამედროვე შოუ-ბიზნესში?**

– პირველ რიგში, ალბათ, ის, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება აღარავის აინტერესებს. ძირითადი აქცენტი კომერციულობაზე კეთდება. ასეთი პროდუქციის დიდი დოზით მიწოდების ბრალია ის, რომ მსმენელსაც გემოვნება დაუქვეითდა. მიმაჩნია, რომ ხელოვნება უწინარესად სულის და არა ჯიბის სამსახურში უნდა იდგეს. მიუხედავად, ჩემი განწყობისა, ვფიქრობ, რომ მომავალში უფრო სერიოზულ ნაბიჯებს გადავდგამ ამ სფეროში.

**– ახლა მუშაობ ახალ სიმღერაზე?**

– დიახ, ლილიკო ნემსაძემ დამიწერა სიმღერა და მასზე ვმუშაობ. წლეულს მსურდა ახალი ალბომი გამომეშვა, მაგრამ მხოლოდ სამი სიმღერის ჩაწერა შევძელი. დიდი სურვილი მაქვს გადავიღო კლიპიც. ამ საქმეს, ალბათ, ჩემს ძმას მივანდობ. შორეული მომავალისთვის სოლო კონცერტსაც ვგეგმავ, თუმცა იქამდე ჯერ ბევრი მაქვს გასაკეთებელი. მოკლედ, ვცდილობ ძალები არ დავზოგო და ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი წარმოვაჩინო.

**– წარმატებებს გისურვებთ!**

– გმადლობთ!

**ნატალი ბრეგვაძე.**

◎ მსოფლიო შტრიხებში

## ძეგლს აუგებენ ხელთუქმნელს...

**რას? საბჭოთა კავშირისა და მომდევნო „გარდამავალი პერიოდის“ საშემნახველო ანაბრებს. რით? საბჭოეთის დროის ხურდა ფულის შეგროვებით! ასე გადაწყვიტეს ვინიცაში. და იცით, რა მოხდა? სამი თვის განმავლობაში აქ უცებ 350 კილოგრამი ხუთკაპიკიანი თუ კაპიკიანები შეაგროვეს.**



რათა ადგილობრივ მოსახლეობას არ გაჭირვებოდა ნუმიზმატიურ სიკეთესთან განშორება, ერთობ ძვირფასი ჯილდოებიც კი დააწესეს: მაგალითად 82 წლის პენსიონერს, ამ აქციის ყველაზე აქტიურ მონაწილეს მარია ონშჩენკოს, 38 კილოგრამი შავი ფული რომ ჩააბარა, საჩუქრად ოქროს სამაჯური გადასცეს, ხოლო ბუღალტერი ოლეგ კომაჩევი 52 კილოგრამი ხურდა ფულის ჩაბარებისათვის ოქროს ძეწკვით წაახალისეს. ისინი კი, ვინც სამ კილოგრამამდე ასეთ „ჯართს“ აბარებდნენ, ბოთლ შამპანურს ღებულობდნენ.

მაინც რა უნდა აისახოს ამ „ხელთუქმნელ“ ძეგლზე? ზოგი ამბობს, რომ ეს უნდა იყოს უზარმაზარი, გადაშლილი შემნახველი სალაროების წიგნაკი. სხვები ამჯობინებენ, რომ კვარცხლბეკზე დადგან კარგა მოზრდილი სამლიტრიანი ქილა, რომელშიც ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქენი ამჯობინებდნენ ფულის შენახვას.

## შოკოლადი — მოსარჯულებლად

**თქვენც კარგად მოგეხსენებათ, დალევის შემდეგ ზოგს „სიყვარულის ბუშტი“ უსკდება, ზოგსაც აურზაურის, მუშტი-კრივის საღერღელი ეშლება. ამ უკანასკნელთა დაშოშმინება-მოსარჯულებლად ინგლისელმა პოლიციელებმა ახალ ხერხს მიაგნეს: „ნუ იხულიგნებთ სერ. აჯობებს, შოკოლადი მიირთვათ.**

დიახ, ამიერიდან სწორედ ასე დახვდებიან ღამის ბარებისა და კლუბების კარებთან იქიდან გამოსულ აღგზნებულ სტუმრებს ინგლისელი პოლიციელები. ახალი საქალაქო პროგრამა ხომ შემთვრალი ბრიტანელების აგრესიის დაქვეითებისკენაა მიმართული.

არადა, სტატისტიკის მიხედვით, შეხლა-შემოხლის, აყალმაყალის უდიდესი რაოდენობა სწორედ გასართობი დაწესებულებებიდან დილაუთენია გამოსულებზე მოდის, – ამბობს ლონდონის სოხოს რაიონის უფროსი ინსპექტორი იან კარტისი. აი გამოსავალიც, საჩხუბრად ატეხილის წინ შოკოლადის ფილით „შეიარაღებული“ პოლიციელი აღიმართება და აგრესიაც თანდათან ცხრება.

**შეკრიბა ვალიკო სიმონიშვილმა.**

◎ სატკივარი

# თანამედროვე გამენი

## რით იწყება ბოროტმოქმედება დიდი ადამიანისა?

**არც ერთ სახელმწიფოში არ ავიწყდებათ კანონების დაწერა. თუმცა ეს კანონები ხშირად საზოგადოების ერთი ნაწილისთვისაა შექმნილი, ხოლო მეორის ინტერესებს არ ითვალისწინებს. მოწოდება კი ერთია: კანონის წინაშე ყველა თანაბარუფლებიანია: მდიდრებიც და ღატაკებიც, მათხოვრების ჩათვლით. ქუჩის მათხოვრების დიდი ნაწილი კი ბავშვები არიან, ვისაც აკლიათ მშობლების სითბო, სიყვარული, განათლება. ქუჩის ბავშვები ხშირად საზოგადოების ზიზღსაც იწვევენ და უპატრონოებად მიიჩნევიან. მათზე სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული კანონი არ ვრცელდება. ჩვენს სახელმწიფოში ყოველ წუთს ირღვევა ბავშვთა უფლებები — ჰქონდეს სახლი, ჰყავდეს ოჯახი, ჰქონდეს განათლების მიღების საშუალება, დაცული იყოს მისი ჯანმრთელობა და ა.შ.**

ბავშვები, რომლებიც ხელგაწვდილნი დადიან, ხშირად იძულებითი შრომის მსხვერპლი ხდებიან. და ეს ხდება არა საზღვარგარეთ, არამედ საკუთარ სამშობლოში. ისინი თითქოს XXI საუკუნის მონები არიან. ჩვენ კი თრეფიქინგს ვებრძვით, უცხოეთში წამსვლელებს ვაფრთხილებთ, ბრმად არ ენდონ არავის, ხოლო ჩვენივე ქვეყნის მომავალს ლამის ვთელავთ და დანაშაულისკენ ვუბიძგებთ. განა მონობა არ არის ის, რომ დედა შვილს ერთი ბოთლი არყისთვის ქუჩაში აგდებს, ახალშობილს ნაგვის ყუთში ჩასაგდებად იმეტებს?

აი, რას ამბობს თორმეტი წლის ირაკლი: „**თუ სამათხოვროდ ქუჩაში არ გავალ, ის ქალი, ვისთანაც ვცხოვრობ, მცემს და სახლიდან გაგდებით მემუქრება. მე კი საერთოდ არ მინდა ქუჩაში ვიყო, ამას მირჩევნია თანატოლებთან ფეხბურთი, კარტი, კომპიუტერი ვითამაშო.**“

კითხვაზე კი — თუ ვინ არის ის ქალი, ვისთანაც ცხოვრობს და რაში ხარჯავს მის მიერ მოტანილ ფულს — მან ასე მიპასუხა: **იმ ქალმა რამდენიმე ქუჩის ბავშვი აგვიყვანა, თავის სახლში გვაცხოვრებს, სანაცვლოდ კი ჩვენი ნამათხოვარი ფულით მაგნიტოფონს, ვიდეოს, ტელევიზორს და ასეთ რაღაცეებს ყიდულობს.**

იმ ქალის სახელი ირაკლის არ უხსენებია. შეიძლება, ეს შიშით იყოს გამოწვეული...

და უნებურად ჩნდება კითხვა: ვიქტორ ჰიუგოს მიერ „საბრალონში“ აღწერილი გამენისგან რით განსხვავდებიან XXI საუკუნის ეს მაწანწალები? — თითქმის არაფრით. მკითხველი თავადაც რომ დარწმუნდეს ამაში, შევახსენოთ ერთი ამონარიდი ჰიუგოს ამ ცნობილი ნაწარმოებიდან:

**„პარიზს თავისი შვილი ჰყავს და ტყეს თავისი ჩიტუნა, ჩიტუნას ჰქვია ბეღურა, პარიზის შვილს — გამენი. მხიარულია ეს პატარა არსება. ყოველდღე არ სადილობს, მაგრამ წარმოდგენას კი დაესწრება, თუ მოისურვა, ყოველ საღამოს. პერანგი არ აცვია, ფეხშიშველი დადის, ქუდი არ ახურავს, ჩიტსა ჰგავს, ჰაერში მიფრინავს. გამენი შვიდი წლიდან ცამეტამდე იქნება. ამხანაგებთან არის, ქუჩას სტკეპნის, ღია ცის ქვეშ სძინავს, ძველი შარვალი აცვია თავის მამისა, რომელიც ძირს დასთრევს, ძველი ქუდი ხურავს, ვიღაც სხვა მამის, რომელიც ყურებამდე აქვს ჩამოფხატული. მთელი დღე დარბის, დაწრიალებს, რაღაცას ეძებს, რაღაცას უთვალთვალებს. დროს არ აფასებს, სწევს ჩიბუხს, იგინება როგორც შეჩვენებული, იცნობს ქურდებს, ლაპარაკობს ქურდების ენით, მღერის საზიზღარ ლექსებს. შინაურულად ელაპარაკება გოგონებს, დადის და ავი არა აქვს გულში. ერთი ძვირფასი მარგალიტი უზის სულში, — უმანკოება, მარგალიტები კი ლაფში არ იხსნება, მანამ ყრმა არის. ადამიანი, ღმერთს უნებებია, უმანკო იყოს“.**

მაგრამ სიყრმის წლები ბეღურა ჩიტივით მიფრინავს და უმანკოებაც თან მიაქვს. საზოგადოება კი პატარა მაწანწალებისგან ჩამოყალიბებულ ბოროტმოქმედებს, ტოქსიკომანებს და სულიერად განადგურებულ ადამიანებს იღებს. შემდეგ იწყება ამ ბოროტმოქმედის ძებნა, გაკიცხვა და საზოგადოებისგან მომდინარე ზიზღი, რასაც მოსდევს უსასრულო ფუჭი კითხვები და ამ კითხვებზე გაცემული, ასევე, უსასრულო ფუჭი პასუხები.

არადა, ამ უპატრონო ბავშვებს რა ბრალი ედებათ? — ის, რომ ქვეყანას მოევლინენ, თუ მდიდრებად რომ არ დაიბადნენ? საზოგადოების გარყვნილება და დამახინჯება ამ ბავშვების მაწანწალობიდან კი არ მოდის, არამედ — საზოგადოების გადაგვარებული შეხედულებიდან, მისი დაჭაობებული სულიდან, რომელიც ამ ბავშვების სულსაც აბინძურებს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობები კეთილშობილების ნიღაბს ამოფარებია და სამსჯავროს დამალვია, მაგრამ ხშირად ამქვეყნიური მსჯავრდებულნიც გულქვა მონარქის მსგავსად ვერ არჩევენ კეთილსა და ბოროტს.

ისევ „საბრალონის“ გმირს მივმართავ — ჟან ვალჟანს, რომელიც ერთი პურის ქურდობისთვის დაიჭირეს და 19 წელი კატორღაში გაატარა, მაგრამ ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი მირიელის დახმარებით ღვთისადმი რწმენა დაუბრუნდა, უანგარო ადამიანად იქცა, ყოველივე ამქვეყნიურზე, მართლმსაჯულებაზე ამაღლდა. ბოროტებას ებრძოდა და დაცემულს წამოდგომაში ეხმარებოდა.

მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ რეალურ ცხოვრებაში მირიელები არ არსებობენ და მათხოვარს უანგაროდ არ სწყალობენ (თუ ზედმეტი არ აქვთ), მომავალს კი, რომელიც უფსკრულის პირას დგას, დახმარების ნაცვლად ხელს ჰკრავენ და ჩაძირვაში ეხმარებიან. დღევანდელი ნაღები საზოგადოების წარმომადგენლები, ევროპაში, განათლებამიღებულნი, ერთ რამეს ივიწყებენ: **„ეს არის უზარმაზარი ნაკლი საზოგადოებისა. ყოველი ბოროტმოქმედება დიდი ადამიანისა იწყება უპატრონო ბავშვების მაწანწალობით“** (ვ. ჰიუგო, „საბრალონი“).

ეს ის აზრია, რომელსაც ვერც წარჩინებულნი და ვერც ჩვენ — უჩინონი ვერ უარვყოფთ. ის გვავალდებულებს, რომ ამ ბავშვების ნორმალური განვითარებისთვის ვიბრძოლოთ, სიკეთე ვაკეთოთ და მათ გადასარჩენად თავი დავდოთ. ჩვენ ხომ მათზე არაფრით უკეთესნი, არაფრით ლაღნი თუ წესიერები არა ვართ! ჩვენ ყველას ერთი საშინელება გვემუქრება: მათი უმანკოების წინაშე საბრალონი არ გავხდეთ.







**ნანა თევზაძე,**
**მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

◎ ნიჭი, ძამიკო, ნიჭი...

# კალამი და ყაისნაღი „დამმობილდნენ“



**ოლიკო ბრაგვაძე, როგორც ჟურნალისტი, იმ თაობიდან მოდის, როცა პურს მეპურე აცხობდა და დანას კიდევ მჭედელი ჭედავდა. დღეს იგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტდამთავრებული, გაზეთის ჭირისა და ლხინის ქურაში გამოწრთობილი, თავად ასწავლის ჟურნალისტიკის თეორიას გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში.**

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ოლიკოს ნიჭმა ახალი, ელვარე წახნაგი შეიძინა — შთაგონება მოულოდნელად ეწვია და მაკრამეს ხელოვნებას დააწინდა. ისეთ უჩვეულო და გასაცვიფრებელ ნიმუშებს ქმნიდა, რომ გორის სახელმწიფო თეატრის მცირე თუ კულტურის სასახლის დარბაზებში მოწყობილ გამოფენებზე ზღვა ხალხი მოდიოდა. შთაბეჭდილებათა წიგნში ერთმანეთს ენაცვლებოდა მოწონებისა და აღტაცების სტრიქონები. არც რჩევას იშურებდნენ: ჟურნალისტურ საქმიანობასთან ერთად შენი ცხოვრების საქმედ მაკრამეს ხელოვნებაც აქციეო. მაგრამ იმ ქალბატონში თურმე მწერლობის მუზა თვლემდა და მას სხვა, „უცხო მხარეში“ ეწეოდა. და როცა შარშან ოლიკო ბრაგვაძის მოთხრობების კრებული „**საალაზნოდან სალიახვომდე**“ გამოვიდა, ავტორში მკითხველმა მოაზროვნე და ორიგინალური ხელწერის ავტორი შეიცნო. წიგნის ღირსებაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან მისი რედაქტორი მწერალი და ჟურნალისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი პროფესორი ნოდარ ტაბიძეა და, ვფიქრობ, ამით ბევრი რამაა ნათქვამი.

ოლიკო ბრაგვაძის მრავალმხრივი ნიჭის კიდევ ერთი გამოსხივება გახდა ამ დღეებში გორის ფეიქართა კულტურის სასახლეში გამართული მისი, ამჯერად როგორც ნაქარგობის ოსტატის ნამუშევრების გამოფენა. ოლიკომ თავისი მეგობარ-ნაცნობ-კოლეგები მშვენიერების საუფლოში მიიწვია და ქსოვილზე ფერადი ძაფებით ამოქარგული საოცრებებით მოხიბლა. სოფლის იდილია, ძველი ეკლესია-მონასტრები, ილუსტრაციები, პეიზაჟი, პორტრეტი — რა სინატიფე, რა ფერები, რა ოსტატობა, მოკლედ, სულო და გულო, მოდი, დაათვალიერე და დატკბი!

გამოფენის ამაღლებული წუთები გახდა იქვე, კულტურის სახლის დარბაზში ქალაქის საზოგადოებრიობის შეხვედრა ოლიკო ბრაგვაძესთან — ჟურნალისტთან, მწერალთან, ხელოვანთან.

თავისი შემოქმედების ირგვლივ ოლიკო ბრაგვაძემ ბევრი წრფელი და თბილი სიტყვა მოისმინა და მადლობის გადახდას მოთხრობების ახალი წიგნის გამოცემითა და ნაქარგობის ახალი გამოფენის მოწყობით აპირებს.

გამოფენა, სავარაუდოდ, შემოდგომაზე თბილისის ჟურნალისტთა სახლში გაიმართება.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**



საქართველოს რესპუბლიკა
№ 128, კვირა, 6 ივნისი, 2004 წელი.

ტესტი

# ყოველთვის ახერხებთ დასახული მიზნის მიღწევას?

**ყველა ადამიანი რაღაცას ესწრაფვის. მაგრამ ყველას როდი შეუძლია სანუკვარი მიზნის მისაღწევად გასწიოს ნებისმიერი რისკი. ჩვენი ტესტი გიჩვენებთ, თუ როგორ არის ამ მხრივ თქვენი საქმე.**

***– 1. ადვილია თქვენი დაყოლიება, რომ შეიცვალოთ საკუთარი აზრი?***

ა. არა, მე მუდამ მტკიცედ ვიცავ ჩემ აზრს.

ბ. ზოგჯერ, თუ არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელია.

გ. დიახ, მე ადვილად ვეთანხმები სხვა ადამიანებს.

***– 2. ბოლო დღე შვებულების წინ (ხვალისთვის ბილეთები უკვე ნაყიდია). უფროსი გავალებთ რაღაც მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებას. როგორია თქვენი რეაქცია?***

ა. მტკიცე უარს განუცხადებთ.

ბ. სამუშაოს შეასრულებთ მთელი ღამის განმავლობაში.

გ. გადადებთ მოგზაურობას.

***– 3. დასახული მიზნის მიღწევისათვის თქვენ...***

ა. სასწრაფოდ ადგენთ სამოქმედო გეგმას.

ბ. დიდხანს ფიქრობთ, ცდილობთ, ყველაფერი აწონ-დაწონოთ.

გ. არ გაიღებთ განსაკუთრებულ ძალისხმევას.

***– 4. თუ თქვენ დაგავალეს სასწრაფო საქმის შესრულება, რომელსაც შემოქმედებითი მიდგომა სჭირდება, როგორ მოიქცევით?***

ა. გააკეთებთ რაც შეიძლება სწრაფად, რადგან შეცდომებს მოგვიანებით გამოასწორებთ.

ბ. ეცდებით, რაც შეიძლება კარგად შეასრულოთ დაკისრებული სამუშაო.

გ. გააკეთეთ ისე, როგორც გამოვა.

***5. აპირებთ, რომ უქმე დღეები გაატაროთ ქალაქგარეთ მეგობრებთან ერთად, მაგრამ, ბოლო მომენტში, მათ რაღაც შეუშლის ხელს ამაში. როგორ მოიქცევით?***

ა. ეცდებით, აქტიურად მოაგვაროთ მათი პრობლემები.

ბ. ცხარე კამათის შემდეგ დათანხმდებით, რომ სხვა დროს შეიკრიბებით ერთად.

გ. გული დაგწყდებათ, რადგან, როგორც ჩანს, ეს თქვენი ბედი არ ყოფილა.

***6. რა აზრის ხართ სპეციალისტ ფსიქოანალიტიკოსებზე?***

ა. ისინი ნამდვილად სჭირდებიან ვიღაცას.

ბ. მე ასეთი ხალხის რიცხვს არ განვეკუთვნები.

გ. ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა ნებაყოფლობით აირჩიოს ეს პროფესია.

***7. ეთანხმებით თუ არა ასეთ მტკიცებას: „ბედს ვერსად წაუხვალ"?***

ა. არა, არ ვეთანხმები.

ბ. პრინციპში, ვეთანხმები, თუ საქმე ეხება სიყვარულს.

გ. მთლიანად ვეთანხმები.

***8. ეთანხმებით თუ არა ასეთ მოსაზრებას: უკეთესია სხვაზე იყო დამოკიდებული, ვიდრე ვინმე გახდეს თქვენზე დამოკიდებული?***

ა. რა თქმა უნდა, არა, ეს სისულელეა.

ბ. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

გ. მთლიანად ვეთანხმები.

***9. თქვენ გთავაზობენ კარგ სამუშაოს სხვა ქალაქში. გამგზავრებამდე სამი დღით ადრე ხვდებით თქვენი ოცნების მამაკაცს. რას მოიმოქმედებთ?***

ა. ეცდებით, დაარწმუნოთ, რომ თქვენთან ერთად გამოემგზავროს.

ბ. ეცდებით, ისე მოიქცეთ, რომ ყველაფერი ერთმანეთს შეუთავსოთ – არც სამუშაო დაკარგოთ და არც საყვარელი ადამიანი.

გ. უარს იტყვით სამუშაოზე.

***10. თქვენი დანაზოგი ძალზე მცირეა საიმისოდ, რომ გაემგზავროთ ნანატრ მოგზაურობაში. რას მოიმოქმედებთ?***

ა. იმოგზაურებთ ავტოსტოპით.

ბ. ეცდებით, ისესხოთ ფული.

გ. დაელოდებით, სანამ ფული გაგიჩნდებათ.

**დაითვალეთ ქულები ამ ტაბულის მეშვეობით**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 1 | 3 | 1 | 2 | 2 |
| ბ | 3 | 3 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | 3 |
| გ | 2 | 1 | 3 | 1 | 3 | 3 | 2 | 3 | 3 | 1 |

**შედეგები:**

**10-16 ქულა:** თქვენ გაბედული და დამოუკიდებელი ადამიანი ხართ, ყოველთვის აღწევთ საწადელს, მაგრამ ხშირად ეს ძვირად გიჯდებათ. სიბრალულს იმსახურებენ ის ადამიანები, რომლებიც ეცდებიან, გადაგეღობონ წინ თქვენი მიზნის მიღწევის გზაზე.

**17-23 ქულა:** თავისუფლად შეგიძლიათ მიაღწიოთ იმას, რაც გსურთ, თუმცა დროდადრო თქვენ თვითონ იცვლით დასახულ მიზანს ისე, რომ ვერც კი ასწრებთ სასურველი შედეგის მიღწევას. თანაც, თქვენ შეგიძლიათ უარი თქვათ იმაზე, რასაც ესწრაფვით, რაღაც მაღალი ღირებულებების ან საყვარელი ადამიანების გამო.

**24-30 ქულა:** თქვენ საერთოდ არ გაქვთ დასახული არანაირი მიზანი, ამიტომაც ვერაფერსაც ვერ აღწევთ. თქვენ ცხოვრების თვითდინებას მიჰყვებით. ეს საშიშია!

გამოცემა

# ჩვენი სისხლის ყივილი

**აფხაზეთში დასაბრუნებლად ჯერ ერთობისა და ეროვნული თანხმობის გრძნობა უნდა დავიბრუნოთ. აფხაზეთი არის არა მხოლოდ მიწა, წყალი თუ ჰაერი, არამედ ეს არის თითოეული ჩვენგანის – დევნილის და არადევნილის – სულიერი მდგომარეობა, ჩვენი სისხლის ყივილი და მჩქეფარება და არა აქვს მნიშვნელობა, უცხოვრია თითოეულ ჩვენგანს ოდესმე აფხაზეთში თუ არა, – წერს იოსებ არჩვაძე პუბლიცისტური სტატიების კრებულში „თუ დაგივიწყო, აფხაზეთო!"..**

კრებულში შესულია ავტორის მიერ ქართულ პერიოდიკაში ბოლო წლებში გამოქვეყნებული სტატიები 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის არსის, შედეგებისა და მისი დაძლევის გზების შესახებ. იოსებ არჩვაძე საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. იგი სოხუმში დაიბადა.

1973 წლიდან თბილისში ვცხოვრობ, აქ დავამთავრე უნივერსიტეტი, ვმუშაობ, დავოჯახდი, თავს კი მაინც სოხუმელად ვთვლი... აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ მიჭირს ჩემი მშობლებისა და შვილიშვილებისთვის თვალის გასწორება – მომხდარზე მხოლოდ ხელისუფლებისკენ ვერ გავიშვერ ხელს, ამიტომაც არ ვიხსნი მასზე ჩემ წილ პასუხისმგებლობას, ისევე, როგორც არ მიმაჩნია, რომ აფხაზეთის დაბრუნება მარტო ხელისუფლების საზრუნავი იყოს, – აღნიშნავს ავტორი.

